**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პ.ჟღენტის სახელობის აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი**

**ი რ ა კ ლ ი  ა გ ი ა შ ვ ი ლ ი**

# ფერმერული მეურნეობების ფორმირების თავისებურებები საქართველოში და მათი როლი მოსახლეობის მარცვლეულით უზრუნველყოფაში

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

**დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა**

08.00.13 – სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **პაატა კოღუაშვილი** - ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის
მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევ-კორესპონდენტი

თბილისი – 2006 წელი

## ს ა რ ჩ ე ვ ი

**თავიI–ფერმერული მეურნეობების არსი და მათი განვითარების საფუძვლები საქართველოში.**

1.1 ფერმერულ მეურნეობათა განვითარების თავისებურებები და ტენდენციები რეტროსპექტივაში.

1.2. ფერმერულ მეურნეობათა ფუნქციონირების საერთაშორისო გამოცდილება.

1.3 აგრარული რეფორმა და ფერმერული მეურნეობების ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები.

**თავიII-მარცვლეულის წარმოების ეკონომიკური**

**ეფექტიანობის არსებული დონე და განვითარების ტენდენციები.**

2.1 მარცვლეული, როგორც სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი ფაქტორი.

2.2 მარცვლეულის ადგილი და როლი სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში.

2.3 მარცვლეულის წარმოების ინტენსიფიკაციის ეკონომიკური ეფექტიანობა.

**თავიIII-ფერმერულ მეურნეობებში მარცვლეულის წარმოების განვითარების**

**ძირითადი მიმართულებანი.**

3.1. სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტული

მიმართულებანი.

3.2 ფერმერულ მეურნეობებში მარცვლეულის წარმოების განვი- თარების ორგანიზაციულ-ეკონომიკური ღონისძიებანი.

3.2.1. საფინანსო-საკრედიტო სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები ფერმერულ მეურნეობებში.

**დასკვნები და წინადადებები.**

**გამოყენებული ლიტერატურა**

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

<u>თემის აქტუალობა</u>. მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემა გლობალურ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება. მსოფლიო ექსპერტთა გაანგარიშებით, შესაძლებელია სულ მოკლე პერიოდში კაცობრიობა სურსათის მწვავე დეფიციტის წინაშე აღმოჩნდეს. ამიტომ სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემებიდან ყველაზე მთავარი იყო და მომავალშიც დარჩება მარცვლეულის წარმოების გადიდების ამოცანა,

რომლის წარმატებით გადაწყვეტა ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს.

მსოფლიოში მარცვლეულის მწარმოებელ ქვეყნებს შორის, მარცვლეულის წარმოებითა და მოსავლიანობის დონით, საქართველო ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა. უკანასკნელი 50 წლის მანძილზე საქართველოში მარცვლეულის ყველაზე დიდი მოსავალი მიღებული იქნა 1997 წელს – 901,9 ათასი ტონა, ხოლო ყველაზე მცირე – 420 ათასი ტონა – 2000 წელს. 2004 წელს საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მოდიოდა 165 კგ მარცვლეული, მაშინ, როდესაც საშუალოდ მსოფლიოში ეს მაჩვენებელი 333 კგ იყო. მნიშვნელოვანია აგრეთვე ისიც, რომ დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობის (მათ შორის საქართველოში) კვების ბალანსში მარცვლეულის პროდუქციას დაახლოებით 50 პროცენტზე მეტი უკავია.

საქართველო, სურსათზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების თვალსაზრისით, მრავალფეროვანი ბუნებრივ-სამეურნეო პირობებიდან გამომდინარე, მეტად რთული ამოცანების გადაწყვეტის წინაშე დგას. მიუხედავად ამისა ქვეყნის არსებული სასურსათო პოტენციალი, რომელსაც ექსპერტების შეფასებით 8-10 მლნ ადამიანის გამოკვება შეუძლია, სანახევროდაც არ არის გამოყენებული. ამის საფუძველს გვაძლევს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქვეყნის აგრარული პოლიტიკის კონცეფცია, რომელიც საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის უახლოესი 10-15 წლის მანძილზე სასურსათო უზრუნველყოფის თანმიმდევრული, მიზანმიმართული გადაჭრის ორიენტირი უნდა გამხდარიყო, სამწუხაროდ დღემდე ამ პრობლემისადმი ინერტული დამოკიდებულება შეინიშნება.

ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია აგრარული სექტორის ძირითადი მეურნე სუბიექტის – ფერმერული მეურნეობის საბაზრო პირობებისადმი ადაპტირების, მათი ინტენსიური განვითარებისა და მაღალეფექტიანი საქმიანობის მიღწევის გარეშე, ვინაიდან, ფერმერული მეურნეობები ძირითად საქონელმწარმოებელ ძალად გვევლინებიან, რომლებმაც პრაქტიკულად უნდა განახორციელონ ქვეყნის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემების გადაწყვეტა.

რამდენადაც სასურსათო კრიზისის დაძლევის ერთ-ერთ გზად ფერმერული მეურნეობების განვითარება მიგვაჩნია, ამ ეტაპზე მისი დროულად

ჩამოყალიბებისათვის ეკონომიკური, სოციალური, თუ სამართლებრივი საფუძვლების შექმნას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება.

აქედან გამომდინარე, ქვეყნის მარცვლეულით უზრუნველყოფაში ფერმერული მეურნეობების როლის მეცნიერულ შესწავლას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რამაც განაპირობა სადისერტაციო თემის არჩევანი და კვლევის მიმართულება.

<u>პრობლემის შესწავლის მდგომარეობა</u>. საქართველოს სასურსათო უზრუნველყოფასა და ფერმერული მეურნეობების განვითარების პრობლემებზე უკანასკნელ წლებში ქართველ მეცნიერთა მრავალი საინტერესო შრომა გამოქვეყნდა. მაგრამ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამ მიმართულებით ყოველმხრივ სრულყოფილი მეცნიერული გამოკვლევა საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა. ბუნებრივია, არც ჩვენ გვაქვს პრეტენზია, რომ წინამდებარე ნაშრომში ყოვლისმომცველად იქნება გაშუქებული ეს რთული პრობლემა, მაგრამ მაინც გამოვთქვამთ ზოგიერთ მოსაზრებას ფერმერული მეურნეობის ცნება-გაგების მართებულად განსაზღვრის, მისი შექმნისა და სამეურნეო დამოუკიდებლობის, ქვეყნის მარცვლეულით უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის ორგანიზაციის, სახელმწიფოს მიერ მეურნეობრიობის ამ ტიპის ინტერესების დაცვის და განვითარების ძირითად მიმართულებათა საკითხზე.

<u>კვლევის მიზანი და ამოცანები</u>. კვლევის ძირითადი მიზანია ქვეყნის მოსახლეობის მარცვლეულით უზრუნველყოფაში ფერმერული მეურნეობების როლის გამოვლენის თავისებურებების, ტენდენციების და კანონზომიერებების შესწავლის საფუძველზე მათი განვითარების ოპტიმალური გზების ძიება.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე დაისახა შემდეგი ამოცანები:

- საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში აგრარულ სექტორში განხორციელებული რეფორმის შედეგების შეფასება და საწყის ეტაპზე დაშვებული უარყოფითი ტენდენციების გამოვლენა;
- საქართველოში ფერმერული მეურნეობების განვითარების თავისებურებების და ტენდენციების შესწავლა, ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე;
- საზვარგარეთის განვითარებული ქვეყნების აგრარულ სფეროში ფერმერულ მეურნეობათა გამოცდილების შესწავლა-განზოგადება;

- ქვეყნის მარცვლეულით უზრუნველყოფაში ფერმერული მეურნეობების როლის გამოვლენა;
- ფერმერულ მეურნეობებში მარცვლეულის წარმოების ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორების დადგენა;
- მარცვლეულის წარმოების განვითარების პროგნოზული პარამეტრების განსაზღვრა.

<u>კვლევის ობიექტი და საგანი</u>. კვლევის ძირითადი ობიექტია საქართველოს აგრარული სექტორი მთლიანად და განსაკუთრებით მისი ერთ-ერთი სფერო მარცვლეულის მეურნეობა – მეურნე სუბიექტებით – ფერმერული მეურნეობებით.

კვლევის საგანია საქართველოს მარცვლეულით უზრუნველყოფის გაუმჯობესება, ამ მიზნის მიღწევაში ფერმერული მეურნეობების როლის ამაღლება, სამამულო მარცვლეულის წარმოების ზრდის გზების ძიება, ახალ პირობებში ფერმერული მეურნეობების საბაზრო პირობებისადმი ადაპტაცია და მათი განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების დადგნა.

<u>კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები</u>. კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური თეორიის, საბაზრო ეკონომიკის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მარცვლეულით უზრუნველყოფისა და ფერმერული მეურნეობების პრობლემებისადმი უცხოელი და ქართველი მეცნიერების მიერ მიძღვნილი სამეცნიერო გამოკვლევები და პრაქტიკული ხასიათის მეცნიერული შრომები.

ნაშრომი ეყრდნობა აგრარულ საკითხებზე საქართველოს კანონებს, პარლამენტის, პრეზიდენტის და მთავრობის გადაწყვეტილებებს, საქართველოში მოქმედი საერთაშორისო-საფინანსო და არასამთარობო ორგანიზაციების გამოკვლევებს და რეკომენდაციებს, საქართველოს სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებს, სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ შემუშავებულ მეთოდურ მითითებებს, რეკომენდაციებს და სხვა.

პრობლემის ცალკეული ასპექტების გამოკვლევისას გამოყენებულია ეკონომიკურ მაჩვენებელთა ანალიზისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდი: მონოგრაფიული, სტატისტიკური დაჯგუფების, საანგარიშო-კონსტრუქციული, საბალანსო, ექსტრაპოლაციის, ნორმატიული და სხვა.

<u>კვლევის მეცნიერული სიახლე</u>. სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს ქვეყნის მარცვლეულით უზრუნველყოფის გაუმჯობესებაში ფერმერული მეურნეობების როლის შემდგომი განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების დადგენის ერთ-ერთ პირველ გამოკვლევას.

თეორიული განზოგადებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავების საფუძველზე კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

- შეფასებულია ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებებიდან გამომდინარე ფერმერული მეურნეობების შექმნისა და ფუნქციონირების ორგანიზაციულ-ეკონომიკური საფუძვლები.
- დასაბუთებულია ფერმერული მეურნეობების განვითარების აუცილებლობა და დამუშავებულია წინადადებები მათი კოოპერირების გამსხვილება-გაერთიანების, დაფინანსება-დაკრედიტების, აგროსერვისის სისტემის ჩამოყალიბების და მარკეტინგული მომსახურების შესახებ;
- დადგენილია ფერმერული მეურნეობების როლი და მნიშვნელობა მარცვლეულის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაში;
- საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით დადგენილია ფერმერულ მეურნეობებში მარცვლეულის წარმოების ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორები;
- დამუშავებულია მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მეცნიერულად დასაბუთებული შეთანაწყობის საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების პროგნოზული პარამეტრები;
- დადგენილია ფერმერულ მეურნეობებში სახნავი მიწების ინტენსიურად გამოყენებისათვის საჭირო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობები და მათი ეფექტიანობის მაჩვენებლების პროგნოზული პარამეტრები.

<u>ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა</u>. კვლევის ძირითადი შედეგები, წინადადებები და რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოში, აგრარული ურთიერთობებისა და ფერმერული მეურნეობების ფუნქციონირების მარეგულირებელი ნორმატიულ-ინდიკატური დოკუმენტაციის მომზადებისა და სრულყოფისათვის. ნაშრომში ჩამოყალიბებული რეკომენდაციები დახმარებას გაუწევს აგრარული სექტორის რეფორმირებით, ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფისა და ფერმერული მეურნეობების განვითარების პრობლემებით დაინტერესებულ

მკვლევარებსა და ექსპერტებს, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულ სპეციალისტებს და განსაკუთრებით ფერმერებს.

<u>პუბლიკაცია და აპრობაცია</u>. დისერტაციის ძირითადი დებულებები ასახული და გამოქვეყნებულია ხუთ მეცნიერულ ნაშრომში 2,5 ნაბეჭდი თაბახის საერთო მოცულობით. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები განხილულია სამეგრელოს, გურიის და კახეთის რაიონების სოფლის საკრებულოებში ფერმერთა შეკრებებზე და აგრეთვე პ. ჟღენტის სახელობის აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გაფართოებულ სხდომაზე.

<u>ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა</u>. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 144 კომპიუტერულ მანქანაზე ნაბეჭდ გვერდს, შედგება შესავალის, სამი თავის, დასკვნებისა და წინადადებებისაგან. ნაშრომს თან ერთვის 149 დასახელების გამოყენებული ლიტერატურის სია.

## თავი I

## ფერმერული მეურნეობების არსი და მათი განვითარების საფუძვლები საქართველოში

### 1.1. ფერმერულ მეურნეობათა განვითარების თავისებურებები და ტენდენციები რეტროსპექტივაში

საქართველო ოდითგანვე აგრარული ქვეყანა იყო. მიწათმოქმედება ქართველი კაცის სამეურნეო საქმიანობასთან ერთად ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ ქვის ხანაში. იგი უძველესი დროიდან იწყებს ნედლეულის, მიწის წიაღისეულის მოპოვებას, რკინის დამუშავებას და სამრეწველო საქმიანობას, მაგრამ მთელი მისი მოღვაწეობა მაინც უშუალოდ მიწათმოქმედების განვითარებასთანაა დაკავშირებული. ამის ნათელი მაგალითია მათ მიერ შექმნილი და დღემდე მოტანილი ხორბლეულის, სიმინდის, ვაზის, ხეხილის, პირუტყვის, ფრინველის, ფუტკრისა და სხვა მრავალი აბორიგენული და უნიკალური ჯიშები.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI-IV ს.ს. დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა და განვითარების მაღალ დონეს მიაღწია კოლხეთის სამეფომ. აქ ბარის მოსახლეობა ძირითადად მიწათმოქმედებას მისდევდა. პურეულის გარდა მოჰყავდათ სელი და

კანაფი, მისდევდნენ მებაღეობას და მევენახეობას, საკმაოდ განვითარებული იყო მეცხოველეობა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე უკვე III საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა იბერიის დამოუკიდებელი სამეფო, რომელიც მონათმფლობელურ სახელმწიფოს წარმოადგენდა. გლეხი ძირითადად მისდევდა წვრილ კერძო მეურნეობას. მას ჰქონდა მიწათმოქმედების ინვენტარი, ჰყავდა შინაური (მუშა და პროდუქტიული) პირუტყვი და სხვა. მაგრამ იგი სამეურნეო საქმიანობას ეწეოდა ფეოდალის მიწაზე და ამდენად მისი საქმიანობა მთლიანად დამოკიდებული იყო ფეოდალზე.

XX საუკუნის დასაწყისამდე საქართველო მეფის რუსეთის განაპირა კოლონიალურ სახელმწიფოს წარმოადგენდა. სწორედ ამის გამო სოფლის მეურნეობის განვითარება, როგორც რუსეთში ისე საქართველოში, განხორციელდა ე.წ. პრუსიული გზით, რომელიც ითვალისწინებდა იმას, რომ ძალაში ტოვებდა შუასაუკუნეობრივ მიწათმფლობელობას, ბატონყმურ ლატიფუნდიებს (საბეგრო-სამუშაო). ეს გზა არ იძლეოდა საწარმოო ძალთა სწრაფი განვითარების საშუალებას, რამდენადაც ძალაში რჩებოდა მშრომელი გლეხობის დაკაბალება, ჩამორჩენილი სამიწათმოქმედო კულტურა. საქართველოში კაპიტალიზმის განვითრების უკიდურესად დაბალი დონის ფონზე სასოფლო-სამეურნეო წარმოება წარმოდგენილი იყო უპირატესად წვრილი, ნახევრად ნატურალური მეურნეობებით, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ შრომის პრიმიტიული საშუალებებით.

თუ რუსეთში 1861 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად სახელმწიფო გლეხები გადაიქცნენ კერძომფლობელ გლეხებად, ამიერკავკასიისა და მათ შორის საქართველოს სახელმწიფო გლეხებზე ეს კანონი არ გავრცელებულა, ისინი 1917 წლის რევოლუციამდე დარჩნენ სახაზინო მიწაზე, ე.ი. რეფორმამდელი რუსეთის სახელმწიფო გლეხების მსგავსად იხდიდნენ სახაზინო მიწებზე საღალო გადასახადს და თემობრივად სარგებლობდნენ.

ამავე პერიოდში სასოფლო-სამეურნეო წარმოება წარმოდგენილი იყო ძირითადად გლეხური და მემამულური მეურნეობების სახით. გლეხი, თავისი ოჯახით, ერთგვარ კარჩაკეტილ, თვითდაკმაყოფილების პრინციპზე ორიენტირებულ მეურნეობრივ ერთეულს წარმოადგენდა და აქედან გამომდინარე სწორედ ამის გამო საქართველოში გაბატონებული იყო წვრილი გლეხური მეურნეობა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის უდიდეს ნაწილს აწარმოებდნენ არა დაქირავებული შრომის ექსპლუატაციაზე დამყარებული მსხვილი მემამულური მეურნეობები, არამედ სწორედ წვრილგლეხური მეურნეობები. ყოველივე ეს განპირობებული იყო იმით, რომ მსხვილ მემამულურ მეურნეობებში გაბატონებული იყო შრომამიგებითი სისტემა, რომლის მიხედვით გლეხები, რომლებიც ცხადია, არ იყვნენ დაინტერესებული შრომის ნაყოფიერების გადიდებით, ჩვეულებრივად, თავიანთი ინვენტარით ამუშავებდნენ მემამულეთა მიწებს. როგორც ირკვევა მსხვილ მემამულურ მეურნეობას, რომელიც ძირითადად დამოკიდებული იყო წვრილგლეხური მეურნეობის ტექნიკურ შესაძლებლობებზე, ტექნიკური უპირატესობა არ ჰქონდა.

საქართველოში მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის საკიხებზე მეტად ფუნდამენტური გამოკვლევები აქვს ჩატარებული თვალსაჩინო მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ბ-ნ პაატა გუგუშვილს. ნაშრომში – "საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს" – ავტორი, ეყრდნობა რა რუსეთის მიწათმოქმედების მინისტრის დავალებით სრულიად კავკასიის სასურსათო გამგეობის სტატისტიკური განყოფილების მიერ 1917 წელს ჩატარებული აღწერის მონაცემებს, აანალიზებს საქართველოში მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ვითარებას, საიდანაც ირკვევა, რომ 1917 წელს საშუალოდ ერთ გლეხურ მეურნეობაზე მოდიოდა 2,4 დესეტინა ყველა სახის სახმარი მიწა, რომელთაგან სახნავს 1,6 დესეტინა, ანუ მთლიანი ფართობის 66,6% ეკავა, მაშინ, როცა ერთ მემამამულურ მეურნეობაზე მოდიოდა 59,0 დესეტინა ყველა სახის სახმარი მიწა, ხოლო სახნავის ხვედრითი წილი 15,4 დესეტინას, ანუ 26,1%-ს შეადგენდა. აქედან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს მიწების უდიდესი ნაწილი მემამულეთა საკუთრებას წარმოადგენდა, ხოლო მრავალრიცხოვანი გლეხობა მიწის ნაკლებობას განიცდიდა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ როგორც გლეხურ, ისე მემამულურ მეურნეობათა სარგებლობაში არსებული მიწის მნიშვნელოვან ნაწილს იჯარით აღებული მიწა წარმოადგენდა. მიწათსარგებლობის ეს ფორმა განსაკუთრებით განვითარდა კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში. არსებობდა იჯარის რამოდენიმე სისტემა, კერძოდ – საადგილმამულო, მოკლევადიანი და სხვა იჯარა.

მეიჯარეთა და მოიჯარეთა კლასობრივი შედგენილობის და მიწების გამოყენების მიხედვით დანაწილების შესახებ 1917 წელს ჩატარებული "სრულიად რუსეთის

სოფლის მურნეობის, საადგილმამულო საქალაქო აღწერის” მონაცემებით ირკვევა, რომ საქართველოში საშუალოდ ერთი გლეხური მეურნეობის სარგებლობაში არსებული 3 დესეტინა მიწიდან 0,6 დესეტინა, ანუ 20% იჯარით იყო აღებული, მაშინ როცა მემამულური მეურნეობის სარგებლობაში არსებული 62,1 დესეტინა მიწიდან, იჯარით აღებული იყო მხოლოდ 0,05%, ანუ 3,1 დესეტინა (3.28. ტ. II, 319გვ.).

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართული სოფლის მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობების მოწესრიგება ერთ-ერთ მწვავე პრობლემას წარმოადგენდა. სწორედ ჰარმონიულ, ეკონომიკურ ინტერესებზე დამყარებული ურთიერთობები შეუწყობდა ხელს სოფლის მწარმოებელთა კეთილდღეობის დონის ამაღლებას.

ილია ჭავჭავაძეს კოოპერაციის ასეთი ფორმით განვითარება “ანგარებით გამგელებულ მევახშეთა ბრჭყალებისაგან” მშრომელი ხალხის განთავისუფლების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად მიაჩნდა. სწორედ მისი უშუალო ძალისხმევითა და მონდომებით 1869 წელს დაარსდა და მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ფუნქციონირებდა საქართველოში პირველი სამომხმარებლო საზოგადოება – “მომჭირნეობა” (3.85, გვ. 112).

მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ორმხრივი სარგებლიანი ურთიერთობის განვითარების თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აგრეთვე მე-19 საუკუნის დასასრულს ჩამოყალიბებულმა “კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირმა”, რომელიც კავშირურთიერთობის სხვა მნიშვნელოვანი ამოცანების შესრულებასთან ერთად, გლეხების მიერ მიწების შეძენას, მათ დამუშავებას, სარწყავი არხების გაყვანას, სამეურნეო მანქანების შეძენას, ცოდნის გავრცელებას და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების გავრცელებას ითვალისწინებდა.

აგრარული ურთიერთობების გაუმჯობესების ერთგვარ ცდას წარმოადგენდა 1918-1920 წლებში საქართველოს დამოუკიდებელი მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს კანონები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განისაზღვროს მემამულეთა ხელში დასატოვებელი მიწების ნორმა და რა ზომები უნდა იქნეს მიღებული საადგილმამულო რეფორმების გასატარებლად – და როგორ უნდა განხორციელდეს ჩამოსართმევი მამულების მეპატრონეთა სამეურნეო ინვენტარის რეკვიზიცია. მაგრამ სამწუხაროდ აღნიშნული კანონები იმ პერიოდში განუხორციელებელი დარჩა. ასეთივე ბედი ეწია

აგრეთვე “საქართველოს პარლამენტის მიწის კანონს”, რომლის მიხედვით გლეხი, კერძო პირი მაქსიმუმ 7 დესეტინა მიწას მიიღებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გადაიხდიდა მიწის საფასურს (ერთი დესეტინა 400-1000 მანეთად იყო შეფასებული). მაგრამ, იმის გამო, რომ სოფლის ღარიბ გლეხობას (რომელიც საქართველოს მოსახლეობის 88 პროცენტს შეადგენდა), უსახსრობის გამო არ შეეძლო აღნიშნული თანხის გადახდა, ეს კანონიც ვერ განხორციელდა და ფაქტიურად გლეხი კვლავ უმიწოდ დარჩა.

საბჭოთა ხელისუფლების სამოცდაათწლიანი ბატონობის პერიოდში აგრარულ სფეროში განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად, გლეხი კვლავ უმიწოდ დარჩა. გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში კერძო საკუთრების გაუქმება, ე.წ. “მიწების ნაციონალიზაციის” ლოზუნგით, ძალდატანებით განხორციელდა. დეკრეტით მიწის შესახებ, ყოველგვარი გამოსყიდვის გარეშე, მოისპო მიწაზე კერძო საკუთრება და იგი საერთო-სახალხო საკუთრებად გამოცხადდა. მართალია მიწა ჩამოერთვა მის მსხვილ მესაკუთრეს – მემამულეს, მაგრამ იგი არა გლეხობის, არამედ სახელმწიფოს საკუთრება გახდა. ამავე პერიოდიდან მოყოლებული ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების საფუძველს მხოლოდ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წარმოადგენდნენ, ხოლო კერძო, ანუ საკარმიდამო მეურნეობა შეზღუდული იყო მიწის ფართობით, პირუტყვის სულადობით, მაგრამ მიუხედავად ამისა მას სოფლის მეურნეობის ძირითად დარგებში წამყვანი ადგილი ეკავა. მაგალითად, 1990 წელს საქართველოს საკარმიდამო მეურნეობებში (იგი ფლობდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 5%, სახნავის 12%, მრავალწლიანი ნარგავების 27%), წარმოებული იყო დაფნის – 93%, ხილის – 75%, ციტრუსოვანთა ნაყოფის – 71%, რძის – 60%, ბოსტნეულის – 58%, კარტოფილის – 49%, ხორცის – 51%, ყურძნის – 45% და ა.შ., რაც მთლიანობაში საქართველოს სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის 47% შეადგენდა.

პოსტსაბჭოურ პერიოდში ეკონომიკური პოლიტიკის დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს საკარმიდამო მეურნეობების შეზღუდვა, რასაც საფუძვლად ედო მათი განვითარების ტენდენციების და საზოგადოებრივ მეურნეობებთან ურთიერთობის ხასიათის მცდარი, სუბიექტური შეფასება.

საბჭოთა პერიოდში ფერმერული მეურნეობების განვითარებისადმი ეკონომიკური პოლიტიკის გაუმჯობესების ერთგვარ მცდელობას ჰქონდა ადგილი

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში. ამის ნათელი მაგალითია საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 27 აგვისტოს [1]418 დადგენილება – "ბორჯომის, ამბროლაურის, ხარაგაულის, მესტიის, ადიგენის და ჯავის რაიონებში გლეხური მეურნეობების უპირატესი განვითარების შესახებ", რომელიც რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენების, დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების, მთიან ზონაში მოსახლეობის დაბრუნების, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მათი ჩაბმის და მატერიალური დაინტერესების ამაღლების ღონისძიებებს ითვალისწინებდა. ამ პროცესის განხორციელება 1990 წლიდან დაიწყო. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სალიკვიდაციო კომისიამ დეტალურად აღწერა ამ საწარმოათა გამგებლობაში არსებული ქონება, დააზუსტა მათზე რიცხული დავალიანება და განსაზღვრა ძირითადი ქონების ლიკვიდაციით თუ რა რაოდენობის სესხების და ვალების დაფარვა შეიძლებოდა. ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან შექმნილმა კომისიებმა შეისწავლეს მათზე გადაცემული სავარგულების ვარგისიანობა, ადგილმდებარეობა, რაოდენობა, ხარისხი, გლეხური მეურნეობების ჩამოყალიბების მსურველთა განცხადებები და განსაზღვრეს ერთ გლეხურ მეურნეობაზე გადასაცემი მიწის ფართობის რაოდენობა სახეების მიხედვით. მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა მათზე მიწის სავარგულებისა და პირუტყვის გადაცემა, რომელთა რეგისტრაცია განხორციელდა შესაბამისი რაიონების ყოფილ რაიაღმასკომებში. საზოგადოებრივ მეურნეობათა ლიკვიდაციისა და გლეხური მეურნეობების ჩამოყალიბების პროცესში რიგი მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელების მიუხედავად ადგილი ჰქონდა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს, რომლებმაც უარყოფითი გავლენა მოახდინეს გლეხურ მეურნეობათა შემდგომ განვითარებაზე. კერძოდ, გლეხური მეურნეობებისათვის მიწაზე საიჯარო გადასახადი დაწესდა სუბიექტური შეხედულებით – მიწის კადასტრის გათვალისწინების გარეშე. საზოგადოებრივ მეურნეობებში არსებული პირუტყვის რეალიზაცია ჯერ კიდევ გლეხური მეურნეობების შექმნამდე დაიწყო, როცა მათი დიდი ნაწილი ყოვლად გაუმართლებელი დაბალი ფასებით მიეყიდა კოოპერატივებს, ხოლო დანარჩენი იჯარით გადაეცა მოსახლეობას. საკრებულოების ბალანსზე გადაცემული მეცხოველეობის შენობა-ნაგებობები, პრაქტიკულად არ გამოიყენებოდა, მათი დიდი ნაწილი დაშლილი იქნა და როგორც საშენი მასალა მიეყიდა მოსახლეობას. ამასთან გლეხობამ საზოგადოებრივი მეურნეობებიდან შექმნილი პირუტყვი უფრო მაღალი ფასებით გაყიდა აგრარულ

ბაზარზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გლეხები მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ, შეენახათ მათზე გადაცემული პირუტყვი, რადგანაც არ გააჩნდათ საჭირო რაოდენობის საკვები, სათავსოები და სხვა. სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ აღნიშნულ რაიონებში 1989 წელთან შედარებით 1991 წელს პირუტყვის სულადობა 16,2%-ით შემცირდა, მოუგვარებელი დარჩა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების, გლეხთა სოციალური დაცვის, მთლიანად სოფლისა და კერძოდ გლეხური მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის და მრავალი სხვა საკითხები.

სამწუხაროდ აღნიშნულ ხარვეზებს და ნაკლოვანებებს აგრარული რეფორმის გარდამავალ ეტაპზე, სათანადო შეფასება არ მიეცა, მრავალი საკითხი კვლავ ანალიზის გარეშე დარჩა, ყოველივე ამან კი, ბუნებრივია, უარყოფითი გავლენა მოახდინა გლეხური მეურნეობების შემდგომ განვითარებაზე.

## 1.2. ფერმერულ მეურნეობათა ფუნქციონირების საერთაშორისო გამოცდილება

თანამედროვე მსოფლიოს ისტორიული გამოცდილებით დადასტურებულია, რომ საწარმოო ძალების განვითარებამ არსებითი ცვლილებები გამოიწვია აგრარულ ურთიერთობათა სისტემაში, რამაც სოფლის მეურნეობაში მიწთმფლობელობისა და მიწათსარგებლობის მრავალი ფორმის არსებობა განაპირობა.

საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო პირობების სპეციფიკისა და აგრარული მეურნეობის მრავალსაუკუნოვანი განვითარების მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციების გათვალისწინებით და რაც მთავარია ქვეყანაში ამჟამად მიმდინარე ახალი წარმოებითი ურთიერთობების შესაბამისი ორგანიზაციული ფორმების შერჩევისა და დამკვიდრების პირობებში, უაღრესად სასარგებლოა ამ მიმართულებით მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილების შესწავლა.

ცნობილია, რომ მსოფლიო სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განითარება ძირითადად პრუსიული და ამერიკული გზით მიმდინარეობდა.

პრუსიაში, ისევე როგორც ბევრი სხვა ევროპული ქვეყნის აგრარულ სექტორში, კაპიტალიზმის განვითარება ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ნაცვლად მსხვილ მიწათმფლობელთა ფენისა, რომელთა მიერ გლეხების ექსპლუატაცია ფეოდალური

მიწის რენტის მიღების საფუძველი იყო, ყალიბდებოდა მეწარმეთა ახალი ფენა, რომელიც არენდით იღებდა ან ყიდულობდა მიწას თავდაპირველი მესაკუთრისაგან და დამოუკიდებლად წარმართავდა მეურნეობას, მათ შორის დაქირავებული გლეხების საშუალებითაც. გერმანიასა და სხვა ევროპულ ქვყნებში ფერმერებს არასოდეს არ ჰქონდათ საშუალება მიწის განუსაზღვრელი რაოდენობით ათვისებისა და ისინი მიწების შეზღუდული ფართობებით სარგებლობდნენ.

საქართველოს აგრარულ სექტორში კაპიტალისტური ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესი, როგორც აღვნიშნეთ, პრუსიული გზით მიმდინარეობდა.

სრულიად განსხვავებულად ყალიბდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობები ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობაში. აქ კაპიტალიზმის განვითარებას ხელს არ უშლიდა არც ადრე არსებული აგრარული ურთიერთობები და არც ტრადიციები. ფერმერებს მიწის განსაზღვრული რესურსების გამოყენების შეუზღუდავი შესაძლებლობები ჰქონდათ. კოლონიზაციის პერიოდში თვალუწვდენელი თავისუფალი მიწების დაკავება და ათვისება ხელს უწყობდა ფერმერული მეურნეობების სწრაფი ტემპით ზრდას და განვითარებას.

განსხვავებით მცირემიწიანი ევროპული ქვეყნებისაგან, სწორედ აქ, თავისუფალი არჩევანის და კონკურენტული გარემოს პირობებში, ყველაზე უფრო მკვეთრად გამოიკვეთა ფერმერული მეურნეობების განვითარებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები და ტენდენციები.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე, როდესაც მიმდინარეობდა მოსახლეობისათვის მიწების უფასოდ გადაცემის პროცესი, ფერმერულ მეურნეობებში დასაქმებული იყო სოფლად მცხოვრები მოსახლეობის 90%. 1940 წლამდე, ექსტენსიური განვითარების შედეგად, მართალია, ფერმერული მეურნეობების და მათში დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა აშშ-ში იზრდებოდა, და მიაღწია, შესაბამისად 6 დან 31 მილიონს, მაგრამ ფერმერულ მეურნეობებში დასაქმებულთა ხვედრითი წილი ქვეყნის დასაქმებულთა მთლიან რაოდენობაში 90%-დან 18%-მდე შემცირდა.

1940 წლიდან დაწყებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და მრეწველობის განვითარების პირობებში, დაიწყო ფერმერთა მასობრივი მიგრაცია დიდ სამრეწველო ცენტრებში. ფერმერულ მეურნეობებში დასაქმებულთა რაოდენობა 1940 წელს 31

მილიონიდან 1990 წელს 4,5 მილიონამდე შემცირდა და აშშ-ს ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა 2,6% შეადგინა.

ამავე წლებში აშშ-ში ფერმერული მეურნეობების გამსხვილების პროცესების შედეგად მათი რაოდენობა 1940 წელს 6 მილიონიდან 1990 წელს 2 მილიონამდე შემცირდა. მიწის ნაკვეთის საშუალო სიდიდე კი ამავე პერიოდში 175 აკრიდან 461 აკრამდე გაიზარდა, ყოველივე ამან კი ხელი შეუწყო ფერმერული მეურნეობების ინტენსიფიკაციას და განსაკუთრებით მექანიზაციის დონის ამაღლებას.

აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) მონაცემებით, 1996 წელს აქ ფუნქციონირებდა 2064 ათასი ფერმერული მეურნეობა, რომელთა მიერ გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საშუალო სიდიდე 470 აკრს (190,2 ჰა) შეადგენდა. ფერმერულ მეურნეობებში დასაქმებულთა რაოდენობა 2,9 მლნ კაცს შეადგენდა, რაც დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 1,6%-ია.

80-იანი წლების მეორე ნახევარში აგრარულ სფეროში დასაქმებულთა ხვედრითი წილი მთლიან წარმოებაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში არცერთ განვითარებულ ქვეყანაში 10%-ს არ აჭარბებდა, ხოლო მათ უმრავლესობაში ეს მაჩვენებელი 3-5%-ით განისაზღვრებოდა. ამასთან, როგორც წესი, არა მარტო სრულყოფილად კმაყოფილდებოდა მოსახლეობის მოთხოვნილება სურსათზე, არამედ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი საგარეო ბაზარსაც მიეწოდებოდა. სასურსათო უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტის გარანტს განვითარებული ქვეყნების აგრარულ სფეროში ფუნქციონირებადი სხვადასხვა ტიპის საწარმოები წარმოადგენდნენ.

აშშ-ში ყველაზე ეფექტიანია ის ფერმერული მეურნეობები, რომლებიც წელიწადში აწარმოებენ 250 ათ. და მეტი დოლარის პროდუქციას, მათი ხვედრითი წილი ქვეყნის ფერმერულ მეურნეობათა მთლიან რაოდენობაში 5%-ია, ხოლო წარმოებული პროდუქცია კი ქვეყანაში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის თითქმის ნახევარია (49%) (ცხრილი 1.2.1).

**მონაცემები აშშ-ში ფერმერულ მეურნეობათა საშუალო სიდიდის შესახებ (1990წ.)**

*ცხრილი 1.2.1*

| სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო წლიური წარმოება (აშშ $) | ფერმერულ მეურნეობათა ხვედრითი წილი (%) | |
|---|---|---|
| | ფერმერულ მეურნეობათა მთლიან რაოდნობაში | პროდუქციის მთლიან წარმოებაში |

| | | |
|---|---|---|
| 10 000-მდე | 47,5 | 3,0 |
| 10000-დან 40000-მდე | 22,5 | 8,0 |
| 40000-დან 250000-მდე | 25,0 | 40,0 |
| 250000-ზე ზევით | 5,0 | 49,0 |
| სულ | 100 | 100 |

ყოველივე ეს გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნული მეურნეობები მსხვილი, მაღალმექანიზირებული, ბაზარზე ორიენტირებული კორპორაციებია. მაგრამ ამავდროულად აუცილებელია წვრილი და საშუალო ფერმერული მეურნეობების ფუნქციონირებაც, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საოჯახო პროდუქციას აწარმოებს, ანუ ძირითადად სამომხმარებლო ხასიათისაა. ფერმერული მეურნეობები, რომელთა მიერ წარმოებული პროდუქციის ღირებულება 40 ათას დოლარამდეა, ითვლება არაკომერციულად, რადგან ისინი ვერ უზრუნველყოფენ ფერმის სრულ დასაქმებას (3.24, 18 გვ.).

დასავლეთის განვითარებული ქვეყნების აგრარული სექტორის საწარმოო სტრუქტურის ძირითად ბირთვს, დღესაც, დაწყებული მეცხრამეტე საუკუნის შუახანებიდან, სწორედ ოჯახური მეურნეობები შეადგენენ, რომლებზეც დიდ გავლენას ახდენს სტრუქტურის სპეციფიკა და თავისებურება.

ოჯახური მეურნეობა, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტი, ისეთი ფასეულობების მატარებელია, რომელიც მიწასთან მჭიდროდ დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელთა მთელი რიგი თაობების აღზრდას უკავშირდება. ასეთი მეურნეობები თავისებური ფერმერული სკოლებია, რომელთა დანიშნულება მდიდარი ფერმერული გამოცდილების შენარჩუნება და მემკვიდრეობით გადაცემაა. აქ წარმოების პროცესი ორგანიზებულია ნათესაური კავშირების საფუძველზე, შრომა დანაწილებულია სქესისა და ასაკის მიხედვით; ამასთან წარმოება ინტეგრირებულია ოჯახის კვლავწარმოების პროცესთან, ფერმერული მეურნეობის ხანგრძლივი სტაბილურობა დამოკიდებულია არა მარტო გარემო პირობებზე, არამედ იმავდროულად ოჯახის წევრთა ინტერესების შეხამებაზე, მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასა და დასახული მიზნის მიღწევის ხარისხზე.

ამრიგად, ოჯახური მეურნეობა განვითარებულ ქვეყნებში, აგრარული სექტორის ძირითადი სამეურნეო ბირთვია, რომლის ფუნქციონირების პრინციპები ყველაზე სრულად პასუხობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციფიკას. ამასთან იგი არა

მარტო საწარმოო-ეკონომიკური, არამედ სოციალური (ოჯახური) ერთეულიცაა. აქ საწარმოო საქმიანობა და ოჯახური ცხოვრება შედუღაბებულია. სწორედ ამაში მდგომარეობს ფერმერული მეურნეობის ფუნქციონირების სპეციფიკურობა და მისი გაძღოლის თავისებური ხასიათი.

აღსანიშნავია, რომ ფერმერული (გლეხური) მეურნეობების კავშირურთიერთობების თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე თავისი შეხედულებები ჩამოაყალიბა ცნობილმა რუსმა მეცნიერმა ა. ვ. ჩაიანოვმა, რომელსაც ამ საკითხების კვლევაში პირველობა ეკუთვნის, ვინაიდან იგი ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში გლეხურ მეურნეობას განიხილავდა, როგორც სრულიად პირველად საწარმოო უჯრედს, რომლისთვისაც დამახასიათებელია სტიმულირების ძალა გამრავლებული მისი წევრების სულიერ ერთიანობაზე, უკეთესი შედეგების მიღწევისათვის სწრაფვისა და ოჯახის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნებით განპირობებული, გააზრებული, ამასთანავე დაძაბული შრომა.

ფერმერული (გლეხური) მეურნეობების განვითარების საერთო კანონზომიერებათა პირობებში ცალკეულ საზღვარგარეთის ქვეყნებს არსებითი განსხვავებები გააჩნიათ, რომლებიც ეხება მათ ევოლუციას, შრომის გამოყენების ხასიათს, მიწაზე საკუთრების, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის პირობებს, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის, საქონლიანობისა და ინდუსტრიალიზაციის დონეს, დარგთაშორისო და მეურნეობათშორისო კავშირების ინტენსიურობას და ა.შ.

ფერმერულ (გლეხური) მეურნეობათა ფუნქციონირებისას განსხვავებული პირობები უშუალოდ აისახება მათ ორგანიზაციასა და შინაგან სტრუქტურაზე, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის სისტემაში ეს განსხვავებანი არ არის გათვალისწინებული. საერთოდ, ფერმერულ (გლეხური) მეურნეობათა ორგანიზაციული ფორმების განსაზღვრის საერთაშორისო მიღებული კრიტერიუმები და მეთოდიკა არ არსებობს. საზღვარგარეთის მეცნიერები ამუშავებენ სპეციალურ მაჩვენებლებს, რომლებიც შემდგომში შესაძლებელია გამოყენებული იქნეს შერჩევითი გამოკვლევით მიღებული მასალების ემპირიული შემოწმებისას. ამას გარდა გამოიყენება მიმდინარე სტატისტიკა ან სოფლის მეურნეობის სპეციალურად ჩატარებული აღწერის მასალები – რესურსული და სტრუქტურული მაჩვენებლების მთელი კომპლექსით (მიწა, კაპიტალი და შრომითი რესურსები), რომელთაც არსებითი

ანალიტიკური შეზღუდვები გააჩნიათ თვით ერთი ქვეყნის ფარგლებშიც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ ქვეყნებს შორის მათი შეპირისპირების შესახებ. ისეთი ძირითადი ცნებებიც კი, როგორიცაა "ფერმა", "მსხვილი ფერმა", "წვრილი ფერმა" სხვადასხვაგავარად განისაზღვრება მოცემულ ადგილებში ჩამოყალიბებული ისტორიულ-კულტურული ფაქტორების გათვალისწინების კვალობაზე.

ევროპის ეკონომიკური განვითარების წევრ ქვეყნებში 1985 წელს ფერმერული (გლეხური) მეურნეობების ფართობების მიხედვით დაჯგუფების მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ აგრარულ სფეროში ჯერ კიდევ ჭარბობენ წვრილი ფერმერული მეურნეობები, რომელთა ხვედრითი წილი ფერმათა საერთო რაოდენობაში 56,6 პროცენტს შეადგენს. წვრილი ფერმერული მეურნეობების ხვედრითი წილი (5 ჰა-მდე) მეურნეობათა საერთო რაოდენობაში საგრძნობლად მაღალია იტალიაში (77,9%) და საბერძნეთში (77,5%); საშუალო ფართობის მქონე (5-დან 30 ჰა-მდე) ფერმერული მეურნეობები ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით წარმოდგენილი არიან დანიასა და ირლანდიაში (61,5%), ხოლო შედარებით მსხვილი (30 ჰა-ზე მეტი) ფერმერული მეურნეობების ხვედრითი წილის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია დიდ ბრიტანეთში (45,6%) და ლუქსემბურგში (42,5%).

ფერმერულ მეურნეობათა სიცოცხლისუნარიანობის საფუძველი თვით ფერმერთა და მისი ოჯახის წევრთა შრომაა, რაც ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნების გამოცდილებით არის დადასტურებული. აქ, სოფლის მეურნეობაში, შრომითი დანახარჯების თითქმის ნახევარი თვით ფერმერების წილად მოდის, 30-40 პროცენტამდე – ოჯახის სხვა წევრების წილად, ხოლო დანარჩენი კი – დაქირავებულ პირებზე. საერთოდ, ისეთი ფერმერული მეურნეობა, სადაც დაქირავებული პირები 10%-ზე მეტია, ძალზე იშვიათია. გამონაკლისს წარმოადგენს დიდი ბრიტანეთი, სადაც დაქირავებულ პირთა შრომის ხვედრითმა წილმა 40%-ს გადააჭარბა.

განვითარებული ქვეყნების აგრარულ სექტორში მიწის კერძო საკუთრებასთან ერთად ფართოდაა გავრცელებული მისი არენდა. ამჟამად საზღვარგარეთის ქვეყნებში არენდის სხვადასხვა ფორმა გამოიყენება. აშშ-ში ფერმერულ მეურნეობათა 45% არენდით აღებულ მიწებს ამუშავებს, ხოლო მიწების დაახლოებით 15% დაგირავებულია, ე.ი. ეს იმას ნიშნავს, რომ ფერმერები სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ახორციელებენ საკუთარ (40%) და არენდით (60%) აღებულ მიწაზე. საფრანგეთში მიწების 50 პროცენტს არენდატორები ამუშავებენ, ხოლო მთელ რიგ განვითარებულ

ქვეყნებში არენდატორზე მოდის დამუშავებული მიწების 75%-ზე მეტი. აქედან ნათლად ჩანს, რომ ქვეყნების სოფლის მეურნეობის წარმატებებს მიწაზე კერძო საკუთრება არ განსაზღვრავს.

ცალკეული საზღვრგარეთის ქვეყნები ფერმერულ მეურნეობათა განსხვავებული კლასიფიკაციით ხასიათდებიან.

ისრაელში აგრარული სტრუქტურა მრავალფორმიანია და წარმოდგენილია კიბუცების (კომუნები ან სახელმწიფო მეურნეობები), მოშაკატების (გლეხური კოოპერატივები), კერძო გლეხური მეურნეობების, კვების მრეწველობისა და სერვისის კოოპერატიული საწარმოების სახით. კიბუცების მმართველობის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება. ანაზღაურება ხდება ნატურით, პირადი ხარჯებისათვის კი წელიწადში ერთხელ გამოიყოფა განსაზღვრული თანხა. მოშაკატები, ანუ ე.წ. წვრილ-გლეხური კოოპერატივები საქმიანობას წარმართავენ სახელმწიფოსაგან 49-წლიანი არენდით აღებულ მიწაზე, ვადის ავტომატური გაგრძელებით და მემკვიდრეობის უფლებით. აქ ყველა ოჯახი მუშაობს ინდივიდუალურად, მაგრამ სერვისი კოლექტიურია.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ფერმერული მეურნეობების ხუთ ჯგუფს გამოყოფენ: სოფლად მცხოვრებთა მეურნეობა, წვრილი ოჯახური ფერმა, ოჯახური ფერმა, მსხვილი ოჯახური ფერმა და უმსხვილესი ფერმა.

სამეურნეო საქმიანობის ხასიათისა და შედეგების მიხედვით სოფლის მცხოვრებთა მეურნეობის კატეგორიაში მყოფი ფერმების ნახევარზე მეტი არაკომერციულ საწარმოებს მიეკუთვნება და სოფლის მეურნეობის გარეთ მათი მფლობელების დასაქმების დონე საკმაოდ მაღალია, ხოლო ფერმის ორგანიზაციის ძირითად ფორმას ერთპიროვნული საკუთრება წარმოადგენს.

ჩატარებული გამოკვლევებით დადგენილია, რომ წვრილ ფერმერად ყოფნა იძულებითი მდგომარეობა, ან უფრო მსხვილი სახის სასაქონლო მეურნეობაში გარდამავალი საფეხური კი არ არის, არამედ მათი დაბალანსებული ცხოვრების წესია, რომელიც მოიცავს სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ხასიათის შრომას, როგორც ფერმერთა ეკონომიკური საქმიანობის ინტეგრირებულ ნაწილებს. უმრავლესობამ ცხოვრების ასეთი წესი ნებაყოფლობით აირჩია და ამ არჩევანში მთავარი როლი "ცხოვრების ხარისხის" არაკომერციულმა ფაქტორებმა (ბუნებასთან სიახლოვე, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ბავშვების აღზრდის კეთილსასურველი პირობები და ა.შ.) შეასრულეს.

ოჯახური ფერმების არსებობა განვითარებულ ქვეყნებში არ ეწინააღმდეგება სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის საერთო ტენდენციებს. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კვალობაზე იზრდება მეურნეობათა სიდიდე, წარმოების მოცულობა, წარმოიქმნება საკუთრების, მიწათსარგებლობის, შრომისა და მმართველობითი კონტროლის რთული ფორმები.

უკანასკნელ წლებში დასავლეთის განვითარებული ქვეყნების აგრარულ სტრქუტურებში შეიმჩნევა არატრადიციული ორგანიზაციული ფორმების მქონე ტიპის ფერმერულ მეურნეობათა წარმოქმნა.

დასავლეთის ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ტიპოლოგია, რომელიც დამუშავებულია ინგლისელ მეცნიერთა მიერ, მოიცავს ამ საწარმოთა შინაგანი ორგანიზაციის 8 შემადგენელ ტიპს. იგი ასახავს ფერმერის ოჯახის მიერ მეურნეობის კონტროლირების საშუალების დაკარგვის პროგრესირებად პროცესს. კონტროლისა და მართვის ფუნქცია გადაეცემა უფრო მრავალრიცხოვან ჯგუფს – დასაწყისში ოჯახის წევრებს, ხოლო შემდგომ კი იმ პირებს და პიროვნებათა ჯგუფს, რომლებიც არ იმყოფებიან ერთმანეთთან ნათესაურ კავშირში. მიწაზე საკუთრების უფლება თანდათან უფრო რთულდება, სამუშაო ძალა კი იერარქიულად ორგანიზებული სტრუქტურის ფორმას იძენს.

საყურადღებოა, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მოდერნიზაცია, მისი სიდიდის ცვლილება, აისახა თვით "ოჯახური ფერმის" ცნების შინაარსზეც. დიდი ბრიტანეთის მსგავსად, დასავლეთის სხვა ქვეყნებშიც ფართოდ გამოიყენება ოჯახური ფერმის აღმნიშვნელი ორი ტერმინი – "საოჯახო შრომითი ფერმა", რომელიც წარმოადგენს მცირე ზომის მეურნეობას, სადაც  დასაქმებული არიან მხოლოდ და მხოლოდ ერთი ოჯახის წევრები. უფრო ფართო შინაარსისაა "საოჯახო ფერმერული ბიზნესი", რომელთა ხელმძღვანელი ნათესაურ ან ქორწინებით კავშირში იმყოფებიან, საკუთრებითი ურთიერთობები, ჩვეულებისამებრ, მმართველობით კონტროლთანაა შეხამებული, ხოლო წარმოებაზე კონტროლის უფლება ერთი ოჯახის ფარგლებში თაობიდან თაობას გადაეცემა. დიდ ბრიტანეთში არსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაახლოებით 3\4 საოჯახო შრომით ფერმერებს მიეკუთვნება, ხოლო საოჯახო ბიზნესი კი მოიცავს მთელი ფერმების 90 პროცენტზე მეტს. სწორედ ასეთი მიახლოებითი პროპორციებია დამახასითებელი საზღვარგარეთის მეტწილ ქვეყნებშიც.

მეცნიერთა გამოკვლევებით კანადაში ყველა სასოფლო-სამეურნეო საწარმო ორ მსხვილ ჯგუფად არის დაყოფილი: პირველ ჯგუფს წარმოადგენენ ტრადიციული ორგანიზაციული ფორმით წარმოქმნილი ფერმები, რომლებიც მოიცავენ საოჯახო ფერმების სხვადასხვა ტიპს, ამ ფერმების ნაწილი უზრუნველყოფს მისი მფლობელის სრულ დასაქმებას, ხოლო ნაწილი კი ფერმერის არასრულ საწარმოო დასაქმებას. ასეთი ფერმების იურიდიული სტატუსია – ინდივიდუალური საკუთრება, ამხანაგობა ან საოჯახო კორპორაცია. საოჯახო ფერმები, რომლებიც ფერმერის სრულ დასაქმებას უზრუნველყოფენ, სადაც პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა შეადგენს არანაკლებ 22 ათას კანადურ დოლარს და დაკავებულია არაუმეტეს ორი დაქირავებული პირი, ხოლო ფერმერის სოფლის მეურნეობის გარეთ დასაქმება წელიწადში 95 დღეს არ აღემატება, განსხვავდება იმ საოჯახო ფერმებისაგან, რომლებიც მის მფლობელთა არასრულ დასაქმებას უზრუნველყოფენ და სადაც არასასოფლო-სამეურნეო სამუშაოებით დასაქმებულობა წელიწადში 95 დღეს აღემატება.

არატრადიციული ორგანიზაციული ფორმების მქონე ფერმები მოიცავენ ისეთი ტიპის მეურნეობებს, რომლებშიც ფერმერი დროის უმეტეს ნაწილს უთმობს მხოლოდ და მხოლოდ მმართველობით საქმიანობას. შრომის გამოყოფა მართვისაგან მიმდინარეობს თანდათანობით დაქირავებულ პირთა რაოდენობის ზრდასთან ერთად. ამ ჯგუფის ფერმები მოიცავენ: "ნახევრად მმართველობითი" ტიპის ფერმებს, იურიდიული სტატუსით – ინდივიდუალური საკუთრება, ამხანაგობა ან საოჯახო კორპორაცია, 2-5 დაქირავებული პირით. ამ ფერმის სახელწოდება ასახავს ფერმერის გადასვლის სტადიას შრომითი საქმიანობიდან მმართველობითი ფუნქციის შესრულებაზე, ვინაიდან დაქირავებულ პირთა რაოდენობის ზრდასთან ერთად იგი იძულებულია სულ უფრო მეტი სამუშაო დრო დაუთმოს მათზე ზედამხედველობას და ნაკლებად უხდება თავად ფიზიკური მუშაობა. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ესა თუ ის იურიდიული სტატუსი ყოველთვის ვერ ასახავს საწარმოს ფაქტიურ მდგომარეობას. მაგალითად, საწარმოო კომპანიამ, რომელიც ოჯახის საკუთრებას წარმოადგენს, შეიძლება იყიდოს ფერმა და იგი ამის შემდეგ კლასიფიცირდება როგორც საოჯახო კორპორაცია, ხოლო არასაოჯახო კორპორაციად კი ჩაითვლება ორი ფერმერული ოჯახის გაერთიანებული მეურნეობა; არატრადიციული ორგანიზაციული ფორმის მქონე ფერმათა ჯგუფში შედის აგრეთვე არასაოჯახო კორპორაცია სასოფლო-სამეურნეო სამფლობელოთი, რომლის მიერ რეალიზებული პროდუქციის მოცულობა 56 ათას

კანადურ დოლარზე ნაკლებია. ამ კატეგორიაში შედის არასაოჯახო კორპორაციათა მიერ შექმნილი ფერმები მიწის საკუთრებაში კაპიტალის ინვესტირების და ამის საფუძველზე საგადასახადო უპირატესობების მიღების მიზნით და არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ თუმცა საზღვარგარეთის მაღალგანვითარებული ქვეყნების აგრარულ სექტორში წამყვანი ადგილი ოჯახურ ფერმებს უკავიათ, მაგრამ ამასთანავე მიმდინარეობს არატრადიციული ორგანიზაციული ფორმების მქონე ფერმერულ მეურნეობათა ფართოდ განვითარების პროცესი.

ბოლო წლებში საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში იმის გამო, რომ სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში, პრაქტიკულად გაფართოებული კვლავწარმოების პროცესის განხორციელება შეუძლებელია სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, ფაქტიურად უკუაგდეს სოფლის მეურნეობის თვითრეგულირების იდეა და აქედან გამომდინარე, სწორედ ამის გამო აგრარულ სექტორზე მთლიანად და განსაკუთრებით კი ფერმერთა საქმიანობაზე, გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს განვითარებულ სახელმწიფოთა უმეტესობა.

სოფლის მეურნეობის სახელმწიფო რეგულირების და მართვის სისტემური მიდგომა არსებობს აშშ-ში, სადაც აგროსამრეწველო სფეროსთან დაკავშირებულ პრობლემებს უძღვება ოთხი უწყება: პროდუქტების მართვის სამმართველო, ვაჭრობის დეპარტამენტი, საერთაშორის ვაჭრობის სფეროს კომისია, სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი. სოფლის მეურნეობის მწარმოებლებზე და, რა თქმა უნდა, სურსათზე ზრუნვა სწორედ ამ უკანასკნელს ეკისრება. ამასთან გასათვალისწინებელია ის, რომ ამ ურთიერთობაში ცენტრალური აპარატის მხრიდან გამორიცხულია თუნდაც სულ მცირე დიქტატიც კი.

აშშ-ში მოქმედებს სოფლის მეურნეობის მწარმოებლისადმი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის უაღრესად ქმედითი, მობილური პროგრამები (ფასების, დაკრედიტების, გასაღების, მიწის დაცვის, საერთაშორისო ვაჭრობის და სხვა), რომლებიც აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა მონაწილის, განსაკუთრებით კი უშუალო მწარმოებლების მძლავრ მატერიალურ დაინტერესებას უზრუნველყოფენ.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოებრივ პროგრამებში მონაწილე ერთ ფერმერზე 1987 წელს საშუალოდ გაცემული იქნა 18 ათასი აშშ დოლარი, მათ შორის ერთ წვრილ ფერმერზე მოდიოდა 3,8 ათასი დოლარი, მსხვილ ფერმერზე კი – 68,7 ათასი დოლარი.

ფერმების რიცხვი აშშ-ში შემცირების ტენდენციით ხასიათდება. თუ 1935 წელს აქ 7 მლნ ფერმა იყო, 1985 წელს – 2,3 მლნ, ხოლო 1991 წელს მათი რიცხვი 2,1 მლნ-მდე შემცირდა. ამ უარყოფითი ტენდენციების დაძლევის მიზნით ამერიკის მთავრობა ფერმერების დასახმარებლად სხვადასხვა ღონისძიებებს ატარებს. ამ მხრივ, როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია მთავრობის მიერ შედგენილი პროგრამები, რომლებშიც ნებაყოფლობით ერთიანდებიან ფერმერები. მათი დაინტერესება იმით არის გამოწვეული, რომ პროგრამის წევრი ფერმებისათვის გარკვეული შეღავათებია დაწესებული. პროგრამაში მითითებულია იმის შესახებ, თუ ფერმერმა მისი კუთვნილი მიწის რა რაოდენობის ნაკვეთზე რა პროდუქცია მოიწიოს. მთავრობა წინასწარ აღრიცხავს პროგრამაში გაერთიანებული ფერმერი, თუ რა სახის პროდუქციის წარმოებაშია სპეციალიზებული, შეიძლება მოუვიდეს მითითება, რომ წელს თავისი მიწის ნაკვეთის 40%-ზე დათესოს ხორბალი, 30%-ზე ქერი და 20%-ზე მზესუმზირა, სიმინდი კი შეიძლება წელს საერთოდ არ დაითესოს, ხოლო 10%, როგორც ეს ყველა პროგრამის წევრი ფერმერებისთვისაა სავალდებულო, დაუმუშავებელი უნდა დატოვოს. მარცვლეულის მწარმოებელ სპეციალიზებულ ფერმერს არავინ დაავალებს, რომ მან დათესოს და მოიყვანოს ბოსტნეული ან მისთვის მიუღებელი სხვა სახის პროდუქცია.

ფერმერი ასრულებს მთავრობის ყველა დავალებას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, მას დიდი ჯარიმის გადახდა მოუწევს.

სახელმწიფოსა და პროგრამაში მონაწილე ფერმერთა ურთიერთობებში მთავარ და გადამწყვეტ როლს მაინც ბიზნესის მარეგულირებელი ეკონომიკური მექანიზმი ასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა არ ადგენს ფასებს, თითოეული სახის პროდუქციისათვის დაწესებული აქვს ფასის გარკვეული ნორმატივი. თუ რომელიმე წელიწადს ბირჟის ფასი მთავრობის მიერ დადგენილ ნორმირებულ ფასზე დაბალი იქნება და ფერმერი ვერ გაყიდის თავის პროდუქციას ნორმირებულ ფასზე ძვირად, მაშინ პროგრამის წევრ ფერმერებს სახელმწიფო უხდის განსხვავებას მათ მიერ გაყიდული პროდუქციის ფასსა და მთავრობის მიერ დადგენილ ნორმირებულ ფასს შორის.

ამ პროგრამების საშუალებით სახელმწიფო მეტ-ნაკლებად დახმარებას უწევს ფერმერებს და გარკვეულწილად არეგულირებს პროდუქციის რაოდენობას ბაზარზე და აქედან გამომდინარე ფასს ამ პროდუქციაზე.

აშშ-მა, რომელიც მარცვლეულის ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორია მსოფლიოში, სოფლის მეურნეობის პროდუქტების (განსაკუთრებით მარცვლეულის) ექსპორტის სფეროში შექმნილ სიძნელეთა პირობებში, 1982-1983 წლებში გადადგა საკმაოდ ძვირადღირებული ნაბიჯი, რომელმაც მკვეთრად შეზღუდა ქვეყნიდან მარცვლეულისა და სხვა პროდუქტების (ბამბის) ექსპორტის შესაძლებლობა.

ფერმერები დიდი რაოდენობით აწარმოებდნენ მარცვლეულს და სახელმწიფო ბეღლები სავსე აღმოჩნდა წინა წლებში დაგროვილი მარაგებით.

ამერიკის მთავრობამ ამ პრობლემის მოსაგვარებლად შეიმუშავა "ნატურით" გადახდის დროებითი პროგრამა, რომლის მიხედვით თუ ფერმერი მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე დროებით შეწყვეტს მარცვლეულის მოყვანას, უფასოდ მიიღებს იმდენ მარცვლეულს, რამდენის მიღებასაც ამ მიწაზე ვარაუდობდნენ. ეს პროგრამა ფერმერებს საშუალებას აძლევდა მკვეთრად შეემცირებინათ ხარჯები, გაეყიდათ გასული წლების მარაგი და არა ახლადმოწეული მოსავალი. . შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ფერმერებმა იმდენად შეკვეცეს მარცვლეულის წარმოება, რომ 1989 წლისათვის ნათელი გახდა, რომ ამერიკის მთავრობას აღარ ეყოფოდა მარცვლეულის, განსაკუთრებით ხორბლის მარაგი, ფერმერებისათვის "ნატურით გადახდის" პროგრამის განსახორციელებლად. ასეთ შემთხვევაში საგანგებო სამთავრობო იმპორტული შესყიდვის ორგანიზაციის პერსპექტივა ნაკლებად მიმზიდველი ჩანდა. ამიტომ, სასწრაფოდ შემუშავდა ახალი პროგრამა, რომლის მიხედვითაც ფერმერები მთავრობისაგან ნაკლებ მარცვლეულს ღებულობდნენ, მაგრამ ამავე დროს გადასახადების გადამხდელებს თავისი ჯიბიდან მეტი ნაღდი ფული უნდა გადაეხადათ.

"ნატურით გადახდის" პროგრამამ მარცვლეულის ექსპორტი შეამცირა. საზღვარგარეთ გასატანმა რესურსებმა იკლო და ექსპორტით მარცვლეულის მიწოდებას ემბარგო დაედო.

როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებისა და სოფლად სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარების მუხრუჭად იქცა წვრილ-სასაქონლო ფერმერულ მეურნეობათა

დაგროვება, წარმოების განვითარების დაბალი დონე, ბანკის კრედიტზე მათი ხელმიუწვდომლობა, სავახშო, სავაჭრო და საშუამავლო კაპიტალის მომძლავრება. სავახშო კაპიტალის ექსპლუატაციისაგან განთავისუფლების მისწრაფებამ სტიმული მისცა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 30-იან წლებში შვედეთში, ხოლო 50-იან წლებში გერმანიაში შექმნილიყო პირველი საკრედიტო დაწესებულებები, რომლებიც თვით სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებლებს ეკუთვნოდათ. საშუამავლო კაპიტალთან ბრძოლის აუცილებლობამ და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზართან და წარმოების საშუალებათა მწარმოებლებთან პირდაპირი კავშირების დამყარების მიზანმა განაპირობა 1880-1885 წლებში შვედეთში და დანიაში პროდუქციის გადამუშავებისა და გასაღების, ხოლო ნიდერლანდებსა და საფრანგეთში თესლის, სასუქებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემსყიდველი პირველი კოოპერატივების შექმნა. გასული საუკუნის დასაწყისში ფერმერთა ურთიერთდახმარების ორგანიზაციის კოოპერატიულმა ფორმამ ფართო გავრცელება ჰპოვა პრაქტიკულად ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში. ამ ფორმის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ფერმერები გახდნენ რა აგროსამრეწველო კომპლექსის ორგანიზაციული რგოლი, თითქმის მთლიანად განთავისუფლდნენ ნამატი პროდუქციის გასაღებაზე ზრუნვისაგან, მათ ამ მხრივ ხელსაყრელ სამსახურს უწევს აგრობიზნესის შესაბამისი რგოლი. სწორედ ამის გამო, აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში დღეისათვის საკმაოდ წარმატებულად ფუქნციონირებს არც თუ ისე ცოტა ინდივიდუალური გლეხური მეურნეობები.

საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში კოოპერატივის მიზანს წარმოადგენს არა მხოლოდ მოგების მიღება, არამედ ფერმერთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი პროდუქციის გასაღების, მისი გადამუშავების, მეურნეობათა სხვადასხვა საშუალებებით მომარაგების, საერთოდ საწარმოო მომსახურეობის კოლექტიური ორგანიზაციის გზით.

ფერმერებს და კოოპერატივებს შორის ურთიერთობა ნებაყოფლობით, ხელშეკრულების საფუძველზე ყალიბდება. იგი ერთიანი, უწყვეტი კონვეირული ტექნოლოგიით ხორციელდება და ყოველმხრივ უზრუნველყოფს მის მონაწილე ყველა სუბიექტის მაღალრენტაბელური განვითარების ხელშეწყობას. ამ ურთიერთობის პირობებში ფერმერები სრულად ინარჩუნებენ სამეურნეო დამოუკიდებლობას და ამასთან შენარჩუნებულია მათი მატერიალური დაინტერესების მაღალი ხარისხი.

სოფლის მეურნეობის მაღალგანვითარებული კოოპერაციული სისტემით ხასიათდება შვედეთი, ნორვეგია, ფინეთი, ირლანდია, ნიდერლანდები და იაპონია. საფრანგეთში სასოფლო-სამეურნეო საწარმოების 80% გაერთიანებულები არიან კოოპერატივებში, დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, იტალიაში კი ფერმერულ მეურნეობათა საერთო რაოდენობის 30-35%.

ფართოდაა გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ერთობლივი გამოყენების მცირე ზომის ფერმერულ გაერთიანებებში. ძვირადღირებულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას ფერმერები საზიაროდ იძენენ, შემდეგ კი მისი გამოყენებისათვის წინასწარ დადგენილ საზღაურს იხდიან.

აშშ-ში, კანადაში, ბელგიაში მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამსაღებელი და გადამამუშავებელი კოოპერატივები მარცვლეულში, სარძეო მესაქონლეობაში და მეღორეობაში; პრაქტიკაში ინერგება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სამეურნეობათშორისო გამოყენების კოოპერატიული ფირმები "სამანქანო რგოლების", "სამანქანო ბანკებისა" და სხვათა სახით. კოოპერატივები ანხორციელებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესყიდვა-შენახვას, რემონტს და საზიარო ექსპლუატაციას.

საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქციის გასაღებაში კოოპერატივები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ამ მხრივ კოოპერატივების ხვედრითი წონა განსაკუთრებით მაღალია მეცხოველეობის პროდუქციის გასაღებაში დანიაში, ნორვეგიაში, შვედეთში, საფრანგეთსა და ფინეთში, ხოლო მარცვლეულის (ხორბლის) გასაღებაში – საფრანგეთში (67%) (ცხრილი 1.2.2).

ფერმერული მეურნეობების განვითარების რთულ სისტემაში განსაკუთრებული როლი ეკისრება მარკეტინგული საქმიანობის სწორი მიმართულებით წარმართვას. იგი სწავლობს და ინფორმაციას იძლევა, თუ სად, რა, რამდენი ღირს ესა თუ ის პროდუქცია; ყოველივე ეს კი ეხმარება ფერმერებს, კოოპერატივებს, უკეთ იყვნენ ორიოენტირებულნი წარმოების სტრუქტურასა და მოცულობაზე, სარფიანი სავაჭრო პარტნიორის არჩევანზე და სხვა. მარკეტინგული სამსახური გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს აგრეთვე წარმოების რაციონალურ სპეციალიზაციაზე, რაც უშუალოდ ბაზრის მექანიზმით რეგულირდება.

ვინაიდან როგორც საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების, ისე ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისათვის დამახასიათებელი სასოფლო-სამეურნეო

წარმოების სფეროში განვითარებული კრიზისული მოვლენები იდენტურია საქართველოსთვისაც, საინტერესოა, თუ რა სიტუაციაა ფერმერული მეურნეობების შექმნის თვალსაზრისით ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებშიც.

**საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქციის გასაღებაში კოოპერატივების ხვედრითი წილი (%-ში – 1988წ.)**

*ცხრილი 1.2.2*

| № | ქვეყნების დასახელება | ხორბალი | ხილი | ბოსტნეული | მრავ ხორცი | რძე | Fფრინველის ხორცი | კვერცხი | ღორის ხორცი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აშშ | 33 | 17 | 17 | 9 | 78 | 8 | 8 | 9 |
| 2 | საფრანგეთი | 67 | 42 | 30 | 21 | 52 | 45 | 25 | 64 |
| 3 | დიდი ბრიტანეთი | 20 | 33 | 17 | 10 | 80 | 2 | 28 | 13 |
| 4 | იტალია | 35 | 31 | 10 | 6 | 32 | - | 5 | 15 |
| 5 | ნიდერლანდები | 60 | 75 | 80 | 16 | 86 | 27 | 18 | 26 |
| 6 | ბელგია | 20 | 55 | 55 | - | 65 | - | - | 10 |
| 7 | ირლანდია | 34 | - | - | 5 | 97 | 10 | 5 | 27 |
| 8 | საბერძნეთი | - | 39 | 14 | 7 | 21 | 23 | 16 | 4 |
| 9 | დანია | 47 | 60 | 60 | 75 | 91 | 55 | 65 | 96 |
| 10 | ნორვეგია | - | - | - | 78 | 100 | - | 83 | 78 |
| 11 | შვედეთი | 65 | - | - | 80 | 99 | - | 45 | 80 |
| 12 | ფინეთი | 62 | - | - | 68 | 98 | - | 60 | 68 |

1993 წლის მონაცემებით რუსეთში 262 ათასი ფერმერული მეურნეობა ფუნქციონირებდა; თითოეულ მეურნეობაზე საშუალოდ 42 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული მოდიოდა. ამავე პერიოდში უკრაინაში, შესაბამისად – 24,6 ათასი და 20 ჰა, ყირგიზეთში – 16 ათასი და 22 ჰა, ყაზახეთში – 14,3 ათასი და 44,4 ჰა, ბელორუსიაში – 2,6 ათასი და 20 ჰა, უზბეკეთში – 5,3 ათასი და 10 ჰა, სომხეთში – 281,9 ათასი და 1,5 ჰა, ტაჯიკეთში მხოლოდ 8 მეურნეობა და 45 ჰა, თურქმენეთში – 100 ათასი და 1 ჰა, მოლდავეთში – 2,4 ათასი და 3 ჰა, ხოლო ბალტიისპირეთის ქვეყნებში ფერმერულ მეურნეობათა ჩამოყალიბების პროცესი ჯერ კიდევ 1980 წელს დაიწყო და ამ პერიოდისათვის აქ მათი რიცხვი 500 ერთეულით განისაზღვრებოდა. ამ პერიოდში აქ საშუალოდ ერთ მეურნეობაზე მოდიოდა 24,5 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული, მათ შორის 6,8 ათასი სახნავი.

საყურადღებოა, რომ ფერმერული მეურნეობები სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფაზე არსებით გავლენას ჯერ კიდევ ვერ ახდენენ. მაგალითად, რუსეთში 1991-1993 წლებში ფერმერულ მეურნეობათა ხვედრითი წილი სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში ერთ პროცენტსაც კი არ აღემატებოდა.

1990 წელს რუსეთში ჩატარებულ ფერმერულ მეურნეობათა შერჩევითი გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ შესწავლილი ფერმერული მეურნეობების 42% სპეციალიზდება მარცვლეულის (ხორბლის) პროდუქციის წარმოებაზე, ხოლო 42% კი ერთდროულად მისდევს როგორც მეცხოველეობას, ისე მემცენარეობასაც (რომელიც ხშირ შემთხვევაში მეცხოველეობისათვის საჭირო საკვები ბაზით უზრუნველყოფას ემსახურება).

რუსეთში ფერმერულ მეურნეობათა განვითარების პირველმა შედეგებმა ცხადყო, რომ ჯერ კიდევ სერიოზული პრობლემებია გადასალახი. გამოკითხულ ფერმერთა 3/4-მა მათი მეურნეობის განვითარების შემაფერხებელ ერთ-ერთ მთავარ მიზეზად საჭირო ტექნიკის უკმარისობა, ფერმერთა 1/3-მა – ცხოვრების ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები, ხოლო 16%-მა მიწის უკმარისობა დაასახელა.

სწორედ ზემოთჩამოთვლილ მიზეზთა გამო 1993 წელს რუსეთში თავისი საქმიანობა 10,9 ათასმა ფერმერულმა მეურნეობამ შეწყვიტა.

როგორც აღვნიშნეთ, მეტად მდიდარი გამოცდილებაა დაგროვილი საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში ფერმერული მეურნეობების განვითარების თვალსაზრისით, რომელთა უნარიანი გამოყენება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მეცნიერულად დასაბუთებელ პროგრამას შევადგენთ ამ მიმართულებით, და, რაც მთავარია, როგორ მიზანმიმართულად გამოვიყენებთ და განვახორციელებთ პრაქტიკულად. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მივაღწიოთ აგრარულ სფეროში ფერმერული მეურნეობების განვითარების სასურველი შედეგები.

## 1.3. აგრარული რეფორმა და ფერმერული მეურნეობების ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მთელი სიმწვავით დადგა მსოფლიო ბაზრის სისტემაში ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობის დამოუკიდებლად დამკვიდრების პრობლემა. პირველი

წლები, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით უმძიმესი იყო საქართველოსათვის. 1991-1994 წლების ცნობილმა მოვლენებმა, სამოქალაქო ომმა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევამ უარყოფითი ასახვა ჰპოვა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ეკონომიკის მკვეთრმა დაქვეითებამ შესაბამისი გავლენა იქონია მოსახლეობის ცხოვრების დონეზეც. ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ამ პერიოდისათვის 7-ჯერ და მეტად შემცირდა. ქვეყანა ღრმა კრიზისმა მოიცვა. კრიზისულ წლებში მთლიანი შიდა პროდუქტი 1990 წლის დონესთან შედარებით 11,3 მილიარდი აშშ დოლარიდან 1,7 მლრდ დოლარამდე, ანუ 7-ჯერ შემცირდა. ამ პერიოდში ქვეყანა გადაიქცა მცირე მასშტაბის, მხოლოდ აგრარულ სექტორზე დაფუძნებული ეკონომიკის მქონე სახელმწიფოდ.

აღნიშნულ პერიოდებში შექმნილმა ვითარებამ უდიდესი უარყოფითი გავლენა მოახდინა აგროსასურსათო კომპლექსზეც. პრაქტიკულად მოიშალა სოფლად საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა, შეწყდა აგროსამრეწველო სფეროს ინვესტირება და ტექნოლოგიური აღჭურვა.

შექმნილი კრიზისული ვითარებიდან ერთადერთ გამოსავლად რეფორმების განხორციელება იქნა მიჩნეული.

მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამის მოწონებით საქართველოში დაიწყო ეკონომიკური რეფორმების პირველი ეტაპის განხორციელება. აღნიშნული რეფორმა, საწყის ეტაპზე სახელმწიფო საკუთრების ტრანსფორმაციის ხასიათს ატარებდა. დაიწყო დეკოლექტივიზაციის, მიწისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მასობრივი პრივატიზაციის პროცესი.

მართალია, საწყის ეტაპზე ეს პროცესები, არასაკმარისი საკანონმდებლო ბაზის გამო, სერიოზული ხარვეზებით წარიმართა, მაგრამ მიუხედავად ამისა, დასაბამი მიეცა მიწაზე კერძო საკუთრების დამკვიდრების პროცესს. მილიონზე მეტი კომლი (ოჯახი) გახდა მიწის მესაკუთრე. აგროსამრეწველო სისტემის 500-მდე საწარმო ჩართული იქნა პრივატიზების პროცესში. დაიწყო სოციალისტური სისტემის 1582 სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რეორგანიზაციის პროცესი. გატარებული რეფორმების და სახელმწიფო საკუთრების ტრანსფორმაციის შედეგად ქვეყანაში ჩამოყალიბდა კერძო მესაკუთრეთა ფენა.

1995 წლიდან, მთელი რიგი დონორი ქვეყნების და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერის, რეფორმის ხელშემწყობი აუცილებელი კანონების მიღებისა და ქვეყანაში სტაბილიზაციის მიღწევის შედეგად, დაიწყო ეკონომიკის სტაგნაციიდან გამოსვლისა და გამოცოცხლების პროცესი.

დაწყებული რეფორმის შედეგია ის, რომ ეკონომიკურ რუქაზე გაჩნდნენ საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ახალი მეწარმე სუბიექტები. სოფლად ჩამოყალიბდა კერძო მეწარმეთა და საქონელმწარმოებელთა ახალი ფენა – ფერმერები.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ წვრილი გლეხური მეურნეობები ქვეყანაში ჯერ კიდევ რეფორმამდე, ყოფილ საბჭოთა ეპოქაშიც ფუნქციონირებდნენ მოსახლეობის ინდივიდუალურ სარგებლობაში არსებული საკარმიდამო ნაკვეთების სახით. 1990 წლის მონაცემებით, ქვეყნის 764 ათასი კომლი და ოჯახი სარგებლობდა 195,6 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულით, რაც მთელი სავარგულების 6,6%-ს, ხოლო ინტენსიური სავარგულების 17,6%-ს შეადგენდა. საყურადღებოა, რომ 1 ჰა ინტენსიურ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე პირად დამხმარე მეურნეობებში იწარმოებოდა 5-ჯერ მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ვიდრე სახელმწიფო მეურნეობებში. მხოლოდ ეს ფაქტიც კი მიუთითებდა ინდივიდუალურ (კერძო) საკუთრებაზე დაფუძნებული წარმოების უპირატესობაზე საზოგადოებრივ საკუთრებაზე დაფუძნებულთან შედარებით და რეფორმების აუცილებლობაზე.

საქართველოში აგრარული რეფორმა საადგილმამულო ურთიერთობათა მოწესრიგებით და უპირველეს ყოვლისა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების პრივატიზებით დაიწყო. ეს უკანასკნელი სათავეს ღებულობს "საქართველოს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ" საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის [1]48 დადგენილებით (2.1.), რომელიც შემდგომში დაგვირგვინდა "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" და "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ" 1996 წელს მიღებული ფუნდამენტური კანონებით. ამ კანონების მიღებით სახელმწიფომ საკანონმდებლო საფუძველზე გამოხატა ისტორიულად უმნიშვნელოვანესი, უმაღლესი პოლიტიკური ნება მიწაზე კერძო საკუთრების აღიარებისა და დამკვიდრების თაობაზე. შეიქმნა მიწის ბაზრის ფორმირებისა და შემდგომი ფუნქციონირების წინაპირობები.

მიწის რეფორმა დაიწყო სამართლიანობის აღდგენით, როდესაც სოფლად მაცხოვრებელ კომლებს დაუბრუნდათ საბჭოთა წყობილების დროს ჩამორთმეული 25 ათას ჰექტარზე მეტი ჩამონაჭერი ნაკვეთები.

1992 წლიდან დღემდე კერძო საკუთრებაში სულ უსასყიდლოდ იქნა გაცემული 747,2 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ხოლო იჯარით 905,1 ათასი ჰექტარი (ცხრილი 1.3.1).

**საკუთრებაში და იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები 2004 წლის 1 აპრილის მდგომარეობით***

*ცხრილი 1.3.1*

| სავარგულების დასახელება | ფართობი სულ | % | მათ შორის | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | გადაეცათ კერძო საკუთრებაში | % | გაიცა იჯარით | % | გაიცა კერძო საკუთრებაში და იჯარით | % | დარჩა გასაცემელი | % |
| სახნავი | 802,1 | 100 | 438,5 | 54,7 | 222,7 | 27,7 | 661,2 | 82,4 | 140,9 | 17,6 |
| მრავალწლ. ნარგავი | 263,5 | 100 | 180,2 | 68,4 | 30,3 | 11,5 | 210,5 | 79,9 | 53,0 | 20,1 |
| სათიბი | 143,8 | 100 | 44,0 | 30,6 | 46,1 | 32,0 | 90,1 | 62,6 | 53,7 | 37,4 |
| საძოვარი | 1796,0 | 100 | 84,5 | 4,7 | 606,0 | 33,7 | 690,5 | 38,4 | 1105,5 | 61,6 |
| სას.სამ. სავარგული | 3005,4 | 100 | 747,2 | 24,8 | 905,1 | 30,1 | 1652,3 | 54,9 | 1353,1 | 45,1 |

* საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

2004 წლის 1 აპრილის მდგომარეობით საკუთრებაში სულ გადაეცა 747,2 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ანუ მთლიანი რაოდენობის 24,8%, აქედან სახნავი ფართობის საერთო მოცულობის 54,4% (438,5 ათ. ჰა), მრავალწლიანი ნარგავების 68,4% (180,2 ათ. ჰა), სათიბის 30,6% (44,0 ათ. ჰა) და საძოვრის – 4,7% (84,5 ათ. ჰა).

შესაბამის პერიოდში იჯარით გაიცა 905,1 ათ. ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ანუ მთელი სავარგულების 30,1%. აქედან სახნავი – 222,7 ათასი ჰექტარი (27,7%), მრავალწლიანი ნარგავი – 30,3 ათასი ჰექტარი (11,5%), სათიბი – 41,1 ათასი ჰექტარი (32,0%) და საძოვარი – 606,0 ათასი ჰექტარი (33,7%).

საკუთრებაში და იჯარით გაცემული მიწებიდან ინტენსიური სავარგულების ხვედრითი წილი შეადგენდა, შესაბამისად – 58,0 და 18,1%-ს.

გაუცემელი დარჩა 1353,1 ათ. ჰექტარი, ანუ მთელი სავარგულების 45,1%. მათ შორის: სახნავი – 140,9 ათასი ჰექტარი (17,6%), მრავალწლიანი ნარგავი – 53,0 ათასი ჰექტარი (20,1%), სათიბი – 53,7 ათასი ჰექტარი (37,4%) და საძოვარი – 1105,5 ათასი ჰექტარი (61,6%). გაუცემელი ფართობიდან ინტენსიური სავარგულია 193,9 ათასი ჰექტარი (18,2%), საიდანაც აფხაზეთის და სამაჩაბლოს ტერიტორიაზეა 72,9 ათასი ჰექატრი (37,6%).

საძოვრების კერძო საკუთრებაში და იჯარით გაცემაში დაბალი მაჩვენებლები განპირობებულია იმით, რომ მათი ძირითადი ნაწილი (43%) განლაგებულია კავკასიონის მთის ფერდობებზე და ისინი გამოიყენებიან ძირითადად მხოლოდ მომთაბარე მეცხოველეობისათვის, ისიც 2-3 თვით წელიწადში.

მიწა კერძო საკუთრებაში მიიღო 1110,8 ათასმა ოჯახმა (კომლმა), საშუალოდ ერთ ოჯახზე (კომლზე) საკუთრებაში გაცემულია 0,68 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული. სოფლად მცხოვრებმა 772,5 ათასმა კომლმა (მესაკუთრეთა 69,5%) კერძო საკუთრებაში მიიღო საშუალოდ 0,89 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ხოლო ქალაქად მცხოვრებმა 338,3 ათასმა ოჯახმა (მესაკუთრეათა 30,5%) საკუთრებაში მიიღო საშუალოდ 0,22 სასოფლო-სამეურნეო სავარგული. მიწის მესაკუთრეთა ოჯახებიდან (კომლებიდან) 713 ათასი ყოფილი კოლმეურნეები არიან, ხოლო დანარჩენი – 397 ათასი სოციალური სფეროს წარმომადგენელი.

იჯარით გაცემული მიწებით სარგებლობს 40 ათასი ფიზიკური და 4 ათასი იურიდიული პირი, მათზე იჯარით გაცემულია საშუალოდ, შესაბამისად – 11,8 ჰა და 102,9 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული. იჯარით გაცემულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა 26%-ს ფლობენ მოიჯარე ფიზიკური პირები – წვრილი გლეხური მეურნეობები, ხოლო 73,4%-ს მოიჯარე იურიდიული პირები – მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების კერძო საკუთრებაში გადაცემა რომ პროგრესული მოვლენაა, ეს უდავოა, მაგრამ ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს იმ უარყოფითი ტენდენციების შესახებ, რომლებმაც ერთგვარად შეაფერხა სოფლად აგრარული ურთიერთობების განვითარების პროცესი. ამ თვალსაზრისით უდავოდ უმთავრეს შემაფერხებელ ფაქტორად მიწების პარცელაცია მიგვაჩნია. კერძო საკუთრებაში გადაცემული 747,2 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები დაქუცმაცებულია დაახლოებით 4 მილიონზე მეტ ნაკვეთად, თითოეული ნაკვეთის

სიდიდე კი საშუალოდ 0,2-0,24 ჰექტრამდე მერყეობს. ამასთან ეს ნაკვეთები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისაგან დიდი მანძილითაა დაშორებული. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ამგვარი განლაგება და დანაწევრება ხელს უშლის მათ ეფექტიანად გამოყენებას, ვინაიდან რთულდება ნიადაგის მექანიზაციის საშუალებით დამუშავების პირობები, რაც უარყოფითად მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარების ხარისხზე, ამცირებს მანქანა-იარაღების გამოყენების ეფექტიანობას და შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობას, ზრდის პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ მატერიალურ-ფულად დანახარჯებს, რაც საბოლოო ჯამში აძვირებს ერთეული პროდუქციის თვითღირებულებას.

წვრილი გლეხური მეურნეობების კერძო საკუთრებაში გადაცემული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სიდიდის მიხედვით დაჯგუფების მასალების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ 0,25 ჰექტრამდე სიდიდის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს ფლობს მიწის მესაკუთრე კომლთა (ოჯახთა) 23,9%; 0,25-0,5 ჰექტრამდე – 20%; 0,5-0,75 ჰექტრამდე – 21,7%; 0,75-1 ჰექტრამდე – 17,6%; 1-დან 1,5 ჰექტრამდე – 15,9%; 1,5-2 ჰექტრამდე – 0,4%, ხოლო 2,1 ჰექტარზე მეტი სიდიდის სავარგულს – 0,5% კომლი (ოჯახი). უნდა აღინიშნოს, რომ მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა სტრუქტურაში უმთავრესად მაღალი ხვედრითი წილით წარმოდგენილია სახნავი მიწები, რომლებიც (დაჯგუფების თითოული კატეგორიის მიხედვით) მერყეობს 66-72%-ის ფარგლებში.

განსხვავებული სტრუქტურით ხასიათდება იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიხედვით დაჯგუფების მაჩვენებლები (ცხრილი 1.3.2).

**იჯარით აღებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაჯგუფების მაჩვენებლები (2002წ., %-ით)***

*ცხრილი 1.3.2*

| | 5 ჰა-მდე | 5-დან 10 ჰა-მდე | 10-დან 30 ჰა-მდე | 30-დან 50 ჰა-მდე | 50-დან 100 ჰა-მდე | 100 ჰა-ზე მეტი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მოიჯარეთა რაოდენობა | 86,4 | 3,7 | 6,1 | 1,4 | 1,2 | 1,2 | 100 |
| იჯარით გაცემული სას.სამ. სავარგული | 28,9 | 2,7 | 9,2 | 5,4 | 3,1 | 45,7 | 100 |
| სახნავი | 12,7 | 5,8 | 18,5 | 5,0 | 12,4 | 45,6 | 100 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მავალწლიანი ნარგავი | 11,7 | 2,0 | 5,6 | 2,3 | 0,8 | 77,6 | 100 |
| სათიბი | 28,8 | 1,5 | 8,0 | 4,3 | 5,5 | 51,9 | 100 |
| საძოვარი | 45,6 | 0,3 | 1,8 | 1,7 | 4,1 | 46,5 | 100 |
| ინტენს. სას.სამ. სავარგ. | 12,2 | 3,9 | 12,1 | 3,6 | 6,6 | 61,6 | 100 |

* საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

5 ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო სავარგული, რომელიც იჯარით გაცემული სავარგულების 28,9%-ია, იჯარით აღებული აქვთ მოიჯარეთა 86,4%-ს, 5-დან 10 ჰექტრამდე შესაბამისად – 2,7 და 3,7%; 10-დან 30 ჰექტრამდე – 9,2 და 6,1%; 30-დან 50-მდე – 5,4 და 1,4%; 50-დან 100 ჰექტრამდე – 8,1 და 1,2%; ხოლო 100 ჰექტარზე მეტი – 45,7 და 1,2%.

როგორც კვლვამ გვიჩვენა, მოსახლეობის მიწით უზრუნველყოფის დაბალი დონის გამო მოიჯარეთა 86,4%-სათვის შესაძლებელი გახდა მხოლოდ 5 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო სავარგულის იჯარით აღება, ხოლო 100 ჰა-ზე მეტი სიდიდის იჯარით აღებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 45,7% მსხვილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მფლობელები არიან. საყურადღებოა, რომ იჯარით გაცემულ სავარგულთა დაჯგუფების სტრუქტურაში განსაკუთრებით მაღალია სახნავის ხვედრითი წილი, სადაც 5-დან 10 ჰა-მდე იჯარით აღებული აქვთ მოიჯარეთა 5,8%, 10-დან 30 ჰა-მდე – 18,5%, 30-დან 50 ჰა-მდე – 5,0%, 50-დან 100 ჰა-მდე – 12,4%.

მართალია ქვეყანაში ფართოდ დამკვიდრდა საიჯარო ურთიერთობათა ახალი ფორმები, მაგრამ უკანასკნელ ხანს შეიმჩნევა სავარგულების იჯარით გაცემის ტემპების საგრძნობლად შემცირება, რაც ძირითადად მიწის დამუშავებისა და კულტურათა მოვლა-მოყვანის სიძვირით იყო გამოწვეული. ამის გამო, ხშირად იჯარით აღებული სავარგულების საკმაოდ დიდი ნაწილი დაუმუშავებელი რჩებოდა. ამასთან ფერმერთა მცირე შემოსავლებსაც თუ გავითვალისწინებთ, ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, მოიჯარეთა მიერ იჯარით აღებული ნაკვეთების უკან დაბრუნების პროცესი კანონზომიერ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. ამავე მიზეზით მრავლადაა აგრეთვე საკუთრებაში გაცემული სავარგულების უკან დაბრუნების შემთხვევები, რაც საერთო ფართობის დაახლოებით 25-30%-ის ფარგლებში მერყეობს.

რეფორმამდე კომლთა ინდივიდუალურ სარგებლობაში მხოლოდ 195,0 ათასი ჰა, ანუ მთელი სავარგულების 6,6% იყო. ადრე არსებული 821 კოლმეურნეობის, 1029 სახელმწიფო მეურნეობის, 116 მეურნეობათაშორისი ორგანიზაციის, 28 სასოფლო-

სამეურნეო კოოპერატივისა და 69 სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციის ნაცვლად, გაჩნდნენ ახალი ტიპის მეწარმეები – ფერმერები.

ახლადჩამოყალიბებული ფერმერული მეურნეობები, სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საკუთრების, სარგებლობის, ფორმებისა და ზომების მიხედვით შეიძლება სამ ტიპად დაჯგუფდეს:

- მიწის მესაკუთრე კომლთა და ოჯახთა მეურნეობები, რომელთაც კერძო საკუთრებაში აქვთ საშუალოდ 0,68 სასოფლო-სამეურნეო სავარგული. ასეთ ფერმერთა რაოდენობა 1110 ათასს აღემატება.
- ფიზიკურ პირთა ფერმერული მეურნეობები, რომლებიც სარგებლობენ საშუალოდ 5 ჰექტრამდე იჯარით აღებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულით; მათი რაოდენობა 41 ათასზე მეტია.
- მიწის მოიჯარე იურიდიულ პირთა ფერმერული მეურნეობები, რომლებიც სარგებლობენ საშუალოდ 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულით. მათი რაოდენობა 5 ათასამდეა (3.24., გვ.88).

აგროსასურსათო სექტორში წარმოებული მთლიანი პროდუქციის 80%-ზე მეტი ზემოაღნიშნული პირველი ორი ტიპის ფერმერულ მეურნეობებზე მოდის, ხოლო დანარჩენი 20% კი მესამე ტიპის – მიწის მოიჯარე იურიდიულ პირთა ფერმერულ მეურნეობებზე.

საადგილმამულო წვრილი გლეხური მეურნეობების სოციალური და ეკონომიკური დახასიათების თვალსაზრისით მეტად საინტერესოა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, კანადის სტატისტიკური სამსახურის სპეციალისტთა ჯგუფის ტექნიკური დახმარებით 1995-97 წლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შინამეურნეობების გამოკვლევის შედეგად მიღებული შედეგები. ამასთან 2002-2003 წლებში ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ერთობლივი პროექტის ფარგლებში განხორციელდა შინამეურნეობების ფართომასშტაბიანი გამოკვლევა უფრო დახვეწილი და თვისობრივად გაუმჯობესებული ინსტრუმენტებით.

აღნიშნულ გამოკვლევებზე დაყრდნობით დამუშავებული მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ საადგილმამულო მეურნეობების მიერ გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან საშუალოდ ერთ შინამეურნეობაში ხორბლის და

მზესუმზირის ნათესებზე მოდის შესაბამისად 0,8 და 0,7 ჰექტარი, რაც საგრძნობლად სჭარბობს დანარჩენი კულტურების მონაცემებს, ხოლო შინამეურნეობების მთლიანი ფართობიდან ყველაზე დიდი სიდიდის ფართობები მოდის სიმინდზე (121,1 ათ. ჰა), ხორბალზე (70,5 ათ. ჰა), ვენახზე (51,1 ათ. ჰა), ხეხილზე (45,1 ათ. ჰა), ბოსტნეულ-ბაღჩეულზე (43,9 ათ. ჰა), სათიბ-საძოვრებზე (42,4 ათ. ჰა), (ცხრილი 1.3.3.).

ქვეყნის მხარეების მიხედვით წარმოდგენილი მასალებით თუ ვიმსჯელებთ, როგორც ფართობების მთლიანი მოცულობით, ისე საშუალოდ ერთ შინამეურნეზე გაანგარიშებით, ყველაზე მაღალია ხორბლის, სიმინდის და ბოსტნეულის ნაკვეთები კახეთის, ქართლის, იმერეთის და გურიის რეგიონებში, ეს არცაა გასაკვირი, რადგან, გარდა იმისა, რომ ამ კულტურების მოვლა-მოყვანა შედარებით ნაკლებ დანახარჯებთან არის დაკავშირებული, ისინი მოსახლეობის მიერ ყველაზე მეტად გამოიყენება როგორც პირადი მოხმარებისთვის, ისე სარეალიზაციოდ.

ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოში ფერმერული მეურნეობების მიერ წარმოებულ პროდუქციაში მაღალია ხორბლის, სიმინდის, საკვები კულტურების და ციტრუსების პროდუქციის ხვედრითი წილი, რაც ყველაზე მეტად ვლინდება საშუალოდ ერთ შინამეურნეობაზე თვეში წარმოებულ შესაბამის პროდუქციაზე გაანგარიშებით (ცხრილი 1.3.4.).

ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ საშუალოდ ერთ შინამეურნეობაზე თვეში წარმოებული ხორბლის (468,4 კგ), სიმინდის (283,3 კგ), საკვები კულტურების (205,2 კგ) პროდუქციასთან ერთად მაღალია აგრეთვე ციტრუსების (405,5 კგ/თვეში) პროდუქციის მაჩვენებლებიც.

**საქართველოს შინამეურნეობებში წარმოებული მიწათმოქმედების ძირითადი პროდუქცია (2003წ.)***

*ცხრილი 1.3.4.*

| პროდუქციის სახეები | შინამეურნეობებში წარმოებული პროდ. სულ (ტონა) | საშუალოდ ერთი შინამეურნეობის მიერ (კგ/თვეში) |
|---|---|---|
| ხორბალი | 138152 | 468,4 |
| სიმინდი | 332350 | 283,3 |
| კარტოფილი | 170070 | 161,1 |
| მზესუმზირა | 9190 | 151,2 |
| ბაღჩეული | 30600 | 100,5 |
| კურკოვანი ხილი | 30929 | 24,4 |
| ვაშლი | 66823 | 55,1 |

| | | |
|---|---|---|
| მსხალი | 30657 | 29,2 |
| ციტრუსი | 78054 | 405,5 |
| ყურძენი | 117102 | 141,2 |
| ჩაი | 115 | 10,9 |
| თამბაქო | 304 | 63,2 |
| საკვები კულტურები | 43719 | 205,2 |

* საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

საქართველოს ფერმერულ მეურნეობათა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება მნიშვნელოვან როლს ასრულებს. გაანგარიშებები ცხადყოფს, რომ საშუალოდ ერთ ფერმერულ მეურნეობაზე მოდის 1,7 ფური; 1,6 ღორი; 15,3 ცხვარი; 15,0 ფრთა ფრინველი და 10,7 ფუტკრის ოჯახი; ხოლო საშუალოდ იწარმოება: რძე – 1915 კგ/თვეში, საქონლის ხორცი – 256 კგ/თვეში, ფრინველის ხორცი – 29 კგ/თვეში, კვერცხი – 610 ათ.ც./თვეში, მატყლი – 75 კგ/თვეში, თაფლი – 432 კგ/თვეში (ცხრილი 1.3.5.).

**მეცხოველეობის სულადობის და პროდუქციის წარმოების მაჩვენებლები საქართველოს შინამეურნეობებში (2003წ.)***

*ცხრილი 1.3.5.*

| | ათასი სული | წარმ. სულ ათ. ტონა | მოდის საშ. ერთ შინამეურნ (სული) | წარმ. საშ. ერთი შინამეურნ. მიერ (კგ/თვეში) |
|---|---|---|---|---|
| ფური | 603 | - | 1,7 | - |
| მრპ ხორცი | - | 2,8 | - | 256,0 |
| რძე | - | 588,3 | - | 1915,0 |
| ღორი | 300 | - | 1,6 | - |
| ღორის ხორცი | - | 16,4 | - | 238,0 |
| ფრინველი (ათ. ფრთა) | 7188 | - | 15,0 | |
| ფრინველის ხორცი | | 8,3 | - | 29,0 |
| კვერცხი ათ.ც. | - | 220,2 | - | 610,0 |
| ცხვარი | 796 | - | 15,3 | - |
| ცხვრის ხორცი | - | 389 | - | 52,0 |
| მატყლი | - | 0,7 | - | 75,0 |
| ფუტკრის ოჯახი | 11,6 | - | 10,7 | - |
| თაფლი | - | 1,6 | - | 432 |

* საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

როგორც აღნიშნული გვქონდა, მწვავე ეკონომიკური კრიზისის წლებში ქვეყნის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა გაიხადა მისი ოჯახის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფისა და თვითგადარჩენის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად. ამდენად, სასოფლო-სამეურნეო წარმოება ქვეყნის ფერმერულ მეურნეობათა შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს. გაანგარიშებები ცხადყოფს, რომ ფერმერულ მეურნეობათა შემოსავლების 73,3% მოდის სასოფლო-სამეურნეო წარმოების შედეგად მიღებული საკუთარი მოხმარებისათვის ნატურალურ (51,1%) და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვიდან (22,2%). მიღებულ ფულად შემოსავლებზე, რაც თითქმის ორჯერ აღემატება ქვეყნის საშუალო შესაბამის მაჩვენებლებს (ცხრილი 1.3.6.).

**ფერმერული მეურნეობების საშუალო თვიური შემოსავლების სტრუქტურა (2003წ.)***

*ცხრილი 1.3.6.*

| შემოსავლები | საქართველოში | | მათ შორის სოფლად | |
|---|---|---|---|---|
| | ლარი | % | ლარი | % |
| დაქირავებული შრომიდან | 57,5 | 25,4 | 26,1 | 10,3 |
| თვითდასაქმებიდან | 28,9 | 12,8 | 16,8 | 6,6 |
| სოფ. მეურნ. პრ. გაყიდვ. | 28,9 | 12,8 | 56,2 | 22,2 |
| სხვა შემოსავლები | 36,8 | 16,3 | 25,0 | 9,8 |
| ფულადი შემოსავ. სულ | 152,1 | 67,3 | 124,1 | 48,9 |
| არაფულადი შემოსავლ. | 73,9 | 32,7 | 129,5 | 51,1 |
| შემოსავლები სულ | 226,0 | 100 | 253,6 | 100 |

* საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

ფერმერულ მეურნეობათა ხარჯების სტრუქტურაში ძირითადია სამომხმარებლო ხარჯები, რომელიც საშუალოდ სოფლად ერთ მეურნეობაში 292,3 ლარს, ანუ მთელი ხარჯების 85,4%-ს შეადგენს; ამასთან, საყურადღებოა, რომ აღნიშნულ ხარჯებში სამომხმარებლო ფულად ხარჯებს 47,5, ხოლო საკუთარი მოხმარებისათვის წარმოებულ ხარჯებს, ანუ არაფულად ხარჯებს 37,9% უკავია (ცხრილი 1.3.7.).

ხარჯების წარმოდგენილ სტრუქტურაში საკმაოდ დაბალია არასამომხმარებლო ფულადი ხარჯების ხვედრითი წილი (14,7%), ხოლო მათ შორის სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის გაწეული ხარჯებისა კი 3,8%. აღნიშნული მაჩვენებლები გაცილებით მაღალი იქნებოდა, რომ არა მეურნეობათა თვითუზრუნველყოფა საკუთარი წარმოების სურსათით.

**ფერმერული მეურნეობების საშუალო თვიური ხარჯების სტრუქტურა (2003წ.)***

*ცხრილი 1.3.7.*

| ხარჯები | საქართველოში | | მათ შორის სოფლად | |
|---|---|---|---|---|
| | ლარი | % | ლარი | % |
| სამომხ. ფულადი ხარჯები | 216,7 | 63,6 | 162,8 | 47,5 |
| არაფულადი ხარჯები | 73,9 | 21,7 | 129,5 | 37,8 |
| სამომხ. ხარჯები სულ | 290,6 | 85,3 | 292,3 | 85,4 |
| არასამომხ. ფულ. ხარჯ. | 50,1 | 14,7 | 50,2 | 14,7 |
| მ.შ. სას.სამ. ხარჯები | 7,1 | 2,1 | 13,1 | 3,8 |
| ფულადი ხარჯები სულ | 266,8 | 78,3 | 213,0 | 62,2 |
| ხარჯები სულ | 340,7 | 100 | 342,5 | 100 |

*საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

ქვეყნის მასშტაბით უმუშევრობის დონე მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. იგი 1997 წელს 7,5%-დან 2003 წელს 11,8%-მდე გაიზარდა. ამავე პერიოდში დასაქმებულთა რაოდენობა 1991,2 ათასიდან 1793,4 ათას კაცამდე, ანუ 10,0%-ით შემცირდა, ხოლო მათ შორის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა თითქმის უცვლელი და ამასთან მისი ხვედრითი წილი ეროვნული ეკონომიკის დარგებში ყველაზე მაღალი იყო (54,9%). 2002 წელს დასაქმებულთა რიცხვიანობიდან დაქირავებულთა რაოდენობამ 651,0 ათასი კაცი, ანუ 35,5%, ხოლო თვითდასაქმებულებმა – 1148,8 ათასი კაცი, ანუ 62,4% შეადგინა. როგორც ჩანს, თვითდასაქმებულთა ხვედრითი წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში საკმაოდ მაღალია, სწორედ ამის შედეგია, რომ თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავლებიც და ხარჯებიც შინამეურნეობათა საქმიანობის ძირითად წყაროს წარმოადგენს.

დაქირავებულთა ხვედრითი წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში ბოლო წლების განმავლობაში საგრძნობლად შემცირდა და ეს ტენდენცია კვლავ გრძელდება. ამის მიზეზი ნაწილობრივ სახელმწიფო საწარმოთა დახურვა, ნაწილობრივ კი დარჩენილი საბიუჯეტო ერთეულების შემცირებაა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ თვითდასაქმებულთა შემოსავლები მნიშვნელოვნად აღემატება დაქირავებულთა ხელფასებს, რაც ბუნებრივია, სტიმულს აძლევს დაქირავებულ მომუშავეებს თვითდაფინანსებაზე გადასასვლელად.

ქვეყანაში მოქმედი მეწარმეთა კანონმდებლობის შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო წარმოება შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ორგანიზაციულ-

სამართლებრივი ფორმით: ინდივიდუალური საწარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება ან კოოპერატივი.

როგორც ჩანს, არსებული კანონმდებლობა სრულყოფილად არ იძლევა ფერმერული მეურნეობის განმარტებას. ამ კანონმდებლობით განმარტებულია საადგილმამულო მეურნეობა, რომელიც შეიძლება ეწოდოს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს (სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძელი), ან სააგარაკო ნაკვეთს (ოჯახური შემოსავლების საფუძელი) და რომელიც შეიძლება არსებობდეს საკომლო (გლეხური, ფერმერული) მეურნეობის, ან სასოფლო-სამეურნეო იურიდიული პირის სახით.

ჩვენი აზრით, პირველ რიგში, საჭიროა მიღებული იქნას კანონი "ფერმერული (გლეხური) მეურნეობის შესახებ", სადაც სრულყოფილად იქნება განსაზღვრული ფერმერული მეურნეობის როგორც განმარტება, ასევე მისი იურიდიული სტატუსი.

ფერმერული (გლეხური) მეურნეობის შინაარსისა და ფორმის განმარტებასთან დაკავშირებით, აზრთა სხვადასხვაობის პირობებში, შევეცდებით გამოვთქვათ ზოგიერთი ჩვენი მოსაზრება.

აშშ-ში სოფლის პირობებში ფუნქციონირებად მეურნეობას უწოდებენ "Farm", რომელიც გულისხმობს მიწის ნაკვეთს მასზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ობიექტებით, სადაც ხორციელდება მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება. "Farm"-ის პირდაპირი ქართული თარგმანია "ფერმა". სწორედ მათი დასახელებიდან გამომდინარე ამერიკაში ამ მეურნეობის მფლობელებს უწოდებენ ფერმერებს. ზემოაღნიშნული ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ სოფლის პირობებში ფუნქციონირებად მეურნეობას სახელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ობიექტის (მიწის ნაკვეთი, საცხოვრებელი და სამეურნეო ობიექტები) დასახელების შესაბამისად ჰქვია და არა სუბიექტის (ფერმერის) სახელწოდებისა.

ევროპის ქვეყნებში ეს პროცესი უფრო რთული მიმართულებით ვითარდებოდა. აქ აგრარულ სექტორში კაპიტალიზმის დამკვიდრებას წინ უსწრებდა ბატონყმური ტრადიციები, როდესაც მიწის მესაკუთრეებად მიწათმფლობელი ფეოდალები გვევლინებოდნენ, ხოლო უშუალო საქონელმწარმოებლებად კი – სოფლად მცხოვრები ყმა-გლეხობა. კაპიტალიზმის განვითარებამ საშუალება მისცა გლეხებს განთავისუფლებულიყვნენ და გამხდარიყვნენ მიწის მესაკუთრენი. გლეხების (გერმანიაში – ბაუერი, რუსეთში – კრესტიანინ) სოფლის პირობებში ფუნქციონირებად

მეურნეობებს კი სასოფლო-სამეურნეო წარმოების სუბიექტის (გლეხი) სახელწოდების შესაბამისად, ევროპის ქვეყნებში "გლეხური მეურნეობები" ეწოდება.

ამრიგად, გამოდის, რომ თუ ამერიკული და ევროპული მოდელებით ვიმსჯელებთ, სოფლის პირობებში ფუნქციონირებადი მეურნეობების სახელწოდება ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ობიექტის (მიწის ნაკვეთი, საცხოვრებელი და სამეურნეო ობიექტი) დასახელებისა და სუბიექტის (გლეხის) სახელის ფაქტორების გათვალისწინებით.

ჩვენი აზრით, საქართველოში სოფლის პირობებში ფუნქციონირებადი მეურნეობის სახელის შესარჩევად მართალია გათვალისწინებული უნდა იქნას საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება, მაგრამ ამავე დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ აგრარული ურთიერთობების ქართული საუკუნოვანი გამოცდილებით. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით საქართველოში ფართო არჩევანი გვაქვს.

სუბიექტის სახელის მიხედვით მეურნეობებს შეიძლება ეწოდოთ გლეხური, მემამულის, საკომლო ან საოჯახო მეურნეობები, ხოლო წარმოების ობიექტის მიხედვით – საადგილმამულო, საკარმიდამო ან სააგარაკო მეურნეობები.

ვინაიდან საქართველოში აგრარული ურთიერთობები ევროპული ქვეყნების მსგავსი მოდელით ვითარდება, მართებული იქნება ვიხელმძღვანელოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სუბიექტის (გლეხის) სახელიდან გამომდინარე, ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო წარმოების სუბიექტს საქართველოში ტრადიციულად "გლეხი" ეწოდება. სოფლის პირობებში ფუნქციონირებად მეურნეობასაც გლეხური მეურნეობა უნდა ეწოდოს. დღეს, სწორედ ეს ტერმინი სრულად გამოხატავს აღნიშნული მეურნეობის შინაარსს.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ბევრ ევროპულ ქვეყანაში გლობალიზაციის მსოფლიო პროცესების შედეგად თანდათანობით მკვიდრდება სოფლის პირობებში ფუნქციონირებადი მეურნეობის ამერიკული სახელწოდება – ფერმერული მეურნეობა. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, სოფლად ფუნქციონირებად მეურნეობებს გლეხურთან ერთად უნდა ეწოდოს ფერმერული მეურნეობა. ამის საფუძველს გვაძლევს ისიც, რომ ტერმინები "გლეხური" და "ფერმერული" სინონიმებად იქნა მიჩნეული რუსი კანონმდებლების მიერაც. ამიტომ ეს სახელწოდება – ფერმერული (გლეხური) მეურნეობა ყველაზე მართებულად მიგვაჩნია.

თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღეს ქართველ მეცნიერთა გარკვეულ წრეებში დომინირებს მოსაზრება, რომ ტერმინები "ფერმერული" და "გლეხური" სინონიმები არ არიან და თუ მეურნეობას ვუწოდებთ ფერმერულს, მაშინ ეს მეურნეობა აუცილებლად ორიენტირებული უნდა იყოს სასაქონლო პროდუქციის წარმოებაზე, ხოლო თუ გლეხურს – მაშინ ეს მეურნეობა ორიენტირებული უნდა იყოს საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე. ჩვენი აზრით, საკითხის ამდაგვარად დასმა არამართებულად მიგვაჩნია. რატომ არ შეიძლება, რომ მეურნეობას ეწოდოს გლეხური მეურნეობა და აწარმოებდეს მხოლოდ სასაქონლო პროდუქციას? ან რატომ არ შეიძლება, რომ ფერმერულმა მეურნეობამ აწარმოოს პროდუქცია საკუთარი მოხმარებისათვის?

ამასთან დაკავშირებით, საჭიროდ მიგვაჩნია, რომ მიღებული იქნას კანონი, რომელშიც სრულყოფილად იქნება განმარტებული და განსაზღვრული ფერმერული (გლეხური) მეურნეობებისათვის მეწარმის სტატუსის მინიჭებისა და სასამართლო-სამეწარმეო რეესტრში მათი რეგისტრაციის საკითხები "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. ამასთან აუცილებლად მიგვაჩნია დაიხვეწოს ნორმატიული კანონმდებლობაც, თუ რა კრიტერიუმების მიხედვით (რეალიზებული პროდუქციის მოცულობა, სარგებლობაში არსებული სავარგულების სიდიდე, დასაქმებულთა რაოდენობა და სხვა) უნდა ჩაითვალოს ფერმერული (გლეხური) მეურნეობა მეწარმე სუბიექტად. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კანონშემოქმედების დიდი ტრადიციების და გამოცდილების საზღვარგარეთის ქვეყნებში, ეკონომიკისა და ფერმერული მეურნეობების განვითარების შესაბამისად მათი განსაზღვრის და ფუნქციონირების თაობაზე მრავალჯერ იქნა შეტანილი შესწორებები და ცვლილებები, გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ ჩვენს განვითარებად ქვეყანაშიც ფერმერული მეურნეობების შესახებ შემუშავებული განმარტებები მომავალშიც განიცდიან დაზუსტებებს და შესწორებებს.

## თავი II

## მარცვლეულის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის არსებული დონე და განვითარების ტენდენციები

### 2.1. მარცვლეული, როგორც სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი ფაქტორი

მსოფლიო ექსპერტთა ანალიტიკური მონაცემების საფუძველზე დადასტურებულია, რომ XXI საუკუნეს კაცობრიობა მეტად გამწვავებული სასურსათო პრობლემით შეხვდა. თუ ახალი საუკუნის დამდეგისათვის დედამიწაზე შიმშილობდა მოსახლეობის 17%, უახლოეს 10-15 წელიწადში ეს საფრთხე ემუქრება პლანეტის მცხოვრებთა 25%-ს. ამასთან ასეთი გაუარესების საფუძველი იქნება არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნაკლებობა, არამედ უპირატესად სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები.

სურსათზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება კვლავაც რჩება ყველა ქვეყნის ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანად, რამდენადაც იგი მკაცრად შეზღუდული რესურსების რაციონალური გამოყენების და განაწილების პრობლემას უკავშირდება.

ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის სტრატეგიის განხორციელებაში აგრარული სექტორის როლი მნიშვნელოვანია, იგი უზრუნველყოფს მოსახლეობის დიდი ნაწილის დასაქმებას და, რაც მთავარია, წარმოადგენს სასურსათო პროდუქციის ძირითად მწარმოებელს, რომელზედაც მოდის მთლიანი შიდა პროდუქტის 20%-ზე მეტი.

აგრარიკოს მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ დამუშავებული ქვეყნის აგრარული პოლიტიკის კონცეფცია, რომელიც საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის უახლოესი 10-15 წლის მანძილზე აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავების, ამ სფეროში სამართლებრივი საფუძვლების მიმართულებისა და ქვეყანაში სასურსათო პრობლემების თანმიმდევრული, მიზანმიმართული გადაჭრის ორიენტირი უნდა გამხდარიყო, სამწუხაროდ დღემდე ამ პროცესებისადმი ინერტული დამოკიდებულება შეინიშნებოდა. ამის საფუძველს იძლევა თუნდაც ის ფაქტი, რომ ქვეყნის მდიდარი სასურსათო პოტენციალი, რომელსაც ექსპერტების შეფასებით შეუძლია 8-10 მლნ ადამიანის გამოკვება, სანახევროდაც არ არის გამოყენებული.

მსოფლიო ექსპერტთა მონაცემებით ამჟამად არ არსებობს და ალბათ უახლოეს პერიოდში არც გამოინახება სასურსათო უზრუნველყოფის გლობალური პრობლემის გადაწყვეტის უნივერსალური მექანიზმი. ეს პრობლემა საზოგადოების განვითარების ნებისმიერ ეტაპზე ეროვნულ დონეზე გადასაწყვეტია. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ რიგი სუბიექტური და ობიექტური მიზეზების შედეგად, შესაძლოა მსოფლიო

სასურსათო ბაზარი საერთოდ მოიშალოს, ამდენად სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა მომავალში გაცილებით რთული იქნება, ვიდრე დღესაა შესაძლებელი.

როგორც ანალიზი ცხადყოფს, ბოლო წლებში აგრარული რეფორმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებამ ვერ გამოიყვანა ქვეყანა კრიზისიდან. სიტუაციის რამდენადმე გაუმჯობესების მიუხედავად საქართველოს მოსახლეობის 30%-ზე მეტი რეალურად შიმშილობის ზღვარს მიღმა იმყოფება. საკუთარი სასურსათო პროდუქციის მკვეთრმა შემცირებამ იმპორტით მათი ჩანაცვლება გამოიწვია, რის შედეგად სასურსათო ბაზრის 50%-ზე მეტი იმპორტულ პროდუქციას უკავია.

სასურსათო პროდუქციის ასეთი ძლიერი დამოკიდებულება იმპორტზე, რა თქმა უნდა, არასასურველი მოვლენაა, მითუმეტეს ჩვენი ქვეყნისათვის, რომელიც ფლობს მრავალფეროვანი და ხარისხოვანი კვების პროდუქტების წარმოებისათვის საჭირო პირობებს. საჭიროა სასურსათო პროდუქტების ექსპორტ-იმპორტის დაბალნსება ექსპორტის გაზრდის გათვალისწინებით.

გამოკვლევები ცხადყოფს, რომ საქართველოში საზღვარგარეთიდან მნიშვნელოვნად მეტი რაოდენობის პროდუქცია შემოედინება, ვიდრე პირიქით; მაგალითად, 2002 წელს საქართველოდან 21 მლნ დოლ. სოფლის მეურნეობის პროდუქცია გავიდა, ხოლო იმპორტმა 48 მლნ დოლ. შეადგინა, ანუ 1,3-ჯერ მეტი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში შემოსული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ვალუტა საზღვარგარეთ გაედინება, რაც არა მარტო ქვეყნის ეკიონომიკას ასუსტებს, არამედ ადგილობრივ წარმოებასაც მნიშვნელოვნად აფერხებს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში ისეთი სახის სასურსათო პროდუქციის იმპორტი, რომლის წარმოების გაზრდის დიდი საშუალება ქვეყანას გააჩნია და შეიძლება მისი ექსპორტიც. ასეთი სახის პროდუქციას მიეკუთვნება ბოსტნეული, ბაღჩეული, კატროფილი, ყურძენი, ღვინო, ჩაი, ციტრუსი, ხილი და ა.შ.

სასურსათო კომპლექსის განვითარებას ხელს უშლის სასურსათო ბაზრის სახელმწიფოს მხრიდან დაუცველობა, უყურადღებობა. საქართველოში უსისტემოდ, ყოველგვარი რეგისტრაციის გარეშე სხვადასხვა ქვეყნიდან კონტრაბანდის სახით შემოდის სასოფლო-სამეურნეო და კვების მრეწველობის უხარისხო და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქცია, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ადგილობრივი წარმოების ზრდას. სამწუხაროდ ადგილობრივი წარმოების პროდუქცია

ძნელად რეალიზდება და კონკურენციას ვერ უწევს საზღვარგარეთიდან შემოსულ შედარებით იაფ პროდუქციას. ამის ნათელი მაგალითია პურ-პროდუქტების სისტემაში შექმნილი მდგომარეობა. იმის გამო, რომ საზღვარგარეთიდან უსისტემოდ შემოაქვთ უხარისხო ხორბალი და ფქვილი და ის დაბალ ფასებში იყიდება, საქართველოში ფერმერების მიერ წარმოებული ხორბალი ვერ რეალიზდება, ან ჩალის ფასად იყიდება, ამიტომ ისინი იძულებული არიან შეამცირონ თავთავიანი კულტურების პროდუქციის წარმოება, წისქვილ-კომბინატები აღნიშნული მიზეზების გამო ამცირებენ ხორბლის გადამუშავებას, ან მთლიანად აჩერებენ წარმოებას, რის შედეგადაც უმუშევარი რჩება მუშა-მოსამსახურეთა დიდი რაოდენობა.

ჩვენი აზრით სახელმწიფომ ისეთ იმპორტულ სასურსათო პროდუქტებზე, როგორიცაა: რძე და რძის პროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტები, კვერცხი, ღვინო და სხვა სპირტიანი სასმელები, ხორბალი და ფქვილი და სხვა - საბაჟო და სხვა გადასახადები უნდა გაზარდონ იმ დონემდე, რომ ბიზნესმენისათვის ხელსაყრელი არ იყოს მისი სხვა ქვეყნებიდან შემოტანა და იზრუნონ ადგილზე წარმოებული სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციაზე. აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში ფერმერული მეურნეობების განვითარებას, კვების მრეწველობის საწრამოთა აღდგენას და ფუქნციონირებას. სხვა შემთხვევაში საქართველოში სასურსათო კომპლექსი ვერ განვითარდება.

როგორც აღნიშნული გვქონდა, საანალიზო წლებში სასურსათო პროდუქტების წარმოება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ორჯერ და მეტად შემცირდა. ანალოგიური შემცირების ტენდენციით ხასიათდება აგრეთვე სასურსათო პროდუქციის საშუალო წლიური მოხმარების მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით (ცხრილი 2.1.1.). 2003 წელს 1990 წელთან შედარებით ხორცისა და ხორცის პროდუქტების საშუალო წლიური მოხმარება 15,6 კგ-ით (42,7%) შემცირდა, რძე და რძის პროდუქტებისა, შესაბამისად – 119,8 კგ-ით (33,5%), ბოსტნეულისა – 12,5 კგ-ით (17,5%), პურისა და პურ-პროდუქტებისა – 51,2 კგ-ით (27,7%), მაგრამ კვების პროდუქტების საშუალო მოხმარებას ნორმირებულს თუ შევადარებთ, დავინახავთ, რომ ხორცისა და ხორცის პროდუქტების მოხმარება 26,8%-ით კმაყოფილდება, რძისა და რძის პროდუქტებისა, შესაბამისად – 47,3%-ით, ბოსტნეულისა – 45,5%-ით, კვერცხისა – 47,%-ით, კარტოფილისა – 52,8%-ით და ა.შ.

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ნორმირებულს ასევე მკვეთრად

ჩამორჩება შაქრის, მცენარეული ცხიმების, ხილის და რიგი სხვა პროდუქტების ფაქტიური მოხმარება. რით ავსებს მომხმარებელი ორგანიზმისათვის ესოდენ აუცილებელი პროდუქტების ასეთ დიდ დეფიციტს? ძირითადად პურითა და პურ-პროდუქტებით, რომლის ფაქტიური მოხმარება ნორმირებულთან შედარებით 16%-ით მეტია. ამიტომ არის, რომ მოსახლეობის მიერ მოხმარებული კვების პროდუქტების კალორიულობის სტრუქტურაში პურსა და პურ-პროდუქტებს 46,5% უკავია, მაშინ, როცა ხორცსა და ხორცის პროდუქტებს შესაბამისად - 3,4%, რძესა და რძის პროდუქტებს - 10%. კვერცხს - 14,7%, კარტოფილს - 2,6% და ა.შ.

**კვების პროდუქტების საშუალო წლიური მოხმარება**

**(კგ ერთ სულზე)***

*ცხრილი 2.1.1.*

| | 1990 | 1995 | 2000 | 2003 | ნორმირე-ბული | %-ით1990 წე-ლთან შედა-რებით 2003 წელს |
|---|---|---|---|---|---|---|
| პური და პურპროდუქტ. | 184,6 | 153,5 | 130,0 | 133,4 | 115 | 27,7 |
| კარტოფილი | 37,3 | 26,8 | 49,0 | 58,1 | 110 | 155,7 |
| ბოსტნეული | 71,7 | 55,8 | 52,0 | 59,2 | 130 | 17,5 |
| ხილი, კენკრა, ყურძენი | 48,3 | 36,7 | 51,0 | 52,1 | 91 | 107,8 |
| შაქარი | 17,0 | 6,0 | 21,2 | 18,6 | 40 | 109,4 |
| ხორცი და ხორცის პრ. | 36,5 | 12,5 | 19,8 | 20,9 | 78 | 42,7 |
| რძე და რძის პრ. | 311,3 | 97,9 | 214,0 | 191,5 | 405 | 38,5 |
| კვერცხი (ცალი) | 140,0 | 66,1 | 129,0 | 104,7 | 222 | 25,2 |

*საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით

საყურადღებოა, რომ საქართველოში კვების პროდუქტების მოხმარების დაბალი დონე ნორმირებულთან შედარებით არა მარტო იმის გამოა, რომ ქვეყნის ბაზარი ამ პროდუქტების დეფიციტს განიცდის, არამედ იმიტომცაა, რომ მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი ძალზე დაბალია.

მსოფლიო ისტორიული გამოცდილებით დადასტურებულია, რომ მარცვლეულის წარმოება, უზრუნველყოფს რა კვების მრეწველობის და სხვა მრავალ დარგს ნედლეულით, ხოლო მეცხოველეობას - კონცენტრირებული საკვებით, პირველხარისხოვან როლს ასრულებს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში.

დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობის კვების ბალანსში მარცვლეულის 50%-ს უჭირავს, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში (მ.შ. საქართველოშიც) 70%-საც კი აჭარბებს.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო მასშტაბით სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებელი პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში მარცვლეულთანაა დაკავშირებული, რასაც განაპირობებს მარცვლეულის არა მარტო კვებითი ღირებულება და მისი გამოყენების მრავალმხრივობა, არამედ მისი, როგორც პროდუქტის ხანგრძლივი ვადით შენახვის შესაძლებლობა და ტრანსპორტაბელურობა. ეს თვისებები მას ანიჭებს მსოფლიო ვაჭრობის მნიშვნელოვანი ობიექტის როლს და ძირითადი სასურსათო პროდუქტის ფუნქციას. სწორედ ამიტომაა, რომ იგი მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განმტკიცების მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. მარცვლეულის ასეთი მნიშვნელობის გამო მისი მსოფლიო ექსპორტი უკანასკნელი 30 წლის მანძილზე გაოთხკეცდა და საერთაშორისო ვაჭრობაში, ტონაჟის მიხედვით, ნავთობის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა.

მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნილების თვითდაკმაყოფილების მიზნიდან გამომდინარე, მარცვლეულის წარმოება უპირატესად ფერმერულ მეურნეობებში განვითარდა. სწორედ ამის შედეგია, რომ 1990-2004 წლებში ფერმერული მეურნეობების ხევდრითი წილი ყველა კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობების სტრუქტურაში საგრძნობლად გაიზარდა (ცხრილი 2.1.2.). ამასთან უპირატესი ზრდის ტენდენციით ხასიათდება ტექნიკური, ბოსტნეულ-ბაღჩეული და მარცვლეული კულტურების ფართობები. საანალიზო წლებში როგორც ყველა კატეგორიის, ისე ფერმერული მეურნეობების ნათესი ფართობების სტრუქტურაში ყველაზე მაღალია მარცვლეული და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების ხვედრითი წილი. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან მარცვლეული მეურნეობის განვითარებით ხდება არა მარტო მოსახლეობის მოთხოვნილების საკუთარი მარცვლეულით დაკმაყოფილება, არამედ მცირდება ქვეყანაში გარედან შემოტანილი მარცვლეულის ოდენობა და, აქედან გამომდინარე, ქვეყნიდან მის შესასყიდად გათვალისწინებული ვალუტის გატანის ოდენობა, რაც ხელს უწყობს საგარეო-სავაჭრო ბალანსის ერთგვარ გაუმჯობესებას. მიუხედავად ამისა, ქვეყნის საწარმოო პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების ამოცანებიდან გამომდინარე, სამომავლოდ სოფლის მეურნეობა უნდა განვითარდეს ქვეყნისა და საერთაშორისო შრომის დანაწილების მოთხოვნათა გათვალისწინებით, ახალი სოციალურ-ეკონომიკური გარემოს თავისებურებათა შესაბამისად, კურსი

აღებული უნდა იქნას არა მარტო უფრო შემოსავლიან კულტურებზე, არამედ მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგებს შორის სწორი შეთანწყობის და პროპორციების დაცვაზე. აღნიშნული და რიგი სხვა სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ქვეყნის სასურსათო პოტენციალის მართვის ერთიანი, სრულყოფილი, კომპლექსური სისტემის შემუშავებით და ამოქმედებით, რომლის მარეგულირებელი როლი და ფუნქცია სახელმწიფომ უნდა შეასრულოს.

მარცვლეულის წარმოება ოდითგანვე საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა. ამასთან ქვეყნის განვითარების ყველა ეტაპზე მარცვლეული კულტურების სტრუქტურა გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა.

აღსანიშნავია, რომ ხორბლის კულტურას საქართველოში უხსოვარი დროიდან აწარმოებდნენ. ხორბლის 150-ზე მეტი კულტურული სახეობიდან ბევრი დღემდეა შემორჩენილი.

გარდა ხორბლისა, საქართველოში იწარმოებოდა აგრეთვე ჭვავი, ქერი, ბრინჯი, ღომი, ფეტვი, ხოლო მე-17 საუკუნეში ამერიკიდან შემოტანილმა ლობიომ, სოიომ და უმთავრესად სიმინდმა, მკვეთრი გავლენა მოახდინა ზოგიერთ რაიონში აბორიგენულ კულტურებზე.

მარცვლეულის წარმოების განვითარების ბუნებრივ-სამეურნეო პირობებმა განაპირობეს მათი განსხვავებული სახეობების განლაგება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში.

ხორბალი ძირითადი სასურსათო კულტურაა აღმოსავლეთ საქართველოში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქერის კულტურის მნიშვნელობა - გარდა იმისა, რომ იგი ძვირფას საფურაჟე საკვებს წარმოადგენს პირუტყვისათვის, აგრეთვე საუკეთესო ნედლეულია ლუდისა და სპირტის წარმოებისათვის. ამასთან აღმოსავლეთ საქართველოში სიმინდი ერთ-ერთი საფურაჟე კულტურაა ნათესების თესლბრუნვის სისატემაში, მაშინ, როდესაც იგი დასავლეთ საქართველოში ძირითადი სასურსათო კულტურაა. მისი ასეთი სწრაფი განვითარება უხვმოსავლიანობით და გამოყენების მრავალმხრივობით აიხსნება.

გასათვალისწინებელია აგრეთვე ისიც, რომ სამარცვლე სიმინდის პროდუქციის ხვედრითი წილი მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების მთლიან პროდუქციაში 1940-

2004 წლებში საკმაოდ მაღალი იყო და შეადგენდა 1940 წელს - 60,3%-ს, 1950 წელს - 63,5% -ს, 1960 წელს - 58,8%-ს, 1995 წელს - 74,9%-ს, ხოლო 2004 წელს – 60,4%-ს (ცხრილი 2.1.3.).

ნიშანდობლივია, რომ სიმინდის კულტურა უაღრესად დიდ როლს ასრულებდა და დღესაც ასრულებს უპირველეს ყოვლისა დასავლეთ საქართველოს რეგიონის მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში; აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოში წარმოებულმა სამარცვლე სიმინდის ექსპორტმა XVIII საუკუნის ბოლოს მხოლოდ ფოთის პორტიდან 19 მლნ ფუთს მიაღწია.

**საქართველოში მარცვლეულის ძირითადი სახეობების სტრუქტურა 1940-2004 წლებში ***

*ცხრილი 2.1.3.*

| წლები | 1940 | | 1950 | | 1960 | | 1995 | | 2004 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ათ.ტ | % | ათ.ტ | % | ათ.ტ | % | ათ.ტ | % | ათ.ტ | % |
| მარც.პარკ. კულტუ-რები მათ შორის: | 537,5 | 100 | 796,0 | 100 | 628,5 | 100 | 516,2 | 100 | 679,3 | 100 |
| ა) თავთ. კულტ. | 179,3 | 33,4 | 225,2 | 32,1 | 244,0 | 38,8 | 114,9 | 22,3 | 252,1 | 37,1 |
| ბ) სიმ. მარცვალი | 325,3 | 60,3 | 505,5 | 63,5 | 369,9 | 58,8 | 386,5 | 74,9 | 410,6 | 60,4 |
| გ) პარკ. კულტურ. | 32,9 | 6,3 | 35,3 | 4,4 | 14,6 | 2,4 | 14,8 | 2,8 | 16,6 | 2,5 |

*საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით

სამარცვლე სიმინდის ნათესებისა და მოსავლიანობის დონის დინამიკაში განხილვით სხვადასხვა ტენდენციები გამოიკვეთა. კერძოდ, სამარცვლე სიმინდის ნათესმა ფართობმა და საერთო მოსავალმა 1913 წლის დონეს 1940 წელს გადააჭარბა და შეადგინა შესაბამისად - 355,2 ათასი ჰა და 325,3 ათასი ტონა. სულ სხვა ტენდენციები ჩამოყალიბდა 1946-1970 წლებში. ამ პერიოდში საქართველოში სიმინდის ნათესის საშუალო წლიურმა ფართობმა 286,7 ათასი ჰექტარი, ანუ 1940 წელთან შედარებით 19 პროცენტით ნაკლები შეადგინა, რაც ძირითადად სახნავის ხარჯზე მრავალწლიანი ნარგავების გაფართოების ზრდით იყო განპირობებული. საყურადღებოა, რომ სამარცვლე სიმინდის საშუალო წლიურმა საერთო მოსავალმა შესაბამის პერიოდში 391,3 ათას ტონას მიაღწია, რაც საგრძნობლად ჭარბობს წინა პერიოდის მონაცემებს.

2004 წელს ყველა კატეგორიის მეურნეობებში წარმოებული 679,3 ათასი ტონა

მარცვლეულიდან 385,1 ათასი ტონა, ანუ 57,2 პროცენტი ფერმერულ მეურნეობებში წარმოებულ სამარცვლე სიმინდზე მოდიოდა, რაც განპირობებული იყო იმით, რომ ეს კულტურა შედარებით მცირე კონტურიან ნაკვეთებზე ითესება, მაშინ, როცა თავთავიანი კულტურების ასეთ ფართობებზე თესვა, ტექნიკური საშუალებების გამოყენების შეუძლებლობის გამო, ეკონომიკურად გაუმართლებელია. მარცვლეულის რესურსების და მათი გამოყენების ანალიზი ცხადყოფს, რომ 1995-2004 წლებში მარცვლეულის რესურსებიდან საკუთარი წარმოების 27,4 და 41,0% იყო. შესაბამის პერიოდში იმპორტი 54-დან 47%-მდე, ხოლო მარაგი წლის დასაწყისისათვის 15,4-დან 12,1%-მდე შემცირდა. აღნიშნული რესურსებიდან სასურსათო მოხმარებისათვის გამოყენებულია, შესაბამისად – 58,8 და 52,0%, პირუტყვის საკვებად – 20 და 21%, სათესლედ – 1,9 და 3,3%, სპირტისა და ლუდის დამზადებისათვის – 0,65 და 0,96%, ხოლო მარაგმა წლის ბოლოსათვის 14,7 და 12,6% შეადგინა; თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 36-დან 51%-მდე გაიზარდა, ხოლო მოხმარება ერთ სულზე წელიწადში (ფქვილის სახით) 161-დან 152 კგ-მდე შEმცირდა (ცხრილი 2.1.4.).

მარცვლეული რესურსების გამოყენების სფეროში პოზიტიური პროცესების განვითარება (საკუთარი წარმოების ზრდა და თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტის ზრდა, იმპორტის შემცირება) ძირითადად განპირობებული იყო უკანასკნელ წლებში მოსავლიანობის და, აქედან გამომდინარე, საერთო მოსავლის ზრდით, რაც ყველაზე მეტად სამარცვლე სიმინდის წარმოებაში გამოიკვეთა.

## 2.2. მარცვლეულის ადგილი და როლი სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში

ცნობილია, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შერჩევისა და შემადგენლობის განსაზღვრა დამოკიდებულია ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების კომპლექსზე. თავისთავად ცხადია, რომ, თუ დარგი არ შეესაბამება ამ პირობებს, მისი პროდუქტიულობა ჩვეულებრივ დაბალია. ასეთ შემთხვევაში ნებისმიერი მეურნეობრივი ფორმირების მიერ პროდუქციის წარმოებაზე სრული დანახარჯები მაღალია, რაც წარმოებული პროდუქციის გაძვირებას იწვევს.

სოფლის მეურნეობაში დარგობრივი სტრუქტურის ბუნებრივ-ეკონომიკურ

პირობებთან შესაბამისობის დარღვევა მეტად უარყოფითად მოქმედებს ნებისმიერი საწარმოს ეკონომიკის სხვა სფეროზეც, აფერხებს მათი განვითარების ტემპს. ადრე ჩამოყალიბებული სპეციალიზაციის შეცვლას თან სდევს დიდი მატერიალური დანახარჯი, შეიძლება რადიკალურად შეიცვალოს ძირითადი ფონდების სტრუქტურა, საწარმოო ინფრასტრუქტურა და სხვა.

ნიშანდობლივია, რომ აგრარული რეფორმის გარდამავალ ეტაპზე, სოფლად მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ძირეული გარდაქმნები და, რაც მნიშვნელოვანია, მეცნიერულად დასაბუთებული სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის ღონისძიებების განხორციელება კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს.

ამდენად, სოფლის მეურნეობის დარგების სწორი და რაციონალური გაადგილების საფუძველზე ყალიბდება ამა თუ იმ რეგიონის შესატყვისი სპეციალიზაციის ხასიათი და მიწის, შრომითი და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დამოკიდებულება.

ცნობილია, რომ საქართველოს ზონალური სპეციალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით ჩატარებულია დიდი და მასშტაბური სამუშაოები, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ღვაწლმოსილმა მეცნიერმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსმა პ. მ. ჟღენტმა. ბოლო წლებში ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე, რომელსაც აკადემიკოსები ვ. ბურკაძე და ო. ქეშელაშვილი ხელმძღვანელობდნენ, გამოყოფილია საწარმოო სპეციალიზაციის 11 ზონა 6 ქვეზონით. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ აღნიშნული ზონების და ქვეზონების გამოყოფისას ტექტონომეტრიულ ერთეულად მიღებულია ადმინისტრაციული რაიონი, ცხადია, ასეთნაირად გამოყოფილი ზონები სრულად ვერ ასახავს მასში შემავალ ცალკეული რაიონის და მით უფრო ცალკეული საწარმოს თავისებურებებს, ხშირად ადმინისტრაციული რაიონის შიგნით გვხვდება ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ნიადაგურ-კლიმატური პირობები, რაც დიდ გავლენას ახდენს დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებაზე.

ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებით დადასტურებულია, რომ ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურა წლების განმავლობაში მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა. 1921-1990 წლებში მისი ფორმირება ხდებოდა არა მოსახლეობის საკუთარი წარმოების სასურსათო რესურსების უზრუნველყოფის, არამედ ბუნებრივ-სამეურნეო პირობების, ყოფილი საბჭოთა

კავშირის სასურსათო რესურსების ფორმირებაში მისი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების გზით.

აღნიშნულ პერიოდში უპირატესად განვითარდა მევენახეობის, მეხილეობის, მეჩაიეობის და მეციტრუსეობის დარგები. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის სტრუქტურაში ამ დარგების ხვედრითმა წილმა 45%-ს გადააჭარბა. მნიშვნელოვნად გაიზარდა მემცენარეობის ხვედრითი წილი – 1921 წელს 28%-ის ნაცვლად 1990 წელს 69% შეადგინა.

ცვლილებები მოხდა მეცხოველეობის დარგების სტრუქტურაშიც. სულადობისა და პროდუქტიულობის მაჩვენებლების ზრდის შესაბამისად სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის სტრუქტურაში მეცხოველეობის ცალკეული დარგების განვითარების დადებითი ტენდენციები გამოიკვეთა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სოფლის მეურნეობის განვითარების დროის განმსაზღვრელ ფაქტორად, უპირველეს ყოვლისა, არსებული ბუნებრივ-სამეურნეო და რიგი სხვა სპეციფიკური პირობები უნდა მივიჩნიოთ, რომლის საფუძველზე უშუალოდ ბაზრის მოთხოვნილება განისაზღვრება და, აქედან გამომდინარე, წარმოების განვითარების პერსპექტივები და დარგობრივი სტრუქტურა. ამასთან უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ დარგების განვითარებას, რომლებზედაც ბაზრის მოთხოვნილებაა, იმის გათვალისწინებით, თუ რა სახის და რა რაოდენობის პროდუქციის წარმოებაა მიმდინარე ეტაპზე და მომავალშიც ხელსაყრელი ქვეყნისათვის. ბაზრის გაჯერება უნდა მოხდეს საკუთარი და იმპორტული პროდუქციის წარმოების გონივრული შერწყმით, რა თქმა უნდა, მაქსიმალური სარგებლიანობიდან გამომდინარე.

ვითარება რადიკალურად შეიცვალა 1990 წლიდან ქვეყანაში განვითარებული ცნობილი მოვლენების გამო. აგრარული რეფორმის პირობებში რიგი დაუსაბუთებელი ღონისძიებების განხორციელების შედეგად სოფლის მეურნეობის დარგობრივმა სტრუქტურამ სტიქიური ხასიათი მიიღო.

სპეციფიკურმა ბუნებრივმა პირობებმა, სოფლის მეურნეობის გაძღოლის ისტორიულად ჩამოყალიბებულმა კულტურამ, აგრეთვე ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ე.წ. საერთო-საკავშირო მოთხოვნებმა, რასაც ყოფილი საბჭოური პოლიტიკა განსაზღვრავდა, ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილებას და სპეციალიზაციას თვისობრივი და მრავალდარგოვანი ხასიათი მისცა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის არსებული საწარმოო დარგობრივი სტრუქტურის (ცხრილი 2.2.1.) ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ 1990-2004 წლებში მან გარკვეული ცვლილებები განიცადა. თუ 1990 წელს სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში მემცენარეობის დარგებიდან წამყვანი ადგილი მეჩაიეობას (10,5%), მევენახეობა-მეხილეობას (10%), საკვებ კულტურებს (9,9%) და მეციტრუსეობას (9,0%), ხოლო მეცხოველეობის დარგებიდან – მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს (14,2%) ეკავა, 2000 წლისათვის მათი ხვედრითი წილი მემცენარეობის დარგებიდან შესაბამისად – 0,1; 4,6; 8,5 და 0,9%-მდე შემცირდა, ხოლო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა კი 38,9%-მდე გაიზარდა.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა 1990-2004 წლებში (%)***

ცხრილი 2.2.1.

| დარგებისა და კულტურების დასახელება | 1990წ. | 2000წ. | 2004წ. |
|---|---|---|---|
| | % | % | % |
| I. მემცენარეობა | 68,8 | 48,3 | 47,5 |
| • მარცვლეული | 2,5 | 9,2 | 11,4 |
| • ბოსტნეულ-ბაღჩეული | 4,5 | 16,3 | 11,3 |
| • ხილი | 10,0 | 6,6 | 8,5 |
| • ჩაი | 10,5 | 0,1 | 0,1 |
| • ციტრუსი | 9,0 | 2,2 | 1,4 |
| • ყურძენი | 10,0 | 3,3 | 4,6 |
| • საკვები კულტურები | 9,9 | 0,6 | 0,9 |
| • მემცენარეობის სხვა დარგები | 6,4 | 10,0 | 9,3 |
| II. მეცხოველეობა | 31,2 | 51,7 | 52,5 |
| • მსხვილფეხა რქ. პირუტყვი | 14,2 | 39,1 | 38,9 |
| • მეღორეობა | 6,4 | 5,4 | 5,8 |
| • მეფრინველეობა | 6,8 | 4,5 | 5,1 |
| • მეცხვარეობა | 3,1 | 2,2 | 2,0 |
| • მეცხოველეობის სხვა დარგები | 0,7 | 0,5 | 0,7 |
| III. სულ სოფლის მეურნეობა | 100 | 100 | 100 |

*საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით

საანალიზო წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მარცვლეული და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების პროდუქციის წარმოების სფეროში. 1990 წელთან შედარებით 2000 წელს მარცვლეულის ხვედრითი წილი სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში 6,7 პუნქტით, ხოლო 2004 წელს 8,9 პუნქტით გაიზარდა, ბოსტნეულ-ბაღჩეულისა კი შესაბამისად – 11,8 და 6,8 პუნქტით. ამასთან

მნიშვნელოვნად შეიცვალა მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგებს შორის თანაფარდობა. კერძოდ, 1990 წელს მემცენარეობის დარგების ხვედრითი წილი 37,6 პუნქტით მაღალი იყო მეცხოველეობის დარგებთან შედარებით, ხოლო 2000-2004 წლებში კი პირიქით – მეცხოველეობის დარგების ხვედრითი წილი, შესაბამისად – 3,4 და 5,0 პუნქტით მაღალი იყო მემცენარეობის დარგებთან შედარებით.

ამრიგად, ქვეყნის სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში მომხდარი რადიკალური ცვლილებები საანალიზო წლებში მიმდინარე რთული სოციალურ-ეკონომიკური პირობებით უნდა ავხსნათ, რაც, ჩვენი აზრით, კანონზომიერ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში მარცვლეული კულტურების პროდუქციის პრიორიტეტი კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს ქვეყნის ცალკეული მხარეების მაგალითზე (ცხრილი 2.2.2.). ნიშანდობლივია, რომ დარგობრივ სტრუქტურაში მრავალწლიანი კულტურების პროდუქციის ხვედრითი წილი შემცირების პროპორციულად იზრდება მარცვლეული კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქციის ხვედრითი წილი. საანალიზო წლებში თავთავიანი მარცვლეული კულტურების პროდუქციის ხვედრითი წილი ყველაზე მაღალია კახეთის მხარეში (16,7% და 10,3%). ამასთან აღსანიშნავია, რომ რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო (დაბალი სარეალიზაციო ფასი, ხვნა-თესვის აგროვადების დარღვევა), 2000 წელთან შედარებით 2004 წელს მათი ხვედრითი წილი 6,4 პუნქტით დაეცა. შესაბამის პერიოდში დაცემის ტენდენციით
ხასიათდება აგრეთვე მცხეთა-მთიანეთის (0,4 პუნქტით) და სამცხე-ჯავახეთის (2,7 პუნქტით) მხარეების თავთავიანი კულტურების პროდუქციის ხვედრითი წილიც. ამ თვალსაზრისით დადებითი ტენდენციები შეიმჩნევა შიდა ქართლის და ქვემო ქართლის მხარეებში, სადაც დარგობრივ სტრუქტურაში მათი ხვედრითი წილი, შესაბამისად – 2,1 და 2,8 პუნქტით იზრდება.

დარგობრივ სტრუქტურაში სამარცვლე სიმინდის პროდუქციის ხვედრითი წილის ზრდის ტენდენციები დამახასიათებელია ყველა მხარისათვის. ამასთან ზრდის მაღალი ტემპი შეიმჩნევა დასავლეთ საქართველოს რაიონებში, კერძოდ, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში მისი ხვედრითი წილი ყველაზე მაღალია და საანალიზო წლებში 5,3 პუნქტით იზრდება, გურიის მხარეში – 5,8 პუნქტით, იმერეთის მხარეში – 7,5 პუნქტით, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ამ მხრივ გამოირჩევა მცხეთა-მთიანეთის

მხარე, სადაც შესაბამისი მაჩვენებლები 10 პუნქტით იზრდება.

საანალიზო წლებში ქვეყნის მხარეების მიხედვით დარგობრივ სტრუქტურაში მარცვლეული კულტურების პროდუქციის ხვედრითი წილის დამკვიდრებული ტენდენციების ანალიზი საშუალებას იძლევა უფრო მკაფიოდ შევაფასოთ თითოეული მხარის ადგილი და როლი ქვეყნის სტრატეგიული და სასურსათო პროდუქტების (მარცვლეული და მეცხოველეობის პროდუქტები) წარმოების მიმართ. ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში წარმოებული თავთავიანი კულტურების მთლიან პროდუქციაში მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევიან კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის მხარეები, ხოლო სიმინდის კულტურის პროდუქციის მიხედვით კი – სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის, კახეთის, ქვემო ქართლის და გურიის მხარეები.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის რიგ მხარეებში გამოიკვეთა მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგებს შორის თანაფარდობის განსხვავებული ტენდენციები. კერძოდ, მეტწილ მხარეებში შეიმჩნევა მეცხოველეობის დარგების ხვედრითი წილის ზრდა, რაც ძირითადად მარცვლეული კულტურების უპირატესი განვითარებით არის განპირობებული.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, ჯერ კიდევ ბევრი რეზერვი არსებობს მხარეებში, რომელთა ამოქმედებისათვის აუცილებელია შემუშავდეს სოფლის მეურნეობის სრულყოფილი, ქვეყნის ეკონომიკაზე მორგებული დარგობრივი სტრუქტურა, სადაც მეცნიერულად დასაბუთებული ადგილი ექნება მარცვლეული კულტურების პროდუქციას, დაიხვეწოს აგრარული რეფორმის სამოქმედო პროგრამა და მოხდეს მისი დროულად და თანმიმდევრულად განხორციელება.

### 2.3. მარცვლეულის წარმოების ინტენსიფიკაციის ეკონომიკური ეფექტიანობა

ჩვენი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიჩნეულია ღონისძიებათა ისეთი კომპლექსის განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისად ყველა დარგის თანმიმდევრულ ინტენსიფიკაციას და ამ საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის მნიშვნელოვან ამაღლებას. ეს კი, თავის მხრივ, დაკავშირებულია წარმოების საშუალებების დამატებით დაბანდებებთან,

რომელთა გამოყენება ყველაზე მეტად მიზანშეწონილი და მაღალეფექტურია, როდესაც ის ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციასთან და კონცენტრაციასთან ერთად. არსებითად ინტენსიფიკაცია იწყება სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწორი მიმართულების განსაზღვრით, ადგილობრივი ბუნებრივი და ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნილების ყოველმხრივი გათვალისწინებით.

ფერმერულ მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციამ უნდა უზრუნველყოს დარგების გამსხვილება, წარმოების კონცენტრაცია, შრომის ნაყოფიერებისა და კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება. კონცენტრაცია და მეურნეობის ოპტიმალური სიდიდე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციისა და რაციონალური ორგანიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნლოვანესი პირობაა. ინტენსიფიკაციის ეფექტიანობა უშუალოდ არის დაკავშირებული კონცენტრაციის დონეზე.

ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მრავალფეროვანი ბუნებრივ-სამეურნეო პირობების გამო, მეტად განსხვავებული პირობებია სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის. აგრარულ სექტორში განხორციელებულმა რეფორმებმა ვერ შეუწყო ხელი ფერმერული მეურნეობების განვითარებას. ჯერ კიდევ საკმაოდ მრავლადაა განსაკუთრებით მარცვლეულის მწარმოებელი ფერმერული მეურნეობები, რომლებიც ეკონომიკურად სუსტად გამოიყურებიან, არ გააჩნიათ საკუთარი შესაძლებლობანი, სახლმწიფომ კი ვერ შეიმუშავა მათი მხარდაჭერის და თანადგომის ეკონომიკური მექანიზმი, რის გამოც ისინი ვერ ვითარდებიან შესაფერისი ტემპით.

ჩვენი აზრით, ფერმერულ მეურნეობათა განვითარების ეკონომიკურ შესაძლებლობათა ნიველირება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო პოლიტიკის თანმიმდევრული გატარებით, რაც, პირველ რიგში, უნდა პასუხობდეს ბუნებრივ-სამეურნეო პირობების გათვალისწინებით საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს. ყოველივე ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არათანაბარ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებში მყოფ ფერმერულ მეურნეობებს სახელმწიფო შეუქმნის თანაბარ ეკონომიკურ პირობებს – დაეხმარება მათ სუბსიდიებით, წარმოებული პროდუქციის რეალიზაციით, და, რაც მთავარია, ხელს შეუწყობს ფერმერული მეურნეობების კოოპერირების გზით განვითარებას. ფერმერულ მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლება უშუალოდ არის დამოკიდებული აღნიშნული ღონისძიებების

სწორ და გონივრულ განხორციელებაზე. აგრარული რეფორმის პირობებში სახელმწიფო პოლიტიკის კურსი უნდა განისაზღვროს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების შესაბამისი ზრდითა და ინვესტიციების გამოყენების ეფექტიანობის დონით. არ უნდა დავუშვათ მაღალინტენსიური დარგების და კულტურების შეცვლა დაბალინტენსიურით. სამწუხაროდ ამ პროცესმა, რიგი სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო, მასობრივი ხასიათი მიიღო; ასეთი ტენდენციის დამკვიდრება, ბუნებრივია, უარყოფით გავლენას მოახდენს კაპიტალტევადი და მაღალშემოსავლიანი დარგების განვითარებაზე, შეაფერხებს საექსპორტო პროდუქციის პოტენციალს და, აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო შეამცირებს სავალუტო რესურსების ბალანსს.

აგრარული რეფორმის პირობებში სოფლად მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ძირეული გარდაქმნებისა და მეურნეობრიობის ახალი ფორმების ურთიერთობების ფონზე სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, სპეციალიზაცია და კონცენტრაცია მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული პრობლემებია და ამდენად მათი შესწავლა უნდა მოხდეს კომპლექსურად.

წინა პარაგრაფში ჩვენ შეძლებისდაგვარად ჩამოვაყალიბეთ საქართველოს აგრარულ სექტორში დარგობრივი სტრუქტურის ფორმირების და, აქედან გამომდინარე, მათი განვითარების ტენდენციები, სპეციალიზაციის ხასიათი და მასთან დაკავშირებული კანონზომიერებანი. ერთი რამ ცხადია, რომ ქვეყნის მასშტაბით განხორციელებულმა მეცნიერულად დაუსაბუთებელმა რეფორმებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციაზე, რის გამოც მან სტიქიური ხასიათი მიიღო; ყოველივე ამან კი გარკვეული გავლენა იქონია სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის დონეზე.

გლეხი (ფერმერი), დარწმუნდა რა ჩაის, ციტრუსების, ვენახის, ხილის ნარგაობის უპერსპექტივობაში, დაიწყო მათი ამოძირკვა და თვითგადარჩენის მიზნით მარცვლეულის, ბოსტნეულ-ბაღჩეულისა და მეცხოველეობის დარგების საკუთარი სახსრებით განვითარება. სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ 1990-2004 წლებში ხორბლისა და სიმინდის მწარმოებელ საშუალოდ ერთ რაიონზე გაანგარიშებით ნათესი ფართობები გაიზარდა, შესაბამისად – 2697-დან 3075 ჰა-მდე და 1910,7-დან 3377,3 ჰა-მდე. საანალიზო წლებში კონცენტრაციის დონის ზრდის შედარებით მაღალი ტემპი შეიმჩნევა სიმინდის მწარმოებელ რაიონებში, სადაც ნათესი ფართობების მიხედვით იგი შეადგენს 76%-ს, ხოლო პროდუქციის წარმოების მიხედვით – 52%-ს.

სიმინდის მწარმოებელი 56 რაიონიდან საშუალოდ ერთ რაიონზე გაანგარიშებით (3377,3 ჰა) სიმინდის ნათესების მაღალი მაჩვენებლები აქვთ: იმერეთის – 10, სამეგრელოს – 7, გურიის – 3, მცხეთა-მთიანეთის – 1, კახეთის – 2 და ქვემო ქართლის – 1 რაიონს; ხოლო ერთი რაიონის საშუალოზე (7332,3 ტ) მაღალი მოსავლის მაჩვენებლები აქვთ: იმერეთის – 10, სამეგრელოს – 6, გურიის – 1, შიდა ქართლის – 2, კახეთის – 3 და ქვემო ქართლის – 2 რაიონს. რაიონის შიგნით, ცალკეული სოფლის საკრებულოების ფერმერთა და მეიჯარეთა მიხედვით კი ამ მიმართულებით სულ სხვა ტენდენციებია დამახასიათებელი. როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ, მიწების პრივატიზაციამ კიდევ უფრო დააქუცმაცა ისედაც მცირე კონტურიანი ნაკვეთები, გაართულა მათი მექანიზაციის საშუალებებით დამუშავების შესაძლებლობები. ამ მოვლენის უფრო ნათლად წარმოჩენის მიზნით, გამოკითხვის მასალებზე დაყრდნობით, შესწავლილი იქნა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მარცვლეულის მწარმოებელ ძირითად რაიონებს შიგნით ცალკეულ ფერმერთა და მეიჯარეთა მფლობელობაში არსებული სახნავი მიწების გამოყენების მაჩვენებლები (ცხრილი 2.3.1).

ფერმერთა და მეიჯარეთა გამოკითხვის მასალების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ საანალიზო წლებში სახნავი მიწების მხოლოდ 71,2%-ია გამოყენებული მარცვლეული კულტურების ნათესების ქვეშ, ხოლო 28,8%, ბოლო წლებში დაბალი აგროტექნიკური ღონისძიებებისა და რიგი სხვა სოციალურ-ეკონომიკური მიზეზების გამო დაუმუშავებელი რჩებოდა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ როგორც საკუთრებაში, ისე იჯარით გაცემულ სახნავ მიწაზე განლაგებული შიდასამეურნეო სარწყავი და დამშრობი ქსელების ექსპლუატაციის ხარჯები, და მით უფრო მისი სრული რეაბილიტაციის როგორც ტექნიკური, ისე ფინანსური საშუალებები ფერმერთა შესაძლებლობებს აღემატება. არადა მარცვლეულის მწარმოებელ რაიონებში მელიორაციული და აგრომელიორაციული ღონისძიებების განხორციელების გარეშე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანი გაძღოლა შეუძლებელი იქნება. ამასთან ირკვევა, რომ საანალიზოდ შერჩეული რაიონების ფერმერულ მეურნეობებში შესაძლებელი იყო მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის საშუალო დონეზე (24,3 და 20,5 ც/ჰა) მაღალი მაჩვენებლების მიღწევა. აქედან გამომდინარე, დადგინდა, რომ მხოლოდ გამოკითხულ ფერმერთა ნაკვეთებში საშუალო წლიურად 3877 ტონა სამარცვლე სიმინდი და 8628 ტონა ხორბალი იკარგება, რაც საბაზრო ფასებით 3126,2 ათასი ლარის ტოლფასია.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოების დანახარჯები წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად სინთეზურ ეკონომიკურ კატეგორიას, რომელიც განზოგადებული სახით ასახავს საწარმოო საქმიანობის ყველა მხარეს. ამასთან, წარმოების დანახარჯებთან დაკავშირებულია აგრეთვე წარმოების ორგანიზაციის პრობლემა. საქმე იმაშია, რომ ქვეყანაში განხორციელებულმა მიწების პრივატიზაციამ არა მარტო დააქუცმაცა ისედაც მცირეკონტურიანი ნაკვეთები, არამედ კიდევ უფრო გაართულა წარმოებული პროდუქციის აღრიცხვა-ანგარიშგება.

სამარცვლე სიმინდის და ხორბლის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების სტრუქტურის დადგენის მიზნით ვიზუალური გამოკვლევები ჩატარდა დასავლეთ საქართველოს ლანჩხუთისა და აბაშის, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – გურჯაანისა და მარნეულის რაიონებში. კვლევამ გვიჩვენა, რომ სამარცვლე სიმინდისა და ხორბლის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების ცალკეული სახე თითქმის ყველა საკვლევ რაიონში (შესატყვისი პროფილის მიხედვით) იდენტურია და 10-15%-ის ფარგლებში მერყეობს, ამასთან საანალიზო წლებში ეს ცვლილებები უმნიშვნელოა. მარცვლეულის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების სტრუქტურის შესახებ მონაცემების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ (ცხრილი 2.3.2) როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს რაიონებში მაღალია ნიადაგის მომზადებაზე და ვეგეტაციის პერიოდში მოვლა-დამუშავებაზე გაწეული დანახარჯების ხვედრითი წილი, რაც გარკვეულწილად განპირობებულია იმით, რომ ნიადაგის მომზადების (მოხვნა, კულტივაცია და სხვ.) სამუშაოები, საწვავ-საპოხი მასალების, სათადარიგო ნაწილების მაღალი ფასების და, რაც მთავარია, უკვე ამორტიზირებული, ფიზიკური და მორალური ცვეთის ზღვარზე მყოფი, ტექნიკის ექსპლუატაციის პირობებში, საკმაოდ ძვირი ჯდება.

დანახარჯების წარმოდგენილ სტრუქტურაში სხვა ხარჯების შემადგენლობის ანალიზიდან ჩანს, რომ ეს ის ხარჯებია, რომელსაც ფერმერები შიდასამეურნეო დამშრობი და სარწყავი ქსელების სამელიორაციო სამუშაოების შესასრულებლად ანხორციელებს, რაც იმდენად უმნიშვნელოა, რომ იგი 20-25%-ითაც კი ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული ქსელების ნორმალურ ფუნქციონირებას.

## თავი III

## ფერმერულ მეურნეობებში მარცვლეულის წარმოების განვითარების ძირითადი მიმართულებანი

## 3.1. სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებანი

აგრარული რეფორმების პირობებში, საბაზრო ურთიერთობების მოთხოვნებიდან გამომდინარე, პრინციპულად ახალი ამოცანები ისახება სოფლის მეურნეობის განვითარების შემდგომი აღმავლობისათვის, კვლევა-ძიების პროცესშია ამ ამოცანათა გადაწყვეტის სტრატეგიული და პრიორიტეტული მიმართულებანი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების კანონზომიერება დღეს სრულიად ახლებურად აყენებს როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე მისი ცალკეული დარგების განვითარების საკითხებს. თუმცა აგრარული რეფორმის პრაქტიკული ღონისძიებები საქართველოს მხარდაჭერით სარგებლობს, მაგრამ სასიკეთო ცვლილებები სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ არასაკმარისი ტემპით მიმდინარეობს. ამიტომ ფრიად მნიშვნელოვანია ის, რომ პრინციპულად იქნეს შეფასებული სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შესაძლებლობები მიწის რაციონალური გამოყენების თვალსაზრისით. იგი, ჯერ ერთი, აძლიერებს და აფართოებს ინტენსიფიკაციის ფაქტორების გამოყენებას, რომელიც ძირითადად მიმართულია ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისაკენ, მეორე – აჩქარებს ნიადაგდაცვითი ღონისძიებების გატარებას და მესამე – საშუალებას იძლევა ახალი, თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით სასოფლო-სამეურნო კულტურები გავაადგილოთ ძნელად ასათვისებელ ნაკვეთებზე შესატყვისი კულტ-ტექნიკური, მელიორაციული, აგრომელიორაციული და აგროტექნიკური ღონისძიებების მორგებული გამოყენებით. ამის აუცილებლობას ადასტურებს აგრეთვე ზემდგომი ორგანოების მიერ მოწონებული და სახელმძღვანელოდ რეკომენდირებული საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფცია, სადაც აგრარულ-სამრეწველო და სასურსათო კომპლექსი ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტულ მიმართულებად არის მიჩნეული. ამასთან მითითებულია, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებების გამო, ყველა ეტაპზე პრიორიტეტი ექნებათ მიწის გაუმჯობესების ღონისძიებებს. სწორედ ამ თავისებურებებისა და მიწების სოფლის მეურნეობაში დამახასიათებელი დანიშნულებით გამოყენების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია მიწის რსურსების სწორად პროგნოზირება. მიწის რაციონალურად გამოყენების მრავალ ფაქტორთა შორის მთავარი და განმსაზღვრელია სოციალურ-

ეკონომიკური ფაქტორები, რამდენადაც სწორედ ისინი განსაზღვრავენ საზოგადოების წარმოების წესს. აგრარული რეფორმების შედეგად მიწაზე კერძო საკუთრების დამკვიდრებამ საფუძველშივე შეცვალა ჩამოყალიბებული საადგილმამულო ურთიერთობები, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების პროგნოზს.

მიწის რესურსების პროგნოზირების არსი შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც არგუმენტირებული წარმოდგენა, რომელსაც აქვს დამაჯერებელი ხასიათი მისი გამოყენების შესაძლებლობებზე პერსპექტივაში, ხოლო მიზანს ეროვნული მეურნეობის ყველა დარგის გაადგილებისა და განვითარების ოპტიმალური პირობების შექმნა წარმოადგენს.

საქართველოსათვის დამახასიათებელი სოფლის მეურნეობის ვერტიკალური ზონალობა და ბუნებრივ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მიწის რესურსების პროგნოზირების სირთულეს. ამასთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პროგნოზი მჭიდროდაა დამოკიდებული ახალი მიწების ათვისების მოსალოდნელი ტრანსფორმაციის, მელიორაციულ და მიწების დაცვის სხვა ღონისძიებებთან.

მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, განსაკუთრებით კი – ინტესნიური სავარგულების ზრდა. არც თუ ისე შორეულ წარსულში, სახნავი მიწების შემცირების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სახნავზე მრავალწლიანი ნარგავების გაშენება და მათი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყოფა იყო. ამჟამად სულ სხვა მდგომარეობაა, ქვეყანაში მრავალწლიანი ნარგავების ფართობი 62,1 ათ. ჰა-თი შემცირდა, რაც თავისთავად სახნავი ნიწების ზრდის რეზერვად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა აღნიშნულ პერიოდში ინტესნიური სავარგულების ფართობი შემცირდა. აქედან გამომდინარე, სახნავი მიწების არაადექვატურად ზრდის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია მიწის დაცვის და მისი ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებების გაუტარებლობა, რის შედეგადაც ინტენსიური სავარგულების მნიშვნელოვანი ფართობები დაბალინტენსიურ სავარგულებად ტრანსფორმირდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია დაბალინტენსიურ სავარგულებად ტრანსფორმირებულ სახნავზე ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების კომპლექსური ღონისძიებების გატარება და მათი ისევ სახნავში დაბრუნება. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყენების

სფეროში არსებული ნაკლოვანებანი მნიშვნელოვნად ამცირებს აგროსამრეწველო და სასურსათო კომპლექსების სისტემაში წარმოების ეფექტიანობას და აჭიანურებს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტას.

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების საკითხებზე ჩატარებული გამოკვლევებით მიწათსარგებლობაში მიმდინარე ტენდენციებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოსალოდნელი ტრანსფორმაციის გათვალისწინებით გაანგარიშებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საპროგნოზო პარამეტრები 2010 წლამდე პერიოდისათვის. კერძოდ, 2002 წელთან შედარებით სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი 5,8 ათ. ჰა-თი იზრდება. მათ შორის სახნავი მიწები დაბალინტენსიური სავარგულების და ახალი მიწების ათვისების ხარჯზე შეიძლება გაიზარდოს 19,1 ათ. ჰა-ით. მაგრამ, იმის გამო, რომ მოსალოდნელია მრავალწლიანი ნარგავების გაშენება 20,5 ათ. ჰა-ზე, რაც ძირითადად სახნავის ხარჯზე მოხდება, აქედან გამომდინარე 2010 წლისათვის სახნავი მიწები 793,8 ათ. ჰა-ს მიაღწევს.

მრავალწლიანი ნარგავების ფართობი ამორტიზირებული და დაბალპროდუქტიული ნარგავების ამოძირკვის და ახალი ფართობების (20,5 ათ. ჰა) გათვალისწინებით 2002 წელთან შედარებით 2010 წელს 1,4 ათ. ჰა-თი გაიზრდება და 269,3 ათ. ჰა-ს მიაღწევს.

სათიბების ფართობები, საპროგნოზო პერიოდში გაიზრდება 6,9 ათ. ჰა-თი, რაც ძირითადად მოხდება საძოვარში ტრანსფორმირებული სათიბების და მაღალინტენსიური სავარგულების, კულტექნიკური სამუშაოების ჩატარების შედეგად, სათიბებად მათი ტრანსფორმირებით.

საძოვრების ფართობი, 2010 წლამდე პერიოდისათვის, გაიზრდება 18,8 ათ. ჰა-თი. ასეთი მნიშვნელოვანი ზრდა ძირითადად განპირობებული იქნება სოფლის მეურნეობაში გამოუყენებელი მიწების ათვისებისა და ინტესნიური სავარგულების ნაწილის საძოვრებად ტრანსფორმირების ხარჯზე.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოსალოდნელი ტრანსფორმაცია, ჩვენი აზრით, სავსებით შესაბამება საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის და საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს.

ცნობილია, რომ თანამედროვე ეტაპზე მარცვლეულისა და მეცხოველეობის

პროდუქტების წარმოების გადიდებისა და მოსახლეობის ამ პროდუქტებით დაკმაყოფილების პრობლემის წარმატებით გადაწყვეტა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების საფუძველთა საფუძველია. ამ ამოცანის შესრულების ღონისძიებათა სისტემაში სახნავი მიწების რაციონალურ და მაღალინტენსიურ გამოყენებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ამ მეტად მნიშვნელოვანი მიზნის შესრულებას ემსახურება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სისტემის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ შემუშავებული, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზე დამუშავდა საქართველოში მარცვლეულის წარმოებისა და გადამუშავების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა, რომელიც მოწონებულია სამთავრობო კომისიის მიერ და პრეზიდენტის ბრძანებულებით მიჩნეულია სახელმძღვანელო დოკუმენტად.

საქართველოს ი. ლომოურის სახელობის მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ დამუშავებული მეცნიერულად დასაბუთებული თესლბრუნვის სქემები დიფერენცირებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის ზონების და, რაც მთავარია, სარწყავი და დაშრობილი მიწების გათვალისწინებით.

აღნიშნული თესლბრუნვის სქემის და აგრეთვე რიგი სხვა ინსტიტუტების მიერ, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების გათვალისიწნებით ნათესების სტრუქტურა და კულტურების მონაცვლეობა 2010 წლისათვის შემდეგნაირად იქნება წარმოდგენილი (ცხრილი 3.1.1).

პროგნოზული პარამეტრების ანალიზი ცხადყოფს, რომ ნათესი ფართობის სტრუქტურაში წამყვანი ადგილი მარცვლეული კულტურების ნათესებს (60%) უკავია, რომელთაგან თავთავიანი კულტურები – 32,5, ხოლო სამარცვლე სიმინდის ნათესები – 26,0%-ია. 2010 წლისათვის თვათავიანი კულტურების ნათესები 252,9 ათ. ჰა-ს, ხოლო სამარცვლე სიმინდისა კი – 202,4 ათ. ჰა-ს მიაღწევს, რაც, ჩვენი აზრით, პასუხობს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოებისა და გადამუშავების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამით გათვალისიწნებულ ამოცანებს. საყურადღებოა ასევე ისიც, რომ პერსპექტივაში, არსებულის მსგავსად, მარცვლეული კულტურების 94%, ტექნიკური კულტურების 95%, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების 92% და საკვები კულტურების 72% ფერმერულ მეურნეობებზე მოდის.

## ნათესი ფართობის სტრუქტურა 2010 წლამდე პერიოდისათვის

## (ათასი ჰექტრობით)

*ცხრილი 3.1.1.*

| სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასახელება | 2002 წელი | | 2010 წელი | |
|---|---|---|---|---|
| | ყველა კატეგორიის მეურნ. | მათ შორის ფერმერულ მეურნ. | ყველა კატეგორიის მეურნ. | მათ შორის ფერმერულ მეურნ. |
| ხორბალი | 139,1 | 130,7 | 191,3 | 179,8 |
| Qქერი | 43,2 | 40,6 | 46,7 | 43,9 |
| ჭვავი | - | - | 1,7 | 1,6 |
| შვრია | 4,6 | 4,3 | 13,2 | 12,4 |
| სიმინდი | 200,4 | 188,8 | 202,4 | 190,2 |
| წიწიბურა | - | - | 0,5 | 0,5 |
| ლობიო | 11,7 | 10,4 | 11,7 | 11,0 |
| მზესუმზირა | 41,2 | 39,6 | 43,4 | 41,2 |
| თამბაქო | 1,0 | 1,0 | 14,2 | 13,5 |
| ეთერზეთები | - | - | 1,6 | 1,5 |
| სოიო | 1,3 | 1,2 | 6,8 | 6,5 |
| კარტოფილი | 38,9 | 35,8 | 52,9 | 48,3 |
| ბოსტნეული | 39,9 | 36,7 | 62,5 | 57,5 |
| ბაღჩეული | 7,9 | 7,9 | 12,0 | 11,0 |
| საკვები ძირხვენები | 49,9 | 36,0 | 12,1 | 8,7 |
| სიმინდი სილოსად | - | - | 7,5 | 5,4 |
| ნათესი ფართობი სულ | 579,0 | 532,5 | 680,5 | 633,0 |

სასოფლო-სამეურნეო კულტურების საპროექტო გაანგარიშებებში ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების ნათესები, შესაბამისად - 13 და 54,6 ათასი ჰექტარით გაიზრდება და 52,9 და 62,5 ათ. ჰა-ს მიაღწევს. მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის რეკომენდაციით ამ ფართობზე კულტურათა სწორი მონაცვლეობისა და აგროტექნიკურ ღონისძიებათა სრული კომპლექსის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება ქვეყნის მასშტაბით განლაგებულ კურორტებზე დამსვენებლთა, ტურისტთა და მოსახლეობის ბოსტნეულ-ბაღჩეულით მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

ნათესი ფართობის სტრუქტურაში საკმაოდ მაღალია საკვები კულტურების ნათესების (16,3%) ხვედრითი წილი. მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი

ინსტიტუტის მიერ შემოთავაზებული თესლბრუნვის სქემის ვარიანტებში ერთწლიანი საკვები კულტურების ნათესებს (ვინაიდან, როგორც წესი, მათი მოყვანა შეიძლება შუალედური კულტურების სახით) ფართობები დათმობილი არ აქვთ. შუალედურმა კულტურებმა, თესლბრუნვის სქემის მიხედვით, მთელი ნათესების 25-30% შეიძლება დაიკავოს. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების პროგნოზული პარამეტრების პროექტში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი სათიბ-საძოვრებს, რომლებიც მეცხოველეობისათვის მტკიცე და მყარი საკვები ბაზის შექმნის გარანტიას იძლევა.

ამრიგად, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა გაადგილების პროგნოზული პარამეტრებისა და განსაკუთრებით სახნავის პოტენციური სიმძლავრეების ამოქმედების შესაძლებლობების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი ძირითადად ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ხერხებთან, ანუ მაღალ კულტურასთან არის დაკავშირებული და ემყარება მხოლოდ აგროტექნიკურ მოთხოვნებს და უშუალოდ პასუხობს საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფციით განსაზღვრულ ამოცანებს.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაადგილების პროგნოზული პარამეტრები ასახავს საკვლევი პრობლემის მხოლოდ ერთ მხარეს და იძლევა პასუხს კითხვაზე – თუ სად, რატომ და რა მიზნით განლაგდა აქ სასოფლო-სამეურნეო კულტურები და განსაკუთრებით მარცვლეული კულტურები. მაგრამ, ამასთან ერთად, საჭიროა აგრეთვე განისაზღვროს მეორე მხარეც და პასუხი გაეცეს – რა გზით, რეზერვებითა და კრიტერიუმებითაა შესაძლებელი მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ეფექტიანობის ამაღლება.

მარცვლეულისა და სხვა კულტურების პროგნოზული პარამეტრების განსაზღვრას საფუძვლად დაედო არსებული დონის ანალიზის საფუძველზე განვითარების თავისებურებანი და ტენდენციები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რეკომენდაციები, მოწინავე რაიონებისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და ფერმერთა მიღწეული შედეგები, ჯიშთა გამოცდის მონაცემები და სხვა.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მეცნიერულად დასაბუთებული გაადგილების პროგნოზული პარამეტრების ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმს მათგან მიღებული პროდუქტიულობის მაჩვენებლები წარმოადგენს, რომლის შესახებ მონაცემები ასახულია ქვემოთ მოტანილ ცხრილში (ცხრილი 3.1.2).

საქართველოში მარცვლეულის წარმოების გადიდების პერსპექტივები

განისაზღვრა როგორც ინტენსიური, ისე ექსტენსიური ფაქტორების გათვალისწინებით. პირველ ეტაპზე, როგორც ეს მარცვლეულის წარმოებისა და გადამუშავების სახელმწიფო პროგრამაშია აღნიშნული, ანალიზს დაექვემდებარა ტყე-ბუჩქნარის ათვისების, სათიბ-საძოვრების და მრავალწლიანი ნარგავების განსაზღვრულ დონემდე შემცირების ხარჯზე მარცვლეულის ნათესების გაზრდის შესაძლებლობები და მეცნიერულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით განისაზღვრა ნათესი ფართობის რაციონული სტრუქტურა 2010 წლამდე პერიოდისათვის (იხ. ცხრილი 3.1.1.). ინტენისფიკაციის ფაქტორების კომპლექსური ამოქმედებით კი შესაძლებელია მარცვლეულის მოსავლიანობა 35,1 ცენტნერამდე, ხოლო საერთო მოსავლის 1600 ათ. ტონამდე გაზრდა, რაც მიზნობრივი პროგრამით გათვალისწინებულ პარამეტრებზე (მოსავლიანობა 33,0 ცენტ./ჰა, საერთო მოსავალი – 1485 ათ. ტონა) მაღალია.

**საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა პროდუქტიულობის მაჩვენებლების პროგნოზული პარამეტრები 2010 წლამდე პერიოდისათვის**

*ცხრილი 3.1.2*

| სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასახელება | ფართობი (ათასი ჰა) | მოსავლიანობა (ცენტ/ჰა) | საერთო მოსავალი (ათასი ცენტ.) |
|---|---|---|---|
| საშემოდგომო ხორბალი | 189,2 | 33,0 | 6243,6 |
| საგაზაფხულო ხორბალი | 2,1 | 24,4 | 52,2 |
| საშემოდგომო ქერი | 24,6 | 29,4 | 723,2 |
| საგაზაფხულო ქერი | 22,1 | 31,3 | 691,7 |
| ჭვავი | 1,7 | 24,7 | 42,0 |
| შვრია | 13,2 | 23,9 | 316,0 |
| სიმინდი მარცვლად | 202,4 | 40,6 | 8218,0 |
| ლობიო | 11,7 | 9,7 | 113,0 |
| შაქრის ჭარხალი | 2,9 | 461,6 | |
| მზესუმზირა | 43,4 | 17,9 | 777,0 |
| თამბაქო | 14,2 | 19,8 | 281,2 |
| შოიო | 6,8 | 11,9 | 80,9 |
| ეთერზეთები | 1,6 | 130,4 | 208,6 |
| კარტოფილი | 52,9 | 140,3 | 7422,0 |
| ბოსტნეული | 62,5 | 161,2 | 10075,0 |
| ბაღჩეული | 12,0 | 141,9 | 1703,0 |
| საკვები ძირნაყოფები | 12,1 | 233,5 | 2825,0 |
| სიმინდი სილოსად | 7,5 | 155,8 | 1168,5 |
| Xილი | 62,0 | 104,7 | 6492,0 |

| | | | |
|---|---|---|---|
| Vენახი | 64,0 | 97,2 | 6222,0 |
| ჩაი | 51,4 | 45,5 | 2338,7 |
| ციტრუსი | 26,5 | 123,1 | 3262,2 |

მეჩაიეობის დარგის განვითარების ამოცანებიდან გამომდინარე, სხვა საკითხებთან ერთად ჩაის მცენარის ბიოლოგიური მდგომარეობის, ჯიშობრივი შემადგენლობის და ხანდაზმულობის გათვალისწინებით შესაძლებელია ჰექტარზე 40-45 ცენტნერი ნედლეულის მიღება, რომელიც არსებული ჩაის ბუჩქის პოტენციური პროდუქტიულობიდან გამომდინარეობს. ამდენად, ჩაის ხარისხოვანი ნედლეულის წარმოების საპროექტო მოცულობის (234 ათ. ტონა) მიღება რეალურად გვესახება.

ციტრუსების, ხილის, ყურძნისა და სხვა მრავალწლიანი კულტურების პროდუქციის საპროექტო მოცულობების მიღება ხელს შეუწყობს საექპორტო პოტენციალის გაზრდას. ხოლო ბოსტნეულ-ბაღჩეულის, კარტოფილის, მზესუმზირის და სხვა ტექნიკური კულტურების პროდუქციის მნიშვნელოვანი ზრდა, როგორც ქვეყნის მოსახლეობის, ისე მრავალრიცხოვან დამსვენებელთა და ტურისტთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს.

2010 წლისათვის საკვები კულტურების, როგორც ფართობების, ისე პროდუქტიულობის მაჩვენებელბის მაღალი მიჯნებია განსაზღვრული, რაც ერთხელ კიდევ საკვლევი პრობლემების გადაწყვეტისადმი ახლებურ მიდგომაზე მიუთითებს. საქმე იმაშია, რომ წარსულში ქვეყანაში შექმნილი ცნობილი მიზეზების გამო, პრიორიტეტი მრავალწლიანი ნარგავების დარგების განვითარებას ენიჭებოდა, ხოლო აღნიშნული დარგებისათვის გამოუსადეგარი ფართობები ეთმობოდა სახნავ და საკვებ სავარგულებს, რაც კიდევ უფრო უარყოფით გავლენას ახდენდა ისედაც დაბალეფექტიანი მემინდვრეობისა და მეცხოველეობის დარგების განვითარებაზე.

თუ მეცხოველეობის დარგების განვითარების არსებულ დონეს შევაფასებთ მოსახლეობის კვების პროდუქტებზე და მრეწველობისათვის ნედლეულზე ჩვენი ქვეყნის სულ უფრო მზარდი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პოზიციიდან, ნათელი გახდება, რომ ეს დარგი კვლავ მნიშვნელოვნად ჩამორჩება სოფლის მეურნეობის წარმოების ძირითად მაპროფილებელ დარგებს, რაც ერთხელ კიდევ მათი ეკონომიკური და სამეურნეო განვითარების ტემპების დაჩქარების აუცილებლობაზე მიუთითებს. ამ თვალსაზრისით ქვეყანაში მეცხოველეობის ყველა დარგის განვითარების კარგ პირობებს ქმნის.

ქვეყნის ბუნებრივ-სამეურნეო პირობების გათვალისწინებით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა შეიძლება გაიზარდოს 1626,1 ათ. სულამდე, მათ შორის ფურისა და ფურ-კამეჩისა 948,4 ათ. სულამდე, ღორისა 740,3 ათ. სულამდე, ყველა სახის და ასაკის ფრინველისა 16549,8 ათ. სულამდე და ა.შ.

პირუტყვის და ფრინველის ჯიშობრივი გაუმჯობესების, მათი სტრუქტურის თვისობრივი სრულყოფის და საერთოდ მეცხოველეობის ყველა დარგის გაძღოლის უფრო ინტენსიურ მეთოდებზე გადასვლის საფუძველზე პროდუქტიულობის მაჩვენებლების მნიშვნელოვანი ზრდაა გათვალისწინებული. რძის საშუალო წლიური წველადობა 1305 კგ-მდე, საშუალო კვერცხმდებლობა 144 ცალამდე გაიზრდება, რაც საგრძნობლად სჭარბობს წარსულში მიღწეულ შესაბამის მაჩვენებლებს.

ბოლო წლებში მეცხოველეობის დარგობრივ სტრუქტურაში მომხდარი რაოდენობრივ-ხარისხობრივი ცვლილებებისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ფრინველისა და პირუტყვის აბსოლუტური უმეტესობა კონცენტრირებულია კერძო სექტორში, აღნიშნულ დარგში რიგი ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად 2010 წლისათვის შესაძლებელია წარმოებული იქნეს რძე და ყველა სახის ხორცი (დ/წ), შესაბამისად – 1233713,8 და 248276,9 ტონა.

ცნობილია, რომ მეცხოველეობის პროდუქტიულობის დონის ამაღლების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა სრულფასოვანი საკვებით უზრუნველყოფას ენიჭება. 2010 წლისათვის ყველა სახის საკვების წარმოება შესაძლებელია გავადიდოთ 6196,8 ათას ტონა საკვებ ერთეულამდე; მათ შორის: კონცენტრირებული, უხეში, წვნიანი, საძოვრული და ცხოველური საკვების წარმოება, შესაბამისად – 763,2; 1356,4; 698,7; 2620,0 და 96,5 ათას ტონამდე გაიზრდება. საკვებზე მოთხოვნილების მის შესაძლო წარმოებასთან შედარებით დადგინდა, რომ ყვლა სახის საკვებზე მოთხოვნილება დაკმაყოფილდება 95,8%-ით, მათ შორის კონცენტრირებულის – 26,2; უხეშის – 113,8; წვნიანის – 103,9; საძოვრულის – 165,8 და ცხოველურის 100%-ით. ირკვევა, რომ პერსპექტივაში საკვებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების მაღალი დონე განპირობებულია უხეში, წვნიანი, საძოვრული და ცხოველური საკვების მაღალი დონით; კონცენტრირებული საკვების ესოდენ დაბალი დონე მეცხოველეობის დარგების განვითარებაზე სრულფასოვან გავლენას ვერ მოახდენს.

როგორც მარცვლეულის წარმოებისა და გადამუშავების სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამაშია აღნიშნული, საქართველოში ობიექტური მიზეზების (მცირე მიწიანობა,

მაღალმთიანობა) გამო თითქმის შეუძლებელია არა თუ ოპტიმალური, არამედ მინიმალური მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება საკუთარი წარმოების მარცვლეულით. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში დღეს არ იყოს მარცვლეულის წარმოების შემდგომი მკვეთრი გადიდებისა და სასურსათოდ საკმარისი მარცვლეულის მიღების რეალური შესაძლებლობანი.

ქვეყნის განვითარების ყველა ეტაპზე, მოსახლეობის მოთხოვნილების საკუთარი წარმოების მარცვლეულით დაკმაყოფილების ამოცანიდან გამომდინარე, კონცენტრირებული საკვებისათვის საჭირო საფურაჟე მარცვლეულის დეფიციტი ნაწილობრივ უცხოეთიდან შემოტანილი მარცვლეულით უნდა შეივსოს, რაც მსგავს ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში მყოფი ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი.

## 3.2. ფერმერულ მეურნეობებში მარცვლეულის წარმოების განვითარების ორგანიზაციულ-ეკონომიკური ღონისძიებანი

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არა მარტო სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკის სხვა დარგების, არამედ ცალკეულ დარგებს შორის ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და მმართველობით ურთიერთობების სრულყოფა და მათი კომპლექსური განვითარება.

როგორც ისტორიული გამოცდილებით არის დადასტურებული, ნებისმიერი ერთობლივი საქმიანობა საჭიროებს მის ორგანიზაციას, ე.ი. ცალკეულ სპეციალიზებულ რგოლებს შორის მყარი კავშირების დამყარებას. ორგანიზაციული ურთიერთობანი ასახავენ და ამავე დროს განაპირობებენ ცალკეული რგოლისა და თითოეული მომუშავის ადგილს, ფუნქციას, პასუხისმგებლობას და უფლებებს შრომის ჩამოყალიბებულ კოოპერაციაში, აგრეთვე კონკრეტულ კავშირებს ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ და მმართველობით ურთიერთობებს შორის.

შრომის დანაწილების შედეგად წარმოების პროცესში წარმოიშობა და ვითარდება საზოგადოებრივი კავშირები, რომლებიც გამოხატავენ საზოგადოებრივ-წარმოებით, ანუ ეკონომიკურ ურთიერთობათა გარკვეულ ერთობლიობას. ორგანიზაციული ურთიერთობანი წარმოადგენენ რა საწარმოო ძალების გამოხატვის ფორმას, მჭიდროდაა გადაჯაჭვული ეკონომიკურ ურთიერთობებთან, რომელიც, თავის მხრივ, ემყარება

წარმოების საშუალებებზე საკუთრების სხვადასხვა ფორმებს – დაწყებული კერძოთი და დამთავრებული სახელმწიფო საკუთრებით. ამიტომ ისინი ავსებენ ერთმანეთს და ორგანიზაციულ-ეკონომიკური ურთიერთობების სახით წარმოგვიდგება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელების გზით სახელმწიფო აქტიურ ზეგავლენას უნდა ახდენდეს წარმოების პროცესზე და განსაკუთრებით უნდა უზრუნველყოფდეს აღნიშნული ღონისძიებების კავშირების შესაბამისობის დამყარებას. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რაც უფრო სრულად შეესაბამება ორგანიზაციულ-ეკონომიკური ღონისძიებების მთელი სისტემა საწარმოო ძალების განვითარების დონეს, მით უფრო ეფექტიანად გამოიყენება არსებული რესურსები, რის შედეგადაც მაღლდება წარმოების ეფექტიანობა.

საუკეთესო ბუნებრივი, მატერიალური, შრომითი, ინტელექტუალური და გეოპოლიტიკური პოტენციალის რეალურად ამოქმედების და ეფექტიანობის ამაღლების გზით საქართველოს შეუძლია ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიოს ინტეგრაციულ პროცესებში. მაგრამ არსებული პოტენციალის ეფექტიანობის ამაღლების მიღწევა კი დიდად არის დამოკიდებული ორგანიზაციულ-ეკონომიკური ღონისძიებების კომპლექსურ გამოყენებაზე.

სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სურსათის ბაზარზე, რისთვისაც ფუნქციონირებს აგროსამრეწველო კომპლექსი, როგორც ქვეყნის ეკონომიკის ნაწილი, წლების განმავლობაში ძალზე მწვავედ დგას ფასების დისპარიტეტისა და პროდუქციის რეალიზაციის საკითხები.

ფასების მეცნიერულად დამუშავებული პოლიტიკის შემუშავება არა მარტო წარმოებული პროდუქციის ღირებულებით, არამედ წარმოების კომერციული შედეგების და დამზადებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შეფასების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. მიზანი ისაა, რომ თავისუფალი (საბაზრო) ფასების გამოყენებამ უზრუნველყოს პროდუქციის მოცულობის ზრდა და ხარისხის ამაღლება, მწარმოებლებს შორის ჯანსაღი კონკურენცია, წარმოებისა და მიმოქცევის სფეროების მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობა.

ამჟამად ქვეყანაში მოქმედი ფასების სისტემა ბუნებრივია, ვერ პასუხობს საბაზრო ურთიერთობათა განვითარების მოთხოვნებს. უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობა ჯერ კიდევ ოპერატიულად ვერ რეაგირებს საბაზრო კონიუქტურაზე, რაც ერთხელ კიდევ მიუთითებს ცივილიზებული ქვეყნისათვის დამახასიათებელი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასების სახელმწიფო რეაგირების მოქნილი მექანიზმის შემუშავებისა და დანერგვის დაჩქარების აუცილებლობაზე.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს გარანტირებული ფასების მექანიზმის შემოღება ისეთ პროდუქციაზე, რომლის რეალიზაცია ვერ ხდება თავისუფალ ბაზარზე საბაზრო ფასებით. რა თქმა უნდა, საქართველო ჯერ კიდევ ისე მდიდარი ქვეყანა არ არის, როგორც საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყანა, რომ ფასების ასეთი სისტემა შემოღებული იქნეს ყველა ძირითად პროდუქტზე, მაგრამ ისეთ სასურსათო პროდუქტებზე, როგორიცაა პური და რძის პროდუქტები, იგი აუცილებელია შემოღებული იქნეს. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ფასი ისეთი არ უნდა იყოს, რომ დაფაროს არასწორი მეურნეობრივი ხარჯები. ამასთან, უნდა შეიქმნას აგროსამრეწველო კომპლექსის მხარდაჭერის სპეციალური ფონდი. მარცვლეულისა და რძის პროდუქტების მიმართ მისი შექმნის პირობად შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ქვეყნის რეგიონების ხვედრითი წილობრივი მონაწილეობა. ეს საშუალებას მოგვცემს მარცვლეულისა და რძის პროდუქტების ეფექტიანად წარმოებით, ხელი შეეწყოს სხვა დარგების განვითარებასაც. ამ მექანიზმის ეფექტიანად ფუნციონირება, ქვეყნის აღმავლობის კვალობაზე სახელმწიფოს მხარდაჭერის გზით უნდა განხორციელდეს. აღნიშნული ღონისძიებები დაკავშირებულია აგრარული ბაზრის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმთან.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს აგრარული ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარება. ცივილიზებული ბაზარი ვერ ჩამოყალიბდება მანამ, სანამ ამ საქმისადმი თვით საქონელმწარმოებლები და სახელმწიფო დიდ ინტერესს არ გამოიჩენენ. კვლევით დადასტურებულია, რომ ბოლო წლებში სასურსათო პროდუქციის საბოლოო ფასში სოფლის მეურნეობის და განსაკუთრებით მარცვლეულის პროდუქციის ხვედრითი წილი ორჯერ, ხოლო ზოგიერთი პროდუქციის მიხედვით კი უფრო მეტედაც შემცირდა. ამასთან, ფაქტია ისიც, რომ საბოლოო ფასის არანაკლებ 25% არაკეთილსინდისიერი რეალიზატორი შუამავლების ხელში ექცევა. ამ ვითარების გამოსწორება შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნება სპეციალიზებული სასოფლო-სამეურნეო ბირჟები და აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ინტეგრირებული ფორმირებები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნება აღნიშნული ბირჟების ფუნქციონირებს კონტროლი.

ამ ღონისძიების კონტროლით შესაძლებელი იქნება მოვიზიდოთ ინტეგრაციაში

სოფლის მეურნეობის პროდუქციის უშუალოდ მწარმოებელი მოსახლეობის ფართო მასები, რითაც არა მარტო გაიზრდება სასაქონლო პროდუქციის მასა, არამედ დიდი მხარდაჭერა შეექმნებათ გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობებს საკუთარი წარმოების პროდუქციის უკეთეს პირობებში რეალიზაციისა და შემოსავლების ზრდისა.

ნიშანდობლივია, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების რეზერვების ეფექტიანად გამოყენება სწორედ აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად იქნება შესაძლებელი. იმის მიუხედავად, რომ ბოლო წლებში საბაზრო მოთხოვნებიდან გამომდინარე, თანდათან იცვლება ისტორიულად ჩამოყალიბებული სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა, სპეციალიზაციის და კონცენტრაციის სრულყოფაზე, ბუნებრივ პირობებთან ერთად, დიდ გავლენას მოახდენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასების სრულყოფის პოლიტიკა.

ანალიზი ცხადყოფს, რომ მარცვლეული კულტურების, როგორც ფართობების, ისე მოსავლიანობის, საერთო მოსავლის და ღირებულებითი მაჩვენებლების ზრდის მიუხედავად, აღნიშნული პრინციპების გათვალისინებით ჩამოყალიბებული სოფლის მეურნეობის პერსპექტიულ დარგობრივ სტრუქტურაში მათი ხვედრითი წილის არსებულთან შედარებით 11,4-დან 9,0%-მდე შემცირება (ცხრილი 3.2.1) შემდეგი გარემოებებით უნდა ავხსნათ.

როგორც მეცნიერული გამოკვლევებით დასტურდება, პრიორიტეტული დარგების პროდუქციის ხვედრითი წილის ზრდა უნდა მოხდეს როგორც ინტენსიურ, ისე ნაწილობრივ ექსტენსიური განვითარების გზით. ამ დარგების განვითარების მთავარი მიზანი სწორედ ის არის, რომ მან ხელი შეუწყოს აღნიშნულ პროდუქციაზე ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილების რაც შეიძლება მაქსიმალურ დაკმაყოფილებას.

აკად. ნ. ჭითანავას გამოკვლევებით დასტურდება, რომ სამომავლოდ მარცვლეულის, მეცხოველეობის პროდუქციის და მცენარეული ზეთის დიდი დეფიციტი გვექნება, რომელთა შევსების ერთადერთი გზა ამ პროდუქციის იმპორტია. როგორც წესი კი, იმპორტს დიდი ოდენობით სავალუტო რესურსები სჭირდება. სწორედ მრავალწლიანი კულტურების პროდუქციის წარმოების განვითარების აუცილებლობა არის იმპორტისათვის საჭირო სახსრების ფორმირების ის რეზერვი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს არა მარტო აგროსამრეწველო კომპლექსის პოტენციალის მაქსიმალური ამოქმედება, არამედ ქვეყნის სხვა საჭიროებისათვის

სავალუტო რესურსების ფორმირებაც. ყოველივე ამის განხორციელებისათვის კი საჭიროა აგროსამრეწველო კომპლექსის პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება, მისი რეალიზაციისათვის ხელსაყრელი ბაზრის მონახვა და კონკურენციის მეტად რთულ პირობებში საკუთარი ადგილის დამკვიდრება (3.87, 54 გვ.). უახლოეს პერსპექტივაში, აღნიშნული დარგების პროდუქციის ხვედრითი წილის ზრდა კანონზომიერ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. ამ ურთულესი ამოცანის შესრულება დიდ დროს, კაპიტალდაბანდებებს, ახალი ტექნოლოგიების, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის მაღალ დონეს მოითხოვს. ეს პოტენციური შესაძლებლობა, დარგობრივი სტრუქტურის გავლენით, შესაბამისი ორგანიზაციულ-ეკონომიკური და მმართველობითი ფაქტორების ეფექტური გამოყენებით უნდა ჩამოყალიბდეს, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების ინტეგრაციის გაღრმავებაზე, ეკონომიკის რეგულირების მობილური სახელმწიფო მექანიზმის მოქმედებაზე.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის პროგნოზული პარამეტრები 2010 წლამდე პერიოდისათვის (%)**

*ცხრილი 3.2.1*

| № | დარგებისა და კულტურების დასახელება | 2004წ. | 2010წ. |
|---|---|---|---|
| I | **მემცენარეობა** | **47,5** | **55,9** |
| | Mმარცვლეული | 11,4 | 9,0 |
| | მათ შორის: | | |
| | ხორბალი | 3,9 | 3,7 |
| | სიმინდი | 5,6 | 5,9 |
| | მზესუმზირა | 1,9 | 1,4 |
| | კარტოფილი | 8,3 | 6,6 |
| | ბოსტნეულ-ბაღჩეული | 11,3 | 16,0 |
| | თამბაქო | 0,1 | 0,3 |
| | საკვები ძირხვენები | 0,9 | 1,2 |
| | ხილი | 6,6 | 8,9 |
| | ყურძენი | 4,6 | 5,7 |
| | ჩაი | 0,1 | 0,6 |
| | ციტრუსი | 0,9 | 4,8 |
| | მემცენარეობის სხვა დარგები | 1,4 | 8,2 |
| II | **მეცხოველეობა** | **52,5** | **44,1** |
| | მესაქონლეობა | 38,9 | 28,6 |
| | მეღორეობა | 5,8 | 7,3 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | მეცხვარეობა | 2,0 | 1,3 |
| | მეფრინველეობა | 5,1 | 6,4 |
| | მეცხოველეობის სხვა დარგები | 0,7 | 0,5 |
| **III** | **სოფლის მეურნეობა სულ** | **100** | **100** |

როგორც აღვნიშნეთ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდა უნდა მოხდეს უმეტესად ინტენსიური ფაქტორების უფრო სრული გამოყენების საფუძველზე, რომელთა მოქმედება, საბოლოო ჯამში, თავს იჩენს პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებში. აქედან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების (უპირატესად მარცვლეული კულტურების პროდუქციის) საპროექტო მოცულობა თუ რა დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული, უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს.

მარცვლეული კულტურების პროდუქციის წარმოების საორიენტაციო მოცულობების მისაღწევად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებისა და შრომითი დანახარჯების პერსპექტიული პარამეტრების განსაზღვრისათვის გამოყენებული იქნა უპირველეს ყოვლისა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ინსტიტუტების მიერ მარცვლეულის წარმოების და გადამუშავების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამისათვის დამუშავებული პირველადი მასალები (ტექნოლოგიური რუქები და სხვა ნორმატიული მასალები), სადაც აკუმულირებულია მარცვლეულის წარმოებასთან დაკავშირებული ყველა პროცესი (ტექნიკური, ტექნოლოგიური, ორგანიზაციული, ეკონომიკური).

მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანის სამუშაოების შესასრულებლად შედგენილი ტექნოლოგიური რუკების საფუძველზე დადგინდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რაოდენობა, რომელთა შეძენისათვის საჭირო იქნება 123,5 მლნ ლარი კაპიტალური დაბანდება.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მოთხოვნილების აღნიშნული მოცულობები საფუძვლად დაედო საწვავ-საპოხი მასალების და საამორტიზაციო დანახარჯების პროგნოზული პარამეტრების განსაზღვრას. ამასთან, ძირითადი საწარმოო პროცესების შესრულების უზრუნველსაყოფად გაანგარიშებულია თესლის, მინერალური და ორგანული სასუქების, ჰერბიციდების და პესტიციდების და სხვა მატერიალურ საშუალებათა შეფასების პროგნოზული პარამეტრები, რომელთა ღირებულება 321,3 მლნ ლარს მიაღწევს.

მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანის პერსპექტიულ-ტექნოლოგიურ რუკებში უფრო მაღალმწარმოებლური ტექნიკური საშუალებებია გათვალისწინებული, რომლის საფუძველზე მარცვლეულის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებში განვითებული შრომის ხვედრითი წილი იზრდება, ხოლო ცოცხალი შრომის წილი შედარებით მცირდება. აქედან გამომდინარე, საორიენტაციო გაანგარიშებით შრომის პირდაპირი დანახარჯები 137,7 მლნ ლარით განისაზღვრა.

ფულად-მატერიალური საშუალებების ცალკეული ელემენტების საორიენტაციო გაანგარიშებების საფუძველზე განისაზღვრა დანახარჯების საერთო მოცულობა და სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს მარცვლეულის საპროგნოზო პარამეტრების მიღწევას.

**მარცვლეულის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების პროგნოზული პარამეტრების სტრუქტურა 2010 წლამდე პერიოდისათვის**

*ცხრილი 3.2.2.*

| **დანახარჯების სახეები** | **მლნ ლარი** | **%** |
|---|---|---|
| შრომის პირდაპირი დანახარჯები | 137,7 | 27,3 |
| თესლის დანახარჯები | 0,2 | 0,0 |
| მინერალური სასუქები | 139,3 | 27,5 |
| ჰერბიციდები და პესტიციდები | 15,4 | 3,1 |
| საწვავ-საპოხი მასალები | 142,3 | 28,2 |
| ამორტიზაციის დანარიცხები | 16,4 | 3,2 |
| სხვა პირდაპ. ფულად-მატერიალური ხარჯები | 7,8 | 1,5 |
| შულ პირდაპირი დანახარჯები | 459,1 | 90,9 |
| არაპირდაპირი დანახარჯები | 45,9 | 9,1 |
| შულ პირდაპ. და არაპირდაპირი დანახარჯები | 505,0 | 100 |

საქართველოში მარცვლეული კულტურების ნათესების ეფექტიანად გამოყენება და ამ მიზნით კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება დიდძალ კაპიტალდაბანდებებთან არის დაკავშირებული. ნიშანდობლივია, რომ მარცვლეულის ნათესების განვითარების მასშტაბები და ტემპები განსაზღვრავენ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობებს და ზრდის ტემპებს.

კაპიტალურ დაბანდებათა დაზუსტებული ნორმატივების საფუძველზე დამუშავებული მარცვლეულის წარმოების გადიდებისათვის საჭირო კაპიტალურ დაბანდებათა პროგნოზული პარამეტრების შესახებ წარმოდგენას იძლევა ქვემოთ

მოყვანილი მონაცემები:

- ტყე-ბუჩქნარის, მრავალწლიანი ნარგავების ამოძირკვის და სათიბ-საძოვრების გაწმენდის ღონისძიებები
- ბიცობი და დამლაშებული ნიადაგების განმარილიანების ღონისძიებები 6,2მლნ ლარი
- მჟავე ნიადაგების გაკირიანების ღონისძიებები 11,9მლნ ლარი
- მიწების დაშრობის და მორწყვის ღონისძიებები 8,1მლნ ლარი
- ტექნიკის შეძენაზე გაწეული კაპიტალური დაბანდებები 342,5მლნ ლარი
- ელევატორების და წისქვილკომბინატების მშენებლობის და რეკონსტრუქციის ღონისძიებები 12,3მკნ ლარი
- სულ კაპიტალური დაბანდებები

30,3მლნ ლარი

411,3მლნ ლარი

როგორც მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, მთელი კაპიტალური დაბანდებების 80%-ზე მეტი მიწების გაუმჯობესების ღონისძიებებზე მოდის, ხოლო მათ შორის წამყვანი ადგილი მიწების მორწყვისა და დაშრობის ღონისძიებებს უკავია. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან საქართველოს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ნაწილში როგორც მარცვლეულის, ისე საერთოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლება სწორედ მათზეა დამოკიდებული.

ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფისათვის წყლის მართვის (მიწის მელიორაციის კომპლექსური განვითარების) სახელმწიფო პროგრამაში დასაბუთებულია სარწყავი და დამშრობი სისტემების რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა, ჩამოყალიბებულია წინადადებები ამ სამუშაოთა ეტაპობრივად განხორციელების შესახებ, იმ ვარაუდით, რომ მისი პირველი ეტაპის სამუშაოები 2010 წელს დამთავრდეს. ამდენად, მარცვლეულის სარწყავი და დაშრობილი ნათესების რეკონსტრუქციისათვის გაანგარიშებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობების პროგნოზული პარამეტრები ზემოაღნიშნული სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ მაჩვენებლებთან სრულ შესაბამისობაშია და მათი ეფექტიანად ათვისება დიდად იქნება დამოკიდებული დაფინანსების წყაროების ძიების და გამოყენების სწორ პოლიტიკაზე.

აგრარული რეფორმის პირველ ეტაპზე საქართველოს საინვესტიციო პოლიტიკა

ძირითადად ორიენტირებული იყო უცხოური ინვესტიციებისაკენ, რაც ქვეყნის პოლიტიკური ინტერესებიდან და ადგილობრივი ინვესტიციებით მცირე რესურსული შესაძლებლობებიდან გამომდინარეობდა. ამდენად, უცხოური ინვესტიცია გვევლინება არა როგორც შემავსებელი, არამედ ძირითადი ფაქტორი, რომელზეც დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარება.

1992-1995 წლებში საქართველოში არსებულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა არასტაბილურობამ ქვეყნის საირიგაციო და სადრენაჟო ინფრასტრუქტურის განადგურება გამოიწვია, რამაც მსოფლიო ბანკის დახმარებით ამ სფეროს რეაბილიტაციის პროექტის შემუშავებისა და რეალიზაციის აუცილებლობა განაპირობა. ამ მიზნით მსოფლიო ბანკმა, სოფლის მეურნეობის დარგის შესწავლის შემდეგ, ჩამოაყალიბა სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი, ხოლო ევროგაერთიანებამ დაიწყო რეგიონალური სოფლის მეურნეობის რეფორმის პროექტის განხორციელება. 1996 წელს რეგიონალური სასოფლო-სამეურნეო რეფორმის პროექტის ფარგლებში ჩატარდა საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების შეფასება, რომელმაც მოიცვა მთლიანი დარგი და მომზადდა პროგრამა შესაძლო ინვესტიციებისათვის. დადგინდა მოკლევადიანი (1,46 მლნ ლარი) და საშუალოვადიანი (25 მლნ ლარი) სარეაბილიტაციო პროგრამები. აღსანიშნავია, რომ ევროგაერთიანების საპარტნიორო ფონდის სახსრებით (1,46 მლნ ლარი) 1996-1997 წლებში აღდგენილია 4 ობიექტის სარწყავის სისტემა 1200 ჰა-ზე.

ევროგაერთიანებამ სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამის ჩარჩოებში საირიგაციო და სადრენაჟო დარგის რეაბილიტაციისათვის გამოყო და დახარჯა: 1997 წელს – 830 ათასი ლარი, ხოლო 1998 წელს – 534 ათასი ლარი.

1997 წელს მსოფლიო ბანკის ერთობლივმა მისიამ (FAO) საქართველოს მთავრობასთან ერთად შეიმუშავა სამელიორაციო სისტემების ნგრევის შეჩერებისა და მათი კომპლექსური რეაბილიტაციის ღონისძიებათა სისტემა. პროექტი განხორციელდება სამ ფაზად 12 წლის განმავლობაში, რომლის საერთო ღირებულება 108 მლნ დოლარია, საიდანაც 82 მლნ დოლარი მსოფლიო ბანკის კრედიტია, ხოლო დანარჩენი 26 მლნ – საქართველოს მთავრობისა და პროექტით მოსარგებლეთა შენატანებია.

1998 წლის 22 მაისს მსოფლიო ბანკსა და საქართველოს მთავრობას შორის დაიდო ხელშეკრულება სოფლის მეურნეობის განვითარების 11 პროექტისათვის 1,2 მლნ

დოლარის ავანსად გამოყოფის შესახებ, რომელთაგან 600 ათასი დოლარი გათვალისწინებულია ირიგაციისა და დრენაჟის კომპონენტისათვის.

პროგრამის განსახორციელებლად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც დასავლეთ საქართველოში მიწების დრენაჟის, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ირიგაციის გზით სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაყოფიერების ზრდას, მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე წყალმომხმარებელთა ასოციაციების ჩამოყალიბებასა და შესატყვისი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის მომზადებას ითვალისწინებს.

აღნიშნული პროექტის დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, სამწუხაროდ, იგი ვერ უზრუნველყოფს სარეაბილიტაციო ფართობების სრულად რეკონსტრუქციას, ამის ნათელი მაგალითია კახეთის რეგიონი, სადაც გათვალისწინებულია მხოლოდ თვითდინებითი მსხვილი და მცირე საირიგაციო სისტემების რეკონსტრუქცია, ამასთან ირიგაციის და დრენაჟის რეაბილიტაციის 12-წლიან პროგრამაში გათვალისწინებულია კახეთის რაიონების არა მთლიანი (სადაც თავმოყრილია ძირითადად სახნავის დიდი მასივები), არამედ მხოლოდ 45,7 ათასი ჰექტარი, ანუ მთლიანი ფართობის 76,3%. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ პროგრამის პირველ ფაზაში, რომელიც ხუთ წელს მოიცავს, სარეაბილიტაციოდ განსაზღვრული ქვემო ალაზნის საირიგაციო სისტემის რეკონსტრუქციისათვის გამოყოფილია ჰექტარზე გაანგარიშებით მხოლოდ 717 აშშ დოლარი, მაშინ, როცა 8550 ჰექტრის სრული რეაბილიტაციისათვის საჭიროა 4,5-ჯერ მეტი კაპიტალური დაბანდება, ნათელი გახდება, რომ საკვლევი რაიონების სარწყავი სისტემების ნორმალური ფუნქციონირების მიღწევისათვის საშუალოდ 10-15 წელი იქნება საჭირო, რაც ჩვენი ქვეყნის ფინანსური შესაძლებლობების პირობებში ძნელად განსახორციელებელ პრობლემად გვესახება.

არც სამელიორაციო მომსახურების ასოციაციების ფორმირებისა და ფუნქციონირების სისტემა მიგვაჩნია პერსპექტიულად, ვინაიდან მისი ჩამოყალიბების პროცესში ასოციაციის წევრის ე.წ. ერთჯერადი წახალისება, რომელიც 100 აშშ დოლარით გამოიხატება (აღნიშნული თანხიდან 50%-ია ფერმერის (გლეხის) საკუთრება, ხოლო დანარჩენი – სესხია, რომელიც მას შეუძლია გადაიხადოს სარეაბილიტაციო სამუშაოებში შრომითი მონაწილეობით) ასოციაციის წევრად გახდომის მექანიზმია და მისი მოქმედების ეფექტი მხოლოდ იმ წელს გამოვლინდება, ხოლო შემდგომ წლებში შიდასამეურნეო სარწყავი ქსელები კვლავ სავალალო

მდგომარეობაში აღმოჩნდება.

კვლევამ გვიჩვენა, რომ სამელიორაციო მომსახურების ასოციაციის ფორმა და შინაარსი არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, ვერ უზრუნველყოფს მელიორირებული მიწების ეფექტიანობის ამაღლებას, მაღალინტენსიური სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაადგილებას, მოსავლიანობის ამაღლებასა და ფერმერთა (მეწარმეთა) მდგომარეობის გაუმჯობესებას. მიწათმოსარგებლეთა ინტერესთა სფერო მხოლოდ სამელიორაციო მომსახურების ასოციაციების შექმნითა და ფუნქციონირებით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. იგი ისეთი სტრუქტურული ერთეულია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მისი დამაარსებლის მოგების მიღებას და არა პირიქით. ამ თვალსაზრისით მიგვაჩნია, რომ სამელიორაციო მომსახურების ასოციაციების საქმიანობის სფერო უნდა გაფართოვდეს და მას უნდა დაეკისროს აგრეთვე მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომსახურების ორგანიზაციულ-ეკონომიკური ღონისძიებების განხორციელებაც.

თუ უცხოელ ექსპერტთა მოსაზრებებით ვიხელმძღვანელებთ, სამელიორაციო მომსახურების ასოციაციების შექმნით, მათ საკუთრებაში უსასყიდლოდ შიდასამეურნეო ქსელების გადაცემით და გადასახადებისაგან განთავისუფლებით, ეს მეტად მტკივნეული პრობლემა გადაწყვეტილად უნდა ჩავთვალოთ, რაც, ჩვენი აზრით, ერთობ საეჭვოდ მიგვაჩნია შემდეგი გარემოებების გამო:

შიდასამეურნეო სამელიორაციო ქსელების პრივატიზაციის საკითხი დიდი ხანია მუსირებს და იგი არაერთ სამთავრობო დოკუმენტშია დაფიქსირებული. კერძოდ, მთავრობის მიერ შემუშავებულ «საქართველოში სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკური ზრდის ეროვნული პროგრამის შესახებ» დოკუმენტის 50-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ «სახელმწიფო შეინარჩუნებს თავის პასუხისმგებლობას მხოლოდ პირველადი სამელიორაციო სისტემების ფუნქციონირება-შეკეთებაზე, ხოლო დანარჩენი სისტემების (მათ შორის შიდასამეურნეო არხები) პრივატიზება მოხდება». ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომა არ იქნება მართებული, რადგან სისტემაზე მმართველობის და პასუხისმგებლობის გაორება გამოიწვევს მელიორაციის სფეროს სწორედ ფუნქციონირების მოშლას. საქმე ისაა, რომ როცა ერთ სისტემას ორი მესაკუთრე ჰყავს, ხელოვნურად ირღვევა მათ შორის კავშირი. სამელიორაციო სისტემის ფუნქციონირება ეფექტიანია იმ შემთხვევაში, როცა როგორც პირველადი, ისე მეორადი სისტემების შეკეთების და ექსპლოატაციის სამუშაოები კომპლექსურად ხორციელდება,

თუ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი პირველადი სამელიორაციო სისტემები გამართულ მდგომარეობაშია, მეორადი (შიდა სამეურნეო არხები) იმის გამო, რომ იქ არ ჩატარებულა აუცილებელი მიმდინარე შეკეთების და საექსპლოატაციო სამუშაოები, არ ფუნციონირებს, ან პირიქით. ცხადია, ასეთის სისტემები ვერ უზრუნველყოფენ მელიორაციის სფეროში ძირითადი ამოცანის შესრულებას. მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო პასუხისმგებლობა შენარჩუნებული უნდა იქნეს არა მხოლოდ პირველად, არამედ მთელ სისტემაზე. ამასთან, ეს სისტემები უზურფრუქტის ხელშეკრულებით უნდა გადაეცეს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს და მათი ტექნიკურად გამართვა და მოვლა დაფინანსდეს ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან, მიწის და წყლის გადასახადის სახით მიღებული თანხიდან და სხვა შემოსავლებიდან.

საქართველოს აგრარული პოლიტიკის ფორმირებაში უდავოდ მნიშვნელოვანია იმ საერთაშორისო ორგანიზაციების როლი, რომლებიც ტექნიკური დახმარების სფეროში მოღვაწეობენ. მათ მიერ შესრულებულმა სამუშაოებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ახალი ტიპის სამეურნეო სუბიექტების ჩამოყალიბებას და სრულყოფას.

ტექნიკური დახმარებების პროექტების პრიორიტეტად იქცა აგროსასურსათო სექტორის რეფორმებისა და საბაზრო ურთიერთობების გარემოში საერთაშორისო ორგანიზაციების ეფექტიანი ადაპტირების ხელშეწყობა. სწორედ ამ სტრატეგიულ მიზანს ემსახურება მსოფლიო ბანკისა და სხვა დონორი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ტექნიკური დახმარების პროექტები, რომლებიც ორიენტირებულია სექტორის რესურსული პოტენციალის შესწავლის, მისი სტრუქტურული რეფორმების და, რაც მნიშვნელოვანია, აგროსასურსათო სექტორის მიმზიდველ საინვესტიციო სფეროდ ჩამოყალიბებისაკენ.

უდავოა, რომ რეფორმებმა და მნიშვნელოვანმა საერთაშორისო დახმარებებმა აგრარული სექტორის ეკონომიკური პოტენციალისა და მატერიალური რესურსების დაგროვების ზრდას შეუწყო ხელი. ამასთან, მიღწეული პროგრესის მიუხედევად, სექტორის სრულყოფილი ამოქმედების შეზღუდული პრობლემებიც აშკარად გამოიკვეთა. კერძოდ, განხორციელებული რეფორმების შედეგად, სოფლის მეურნეობაში მრავალრიცხოვანი წვრილი გლეხური (ფერმერული) მეურნეობების წარმოშობა მოჰყვა, მაშინ, როდესაც სექტორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ორიენტირებული იყო მსხვილ საბჭოთა მეურნეობებზე და კოლმეურნეობებზე. ასეთ

პირობებში, ცხადია, რეალურად არსებული ტექნიკური და ტექნოლოგიური სისტემები აბსოლუტურად არაეფექტური გახდა, რამაც სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის და ინვესტიციების ეფექტიანობის დონეზე უარყოფითად იმოქმედა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზმა ცხადყო, რომ ბოლო წლებში ჩამოყალიბებული წარმოების პროდუქტიულობისა და საქონელტევადობის დაბალი მაჩვენებლების პირობებში, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მექანიზმების მოძველებული და გაცვეთილი პარკის განახლება ფერმერული (გლეხური) მეურნეობების ძალებით პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ, ბოლო პერიოდში ქვეყანაში თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემოტანის ერთადერთ და ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა იაპონიის მთავრობის გრანტი (2KR), რომლის საფუძველზე 1998-2003 წლებში განხორციელდა 25,2 მლნ ლარის ინვესტირება. ქვეყანაში შემოტანილი იქნა 130 ცალი მარცვლეულის ასაღები კომბაინი, სხვადასხვა მოდიფიკაციის 314 ტრაქტორი, სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის 1036 ერთეული.

2KR პროექტის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს ისიც, რომ აღნიშნული მანქანა-დანადგარები და ტექნოლოგიები პირველად შემოდის საქართველოს ეკონომიკურ სივრცეში.

აღნიშნული პროექტის განხორციელების ეფექტიანობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ კახეთის მხარის რაიონებს მაგალითზე. კერძოდ, საგარეჯოს, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს რაიონებში 1988-2002 წლებში შემოტანილი იქნა 36 ტრაქტორი და 49 კომბაინი, რამაც შესაბამისად რაიონებში ღნიშნული მანქანების მთელი პარკის მხოლოდ 22% და 25% შეავსო. ტექნიკის ძველი ნიმუშების ახლით შეცვლის ასეთი ტემპის შენარჩუნების პირობებში, ტექნიკის განახლებას დასჭირდება ათობით წელიწადი, რაც, ჩვენი აზრით, არ შეიძლება ჩაითვალოს მისაღებად. აღნიშნული ნეგატიური ტენდენციის დაძლევა და მათი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ინფრასტრუქტურის, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-მექანიზმების ექსპლოატაციის, კოოპერატივების ფართო ქსელის შექმნისა და განვითარების საფუძველზე. ასეთი კოოპერატივების ქმედითუნარიანობა და ეფექტურობა დადასტურებულია საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებით.

ფერმერული (გლეხური) მეურნეობის განვითარების თანამედროვე დონის,

განსაკუთრებით მისი პერსპექტივების გათვალისწინებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ კოოპერირებას არა მხოლოდ ცალკეული შრომითი პროცესების შესრულების (საწარმოო მომსახურება), არამედ პროდუქციის გადამუშავების, რეალიზაციის და კადრებით უზრუნველყოფაში. ამის საუკეთესო საშუალებას ქმნის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი. მართალია, სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი გავს ყოფილ კოლმეურნეობას, თუმცა არ შეიძლება ამ ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივის გაიგივება ყოფილ კოლმეურნეობასთან, რადგანაც, როგორც ცნობილია, ყოფილი კოლმეურნეობები სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ეწეოდნენ სახელმწიფო საკუთრების მიწაზე, ხოლო ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი სოფლის მეურნეობის პროდუქციას აწარმოებს კერძო საკუთრებაში არსებულ, ან არენდით აღებულ მიწაზე; ამასთან ერთად, ყოფილი კოლმეურნოებების ქონება ირიცხებოდა განუყოფელ ფონდებში, რის გამოც კოლმეურნეს კოლმეურნეობიდან გასვლისას საერთო ქონებიდან არაფრის გატანა არ შეეძლო, ხოლო ამ ახალი ტიპის საწარმოში, სოფლის მეურნეობის საწარმოო კოოპერატივში, იქმნება საპაიო ფონდი და წევრებს კოოპერატივიდან გასვლისას შეუძლიათ მიიღონ ფული ან ქონება გადახდილი პაის ანგარიშში.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი არის ერთი იურიდიული პირი, ან ორგანიზაცია, რომელსაც აქვს თავისი ქონება, დამოუკიდებელი ბალანსი, პასუხს აგებს ამ ქონებით თავის ვალდებულებებზე, სასამართლოში შეიძლება იყოს მოპასუხეც და სარჩელის შემტანიც.

საწარმოო კოოპერატივი ითვლება კომერციულ ორგანიზაციად, რომლის ძირითადი საქმიანობის მიზანი მოგების მიღებაა.

სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოსაგან საწარმოო კოოპერატივი იმით განსხვავდება, რომ იგი ეფუძნება კერძო საკუთრებას. ამასთან, კოოპერატივის ქონების კონკრეტულ ნაწილს თავისი კერძო მესაკუთრე ჰყავს. პრინციპული განსხვავება საწარმოო კოოპერატივსა და სხვა კომერციულ ორგანიზაციებს შორის ისაა, რომ საწარმოო კოოპერატივში მისი წევრები აერთიანებენ საპაიო შენატანებს თავიანთთვის სამუშაო ადგილების შესაქმნელად, რათა ჰქონდეთ შემოსავალი შრომის ანაზღაურების სახით. საწარმოო კოოპერატივის მიერ მიღებული მოგება ძირითადად ნაწილდება წევრთა მიერ დახარჯული შრომის პროპორციულად. სხვაგვარ კომერციულ ორგანიზაციებში მესაკუთრე აბანდებს კაპიტალს ყოველგვარი შრომითი მონაწილეობის

გარეშე, მაქსიმალური მოგების მისაღებად.

სოფლის მეურნეობის საწარმოო კოოპერატივი იქმნება ფერმერთა კოოპერირებული მიწის დამუშავებისათვის, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისათვის ან ნებისმიერი სხვა ისეთი საქმიანობისათვის, რომელიც სოფლის მეურნეობის წარმოებას უკავშირდება. სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატიულ მეურნეობაში გაერთიანებული გლეხური (ფერმერული) მეურნეობები და პირადი დამხმარე მეურნეობები რჩებიან თავიანთი მიწის მესაკუთრეებად და ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას. კოოპერატიულ მეურნეობაში წარმოებული პროდუქცია გლეხური (ფერმერული) მეურნეობის საკუთრებაა, ხოლო კოოპერატიული მეურნეობა ღებულობს კომპენსაციას მის მიერ გაწეული ხარჯებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივების შექმნის, გლეხების მიერ მიწის ნაკვეთების, ქონების და ფულადი საშუალებების გაერთიანების ძირითადი მიზანია სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთობლივად წარმოება, გადამუშავება და მისი რეალიზაცია.

უდავოა, რომ ზემოაღნიშნული ორგანიზაციულ-ეკონომიკური ღონისძიებების უნარიან გამოყენებას დიდი როლის შესრულება შეუძლია საქართველოში მარცვლეულის წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში. ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, მათი განხორციელება დიდძალ კაპიტალურ დაბანდებებთან არის დაკავშირებული, რომლის მოცულობა 2010 წლისათვის 411 მლნ ლარს მიაღწევს. კაპიტალურ დაბანდებათა საპროექტო მოცულობებით ხასიათდება მხოლოდ დასახული მიზნის მიღწევის ერთი მხარე – რომ მათი განხორციელების გარეშე აქ მარცვლეულის წარმოება შეუძლებელია, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მთავარია მიზანდასახულობათა მეორე მხარე – რა ეფექტის მიღება შეუძლია აღნიშნულ კაპიტალურ დაბანდებებს.

საორიენტაციო გაანგარიშებების შედეგად (ცხრილი 3.2.3) დადგინდა, რომ ქვეყნის სახნავი მიწების ინტენსიურად გამოყენების საფუძველზე აღნიშნული კაპიტალური დაბანდებები გამოსყიდული იქნება 5,5 წელიწადში, ხოლო კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის კოეფიციენტი – 0,18 მიაღწევს.

**მარცვლეულის წარმოების ეფექტიანობის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზული პარამეტრები 2010 წლამდე პერიოდისათვის**

*ცხრილი 3.2.3*

| მაჩვენებლები | ზომის ერთეული | 2010 ჭელი |
|---|---|---|
| კაპიტალური დაბანდებები | მლნ | 411,0 |
| წმინდა შემოსავალი | მლნ | 74,5 |
| კაპიტალდაბანდებათა გამოსყიდვის ვადა | წელი | 5,5 |
| კაპიტალდაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის კოეფიციენტი | X | 0,18 |
| მოდის ერთ ჰა მარცვლეულის ნათესზე:<br>a) მარცვლეულის მთლიანი პროდუქციის ღირებულება<br>b) წმინდა შემოსავალი | <br><br>ლარი<br>ლარი | <br><br>1058<br>160 |

ამრიგად, რეკომენდირებული ორგანიზაციულ-ეკონომიკური ღონისძიებებისათვის მიმართულ კაპიტალურ დაბანდებათა განხორციელების მნიშვნელობა მხოლოდ მარცვლეულის წარმოების გადიდებით და ეფექტიანობის ამაღლებით არ შემოიფარგლება, მას დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების მეცნიერულ საფუძველზე განვითარების და საერთოდ ეროვნული ეკონომიკის განმტკიცებისათვის.

### 3.2.1. საფინანსო-საკრედიტო სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები ფერმერულ მეურნეობებში

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ფერმერული მეურნეობების ფორმირება საკმაოდ არახელსაყრელ პირობებში მიმდინარეობს. კერძოდ, შეზღუდულია როგორც ფერმერული მეურნეობების, ისე საერთოდ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ბიუჯეტიდან დაფინანსების შესაძლებლობანი. შეუძლებელია საკუთარი სახსრებით ფერმერული მეურნეობების მაღალი მატერიალურ-ტექნიკური დონით უზრუნველყოფა.

როგორც განვითარებადი ქვეყნების და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ფერმერულ მეურნეობათა განვითარების გამოცდილებით არის დადასტურებული, მეურნეობრიობის ამ ფორმით წარმატებით ფუნქციონირება უმეტესწილად დამოკიდებულია შესაბამისი როგორც საწარმოო, ისე სოციალური ინფრასტრუქტურული სამსახურის ფართო ქსელის შექმნაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში,

სოფლად თავისუფალი მეწარმეობის დიდი მასშტაბით განვითარება შეუძლებელი იქნება.

საბაზრო ეკონომიკის ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, ფერმერმა (მით უფრო დამწყებმა) უნდა იცოდეს, რა აწარმოოს, როგორ აწარმოოს, ვისთვის და რა რაოდენობით აწარმოოს და რა რესურსების (საფინანსო, კადრები, ნედლეული, შრომის საშუალებები) პირობებში. ყველა რესურსს თავისი ადგილი უკავია მენეჯერის საქმიანობაში, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა თანამედროვე წარმოების მართვაში ენიჭება საფინანსო რესურსებს, რომელიც იძლევა დანარჩენი რესურსების შეძენის საშუალებას.

საქართველოში განხორციელებულმა აგრარულმა რეფორმებმა ცხადყო, რომ ჯერ კიდევ დიდი ხარვეზებია ფერმერთა დაფინასება-დაკრედიტების სფეროში, ქვეყანაში არ არსებობს ეფექტური დარგობრივი საკრედიტო პოლიტიკა.

აგრარულ სექტორში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება თავისთავად მაღალრისკიანი საქმიანობაა და ამდენად მისი დაკრედიტებაც მაღალ რისკთანაა დაკავშირებული. მართალია, რომ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაფინანსებას ძირითადად აგრო-ბიზნეს ბანკი ახორციელებს, მაგრამ მის მიერ გაცემული კრედიტების პირობებში (სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი 18-22%, საშუალო ვადა 12-18 თვე), არ განსხვავდება სხვა კომერციული ბანკების პირობებისაგან და არ არის შეღავათიანი. ამასთან, ბანკი ძირითადად სესხს იძლევა მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ვაჭრობაზე და გადამუშავებაზე. სესხის გაცემის დაახლოებით იგივე პირობები აქვს მიკროსაფინანსო ბანკსაც. სხვა კომერციული ბანკები თავს არიდებენ აგრარული სექტორის დაფინანსებას, ხოლო მცირე მოცულობით დაფინანსების შემთხვევაშიც კი პირობები იმდენად არარეალურია, რომ ფერმერის მიერ სესხის აღებას აზრს უკარგავს. ამასთან ფერმერთა დაკრედიტების მაღალ რისკს განაპირობებს ისიც, რომ ქვეყანაში არ არსებობს ქმედითი სადაზღვევო სისტემა.

აგრარული სექტორის ძირითად დამფინანსებლად ისევ წვრილი და საშუალო ფერმერული მეურნეობები გვევლინება, რომლებიც თავიანთი მცირე დანაზოგების რეინვესტირებით ახდენენ თვითდაფინანსებას, რომლიც უმეტს შემთხვევაში მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არის საკმარისი.

მართალია, ქართული საბანკო-საკრედიტო სისტემა განვითარების ახალ ფაზაში

შედის და საერთაშორისო სტანდარტებს უახლოვდება, მაგრამ ბანკებს შორის კონკურენციული ბრძოლა იმდენად დიდია, რომ თითქმის ყველა მათგანი განვითარების ამ ეტაპზე თავს არიდებს გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი და რისკიანი პროექტების დაკრედიტებას. ამიტომაც არის, რომ კომერციული ბანკების მიერ არ ხორციელდება ფერმერული მეურნეობების დაკრედიტება.

ჩვენს ქვეყანაში ფერმერთა დაფინანსება-დაკრედიტების განვითარებას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ 1996 წელს, როდესაც ევროგაერთიანების მიერ საქართველოსადმი სასურსათო დახმარების პროგრამის ფარგლებში შემოტანილი პროდუქტების (ხორბალი, ფქვილი) რეალიზაციისა და მონეტიზაციის შედეგად აკუმულირებული სახსრების საფუძველზე შეიქმნა «საპარტნიორო ფონდი», რომელიც მიზნად ისახავდა აგრარულ სექტორში მიმდინარე რეფორემბის მხარდაჭერას და ფერმერული მეურნეობებისა და გადამამუშავებელი საწარმოების განვითარებისათვის ხელშეწყობას, მათი დაკრედიტების გზით.

«საპარტნიორო ფონდის» პროექტის ფარგლებში პირველ ეტაპზე მარცვლეულის მწარმოებელ ფერმერებზე, მარცველულის გადამამუშავებელ საწარმოებზე და მარცვლეულით მოვაჭრე ფირმებზე, შერჩეული სერტიფიცირებული 17 კომერციული ბანკის საშუალებით, გაიხსნა 10,2 მილიონიანი ლარის საკრედიტო ხაზი. აღნიშნული «საპარტნიორო ფონდი» ქვეყანაში პირველი პროექტი იყო, რომელმაც კომერციული ბანკების ქსელი ჩართო აგრარულ სექტორში სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე სესხების გასაცემად.

«საპარტნიორო ფონდის» ახალ ანგარიშებზე დაფუძნებული თანხებიდან პროგრამის შემდგომ ეტაპზე სესხების სახით სულ გაცემული იქნა 39 მლნ ლარზე მეტი.

«საპარტნიორო ფონდის» პროგრამის განხორციელებამ უდავოდ შეუწყო ხელი ქვეყანაში მარცველულის წარმოების გადიდებას, საკრედიტო სისტემის ამოქმედებას და, რაც მთავარია, დაბრუნებული ძირითადი თანხის და პროცენტის რეინვესტირებას; მაგრამ დადებითთან ერთად, აღნიშნულმა პროექტმა გამოავლინა ფერმერული მეურნეობების  დაკრედიტების სფეროში უამრავი პრობლემა, რომელთა შორის უმთავრესია:

- სესხების გადახდის რისკი და პასუხისმგებლობა მთლიანად კომერციულ ბანკებს დაეკისრა, რის გამოც ბანკების მიერ ფერმერებისადმი სესხის მიღების წაყენებული მკაცრი ზომები მიუღებელი აღმოჩნდა;

- სესხის მიღებისათვის გირაოში არ მიიღებოდა ფერმერის კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგული. გირაოში მიიღებოდა მხოლოდ სწრაფად ლიკვიდური ქონება დედაქალაქის პრესტიჟულ უბნებში, რომელიც, რა თქმა უნდა, რეგიონებში მოქმედ ფერმერებს არ გააჩნდათ და ამდენად მათ ვერ შეძლეს სესხის გირაოთი უზრუნველყოფა;
- «საპარტნიორო ფონდის» მიერ დაწესებულ 14%-ს, კომერციულმა ბანკებმა დამატებით დაარიცხეს 10%, რამაც შეადგინა 24%. მართალია, ეს განაკვეთები პროექტის შემდგომ ეტაპზე შემცირდა და წლიური 18-20% შეადგინა, მაგრამ ფერმერისათვის ეს განაკვეთიც წარმოუდგენლად მაღალი იყო;
- კომერციული ბანკები ძირითადად კონცენტრირებულია დედაქალაქში. ბევრ მათგანს არ გააჩნიათ რეგიონული და რაიონული ფილიალები, რის გამოც ფერმერებს უჭირთ მათთან კონტაქტის დამყარება;
- ფერმერები მზად არ აღმოჩნდნენ კრედიტის მიღებისათვის სათანადო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ბიზნეს-გეგმების შესამუშავებლად და კრედიტის მენეჯმენტის განსახორციელებლად.

ზემოაღნიშნული პრობლემების მიუხედავად, ევროგაერთიანების «საპორტნიორო ფონდის» პროექტით განხორციელებული ფერმერული მეურნეობების კომერციული ბანკების მეშვეობით დაკრედიტება, ქვეყნის აგრარულ სექტორში საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობების ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე, უდავოდ პროგრესული მოვლენა იყო.

ევროგაერთიანების «საპარტნიორო ფონდის» სამართალმემკვიდრეა 1999 წელს რეგისტრირებული «აგრობიზნეს ბანკი», რომელიც მხოლოდ სოფლის მეურნეობის სფეროს დაფინანსებას უზრუნველყოფს, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, მის მიერ კრედიტების გაცემის პირობები ფერმერებისათვის მიუღებელია.

საქართველოს მეტწილ რეგიონებში ფუნქციონირებს სხვადასხვა დონორი ორგანიზაციები, (IOCC, FINCA, ACDI, VDCA), მსოფლიო ბანკის საკრედიტო კავშირების ჯგუფი და სხვა, თუმცა მათი რესურსები და მოქმედების არეალი შეზღუდულია და არა არის ორიენტირებული სოფლის მეურნეობაზე.

აგრარულ სექტორში საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირებაში უდავოდ პოზიტიურ როლს ასრულებს მსოფლიო ბანკის საკონკურსო გრანტების სისტემა, მაგრამ როგორც მეცნიერ-ეკონომისტთა გამოკვლევებით არის დადასტურებული, მათზე

დაყრდნობით სოფლის მეურნეობის მოქმედი და პერსპექტიული სისტემის ჩამოყალიბება-ფუნქციონირება შეუძლებელია.

ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა გრანტების გამოყენების კრიტერიუმები. კერძოდ, როგორც ცნობილია, საკონკურსო გრანტების სისტემის უმთავრეს ამოცანას უახლესი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების სოფლის მეურნეობაში დანერგვა და მათი ფართოდ გავრცელება წარმოადგენს. ფერმერულ მეურნეობაში, სადაც ხორციელდება ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, სწავლება უტარდებათ სხვა ფერმერებსაც, რათა ისინი გაეცნონ პროგრესულ ტექნოლოგიას და გამოიყენონ იგი საკუთარ მეურნეობაში. სამწუხაროდ, მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას, უმეტესწილად ხელს უშლის საჭირო თანხების უქონლობა და, რაც მთავარია, ფერმერებს მათი მოპოვების საშუალებაც არ გააჩნიათ. ამის მთავარი მიზეზია ის, რომ ქვეყანაში არ არსებობს ეფექტური დარგობრივი საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობდა საკონკურსო გრანტების სისტემის იდეის სრულყოფილად განხორციელებას.

ქვეყნის აგრარულ სექტორში ფუნქციონირებადი ფერმერულ მეურნეობათა ძირითადი მასა დაქსაქსული და არაორგანიზებულია. არსებული მწვავე სოციალური ფონისა და სიღარიბის დონის გათვალისწინებით ფერმერული მეურნეობების განვითარების ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებად მთი კოოპერირება გვესახება. ეს თემა საკმაოდ პრობლემატურია. თანამედროვე პირობებში საქართველოში მრავალფეროვანი ფერმერული მეურნეობების გაერთიანება და გამსხვილება უნდა წარიმართოს კოოპერირების თანამედროვე მეთოდების და ფორმების გამოყენებით, რომელიც განპირობებული იქნება არსებული ბუნებრივ-კლიმატური, ეკონომიკური, საფინანსო-საკრედიტო, წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის, მექანიზაციის დონისა და სხვა ფაქტორებით.

ფერმერთა ჩამოყალიბებასთან ერთად დაიწყო სხვადასხვა ინტერესებით მათი გაერთიანებების (მემამულეთა და ფერმერთა კავშირები, წყალმომხმარებელთა ასოციაციები და სხვა) შექმნა, ყალიბდება ფერმერთა ვიწრო სპეციალიზაციის (მარცვლეულის, კარტოფილის, სოიოს მწარმოებელთა კავშირები) მიხედვითაც. ამ ფონზე მეტად კარგ წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი – მსოფლიო ბანკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის მიერ ჩამოყალიბდა სოფლად საკრედიტო კავშირები. 2000 წლისათვის საქართველოს 11 რეგიონში შექმნილი იყო 109

სასოფლო-საკრედიტო კავშირი 580 ათასი ლარის საერთო კაპიტალით და 7 ათასი კაცის წევრთა საერთო რაოდენობით.

ევროგაერთიანების TACIS-ის და RARP-1 პროექტის ფარგლებში ამავე პერიოდისათვის ჩამოყალიბებული იქნა 7 რეგიონალური საკრედიტო კავშირი – კახეთის (სიღნაღი), სამეგრელოს (ხობი), გურიის (ლანჩხუთი), სამცხე-ჯავახეთის (ახალციხე, ნინოწმინდა), იმერეთის (ვანი) და აჭარის (ქობულეთი) რეგიონებში.

ქვეყნის აგრარულ სექტორში ფერმერული მეურნეობების განვითარების მხარდაჭერისა და დახმარების ღონისძიებების განხორციელების შედეგად ამ სფეროში მიღწეული დადებითი ტენდენციების დამკვიდრების მიუხედავად, ფერმერთა დაფინანსება-დაკრედიტების სისტემა სრულყოფას საჭიროებს. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ ვიზიარებთ იმ მეცნიერთა და სპეციალისტთა მოსაზრებებს, რომელთაც ფერმერთა ფინანსური პრობლემების გადასაჭრელად სოფლის მეურნეობის დაკრედიტების დამოუკიდებელი, ძლიერი და ეფექტიანად მოქმედი შეღავათიანი სისტემის შექმნა მიაჩნიათ, ხოლო სახელმწიფოს გრძელვადიანი პერსპექტიული პოლიტიკა მიმართული იქნება სუბსიდიებით უზრუნველყოფისაკენ (3.42., გვ.32,33.).

ვინაიდან სახელმწიფოს აღნიშნული სისტემის დამოუკიდებლად დაფინანსება არ შეუძლია, რესურსების ფორმირების ძირითადი წყარო დონორი ქვეყნებისაგან მოზიდული თანხები გახდება, ხოლო საქართველოს მასშტაბით ამ თანხების ეფექტური განაწილების კოორდინაცია თვით სახელმწიფოს უნდა მოეხდინა. სოფლის მეურნეობის სამინისტროში, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით უნდა შეიქმნას კრედიტების მართვის და კოორდინაციის ერთიანი ორგანო, რომლის სტრუქტურა მნიშვნელოვანწილად ბანკის საკრედიტო დეპარტამენტის სტრუქტურის იდენტური იქნება. თუმცა, აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ამ ორგანოს ამოცანებიც (ინვესტიციების მოზიდვა, საპროცენტო განაკვეთის დადგენა, გრძელვადიანი კრედიტების გაცემის პირობების შემუშავება, საკრედიტო შეღავათების სისტემის შემუშავება, დაფინანსების პრიორიტეტული მიმართულებების დადგენა) იდენტურია.

სოფლის მეურნეობის დაკრედიტების შეღავათიანი სისტემა კერძო და სახელმწიფო მმართველობის ეფექტურ შერწყმას უნდა ეფუძნებოდეს, მაგრამ ყველა შემთხვევაში ფერმერთა გარკვეული კატეგორიისათვის სესხის გაცემისა და დაფარვის დამატებითი შეღავათების გაწევის საკითხი, სწორედ სახელმწიფო ორგანოს პრეროგატივას უნდა წარმოადგენდეს.

ფერმერთა დაკრედიტება შემდეგი პირობების დაცვით უნდა განისაზღვროს:

- სესხის ვადა – მაქსიმუმ 10 წელი, საშუალოდ 3-5 წელი;
- სესხის სარგებელი – 3-6% წელიწადში;
- სესხის ოდენობა:
    - სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის – არა უმეტეს 50 ათასი აშშ დოლარი;
    - სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებისათვის – არა უმეტეს 300 ათასი აშშ დოლარი;
    - სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითრებისათვის – არა უმეტეს 150 ათასი აშშ დოლარი.

კრედიტის უზრუნველსაყოფად გირაოს საერთო ღირებულება უნდა იყოს მოთხოვნილი სესხის 150-200%.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე კრედიტები უნდა გაიცეს როგორც საბრუნავი საშუალებების შესავსებად, ასევე კაპიტალური დაბანდებებისათვისაც. ამასთან აუცილებელია მსესხებელი ფერმერის მონაწილეობა პროექტით გათვალისწინებულ საქმიანობაში საკუთარი სახსრებით, ან უკიდურეს შემთხვევაში სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებით.

როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, გადამუშავების და სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის სესხის ოდენობის დიფერენციაციიდან ჩანს, რადგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების დიდი უმრავლესობა საჭიროებს ტექნიკურ გადაიარაღებას, მათი დაკრედიტება ყველაზე დიდ თანხებს მოითხოვს.

სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გაცემული სესხები ასევე პრიორიტეტული უნდა იყოს იმ მოტივაციით, რომ იგი მოიცავს აგრარული რეფორმის ისეთ აუცილებელ სეგმენტებს, როგორიცაა: სასოფლო-სამეურნეო სამმართველოების რეორგანიზაციას, ფერმერული მეურნეობების კოოპერირებას, აგროსერვის ცენტრების და სასაწყობე მეურნეობების შექმნას, კომპიუტერული საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრების ჩამოყალიბებას, სანერგე, სათესლე და საჯიშე მეურნეობების განვითარებას.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, აგრარულ სექტორში სახეზეა მწვავე საფინანსო და საკრედიტო დეფიციტი. როგორც სახელმწიფო, ისე მოზიდული ინვესტიციების

მოცულობა ძალზე მცირეა, ამდენად, ფერმერთა ფუნქციონირება მხოლოდ მათი დანაზოგების რეინვესტირებით წარმოებს. აქედან გამომდინარე, ფერმერული მეურნეობების განვითარების ძირითად ფაქტორად საქართველოში სოფლის მეურნეობის საფინანსო-საკრედიტო ბაზრის ფორმირება მიგვაჩნია. ამასთან, გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს აგრეთვე სასოფლ-სამეურნეო კრედიტების და აგრარული წარმოების დაზღვევის სისტემის ფორმირებაც, რომლის გარეშეც ფერმერული მეურნეობების ეფექტიანი ფუნციონირება წარმოუდგენელია.

საბაზრო ურთიერთობების ფორმირების მოცემულ ეტაპზე გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს მარცვლეულის გარანტირებული შესყიდვის მექანიზმის შემუშავებამ და მისმა სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერამ. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესო გამოცდილებაა დაგროვილი საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში, განსაკუთრებით ხორბლის გარანტირებული შესყიდვის სფეროში. აღნიშნული სისტემის უნარიან გამოყენებაზე იქნება დამოკიდებული მარცვლეულის წარმოების გადიდების გამოუყენებელი რეზერვების ამოქმედება. ხორბლის გარანტირებული შესყიდვის მექანიზმის მთავარ პრინციპს კომერციული ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების მონაწილეობით ფინანსური რესურსების მობილიზება და რაც მთავარია გლეხური (ფერმერული) მეურნეობებისა და წისქვილკომბინატებს შორის, სახელშეკრულებო ურთიერთობების საფუძველზე, ვერტიკალური და ჰორიზონტალური კოოპერაციული საზოგადოებების ჩამოყალიბება წარმოადგენს.

აღნიშნული პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებენ ფერმერული (გლეხური) მეურნეობები, რომლებსაც კომპაქტურად გაადგილებულ მცირე ნაკვეთებზე მოჰყავთ ხორბალი. პარალელურად შეირჩევა ნათესებთან ყველაზე ახლოს გაადგილებული წისქვილკომბინატი. სწორედ მათი ურთიერთობით იწყება ვერტიკალური ინტეგრაციის პროცესი, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება. ხელშეკრულებაში ფიქსირდება ხორბლის ჩაბარების დრო, ჩასაბარებელი რაოდენობა, მისი ხარისხობრივი მაჩვენებლები, ერთეული პროდუქციის შესყიდვის ფასი, შესყიდული პროდუქციის ანაზღაურების ფორმა, ჩაბარებული პროდუქციის შენახვის ხარჯები, მისი გაყიდვიდან ამოღებული თანხების განაწილების პირობები და სხვა. მაგრამ თუ ასეთი ხასიათის ურთიერთობა გლეხის სურვილით არ შედგა, მაშინ ისმება საკითხი მათი ჰორიზონტალური კოოპერაციული ინტეგრაციის შესახებ.

პროექტის განხორციელების პირველ წელს გლეხებს უგროვდებათ გარკვეული ფინანსური რესურსები, რაც საშუალებას აძლევს მათ ხორბალი აწარმოონ ინტენსიური მეთოდების გამოყენებით, კერძოდ, შეიძინონ მაღალი ხარისხის თესლი, სასუქები და პესტიციდები, დაიქირაონ მაღალი წარმადობის ტექნიკა, ფულადი შემოსავლების გაზრდის მიზნით, მეტი რაოდენობის მარცვლეული ჩააბარონ წისქვილკომბინატს და ა.შ.

ხორბლის ჩაბარების ქვითარი გლეხების მიერ გამოყენებული იქნება, როგორც ლიკვიდური საგირავნო ქონება კომერციული ბანკებისაგან კრედიტის ასაღებად, იგივე შეიძლება გააკეთოს წისქვილკომბინატმაც იმ მოცულობის ქონებაზე, რასაც ჩაბარებული ხორბლის ღირებულება შეადგენს. მას შემდეგ, პროცესში ჩაერთვება სადაზღვევო კომპანიები, მათ მიერ კრედიტის მისაღებ საგირავნო ქონებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ურთიერთშორის დადებული ხელშეკრულებები (3.4., გვ.212-214).

## დასკვნები და წინადადებები

1. აგრარული რეფორმის მიმდინარეობის ობიექტური ანალიზი ცხადყოფს, რომ მისი გავლენა საბოლოო მიზნის მიღწევაზე აშკარად არასაკმარისია. მიწის რეფორმის გატარების საკანონმდებლო ბაზის შექმნამ ხელი შეუწყო მიწის სახელმწიფო მონოპოლიური საკუთრების ფორმის შეცვლას, რაც ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის გზით განვითარების ძირითად პირობას წარმოადგენს.

   მიწის რეფორმის განხორციელების ეს უაღრესად რთული პროცესი რიგი ხარვეზებით წარიმართა, იგი დაიწყო სპონტანურად, შესაბამისი იურიდიული, მეთოდოლოგიური და მატერიალური ბაზის გარეშე, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყანაში სოფლად ინდივიდუალური მეურნეობის გაძღოლის და, რაც მთავარია, ქართველი გლეხის სამეწარმეო საქმიანობის მდიდარ ტრადიციებზე. ფაქტიურად გლეხი მიწასთან პირისპირ აღმოჩნდა ყოველგვარი სახსრებისა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გარეშე.
2. კვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობის ადგილობრივი წარმოების სურსათით მომარაგების საქმეში შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან თავის დაღწევის უმნიშვნელოვანესი პირობაა წარმოებით ურთიერთობათა ძირეული გარდაქმნა, რომლის პროცესშიც აგრარულ სფეროში საკუთრების

მრავალფეროვნებაზე დაყრდნობით გასაქანი მიეცემა მეურნეობრიობის მრავალსახეობას. აქედან გამომდინარე, გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს მსოფლიო ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილებაზე და საკუთარი ქვეყნის მეცნიერებაზე დაყრდნობით განისაზღვროს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების მისაღები ეფექტური ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმები.

3. აგრარულმა რეფორმამ დააჩქარა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა (კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა) რესტრუქტურიზაცია, ჩამოყალიბდა ახალი ტიპის კოოპერატივების, შერეული და სოლიდური პასუხისმგებლობის, სააქციო საზოგადოების და საკუთრების სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმის სხვადასხვა საწარმოები. მნიშვნელოვნად შეიცვალა მეწარმე სუბიექტისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურა. საქართველოში საკუთრების სხვადასხვა ახალი მეურნეობრივი ფორმების წარმოშობა, დამკვიდრება და ფუნქციონირება, არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, პირიქით, ისინი მჭიდროდ ურთიერთქმედებენ საზოგადიოების სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურაში, ავსებენ ერთმანეთს, საქმით ადასტურებენ საკუთარ ცხოველმყოფელობას, ეფექტიანობას და პერსპექტიულობას. ეკონომიკის აღმავლობა დამოკიდებული იქნება არა მარტო კერძო სექტორის განვითარებაზე, არამედ იჯარის, კერძო და სახელმწიფო სექტორების შეთანწყობაზე და მოქმედებაზე, რომელთა ოპტიმალურმა თანაფარდობამ უნდა უზრუნველყოს ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, სამომხმარებლო ბაზრის გაფართოება და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა.

4. ანალიზმა ცხადყო, რომ რევოლუციამდელ საქართველოში სამეურნეო წარმოება წარმოდგენილი იყო ძირითადად გლეხური და მემამულური მეურნეობების სახით, სადაც წოდებრიობის მიხედვით განასხვავებდნენ მიწის კერძო მფლობელობის თავადაზნაურულ და არათავადაზნაურულ ფორმებს. წვრილი გლეხური მეურნეობა კი წარმოადგენდა ერთგვარ თვითკმარ, კარჩაკეტილ მეურნეობრივ ერთეულს, სადაც სოფლის მეურნეობის პროდუქტთა უდიდესი ნაწილი თვით მწარმოებელთა არსებობის საშუალებად გვევლინებოდა და მხოლოდ მათი ნამატი ირთვებოდა სასაქონლო მეურნეობაში.

ამდენად, გლეხურ მეურნეობათა არსებობა ჩანასახოვან მდგომარეობაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისიდან მომდინარეობდა.

5. აგრარული რეფორმის გარდამავალ ეტაპზე ფერმერული (გლეხური) მეურნეობები უდავოდ დიდ როლს ასრულებენ ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფის საქმეში. ისინი ფლობენ ქვეყნის ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 58%-ს, აქ დასაქმებულია ეროვნულ ეკონომიკაში დასაქმებულთა 55%. მათ მიერ შექმნილი პროდუქცია ქვეყნის ეკონომიკის მთლიანი პროდუქციის სტრუქტურაში 95%-ს აჭარბებს. აქედან გამომდინარე, ნათლად იკვეთება ფერმერული მეურნეობების როლი და მნიშვნელობა თუ რაოდენ დიდია ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის და მთლიანად ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში.

6. როგორც კვლევამ გვიჩვენა, ფერმერული (გლეხური) მეურნეობების მიერ წარმოებული პროდუქციის მთლიან მოცულობაში დიდი ადგილი უკავია საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საჭირო და მარაგ პროდუქციას, ხოლო სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა და, აქედან გამომდინარე, საქონლიანობის დონე ძალზე დაბალია. ამის გამო უკიდურესად დაბალია ფერმერულ (გლეხურ) მეურნეობათა შემოსავლების და შესაბამისად რეინვესტირებული სახსრების მოცულობაც. მიუხედავად ამისა, მათ უაღრესად დიდი როლი შეასრულეს, განსაკუთრებით ეკონომიკური კრიზისის წლებში, მოსახლეობის დიდი ნაწილის შიმშილისაგან გადასარჩენად. აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში უნდა დადგეს წვრილი ფერმერული (გლეხური) მეურნეობების გამსხვილებისა და კომერციალიზაციის საკითხი, რომელიც უნდა განხორციელდეს მათი კოოპერატივებად, კორპორაციებად, სააქციო საზოგადოებად და სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის გაერთიანებებად გარდაქმნის გზით, რომელიც უნდა დარეგულირდეს შესაბამისი კანონით «სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ».

7. საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობს აგრარული რეფორმის განხორციელებისათვის საჭირო მრავალი საკანონმდებლო-სამართლებრივი აქტი, მათ შორის ფერმერული (გლეხური) მეურნეობის განვითარების ხელშემწყობი საკანონმდებლო ბაზაც.

«მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონში საწარმოო ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმათა ჩამონათვალში ფერმერული (გლეხური) მეურნეობა იურიდიულად შეზღუდულია და ვიდრე არსებული ვითარება არ შეიცვლება, იგი

ზემოთაღნიშნული სტატუსით ვერ განვითარდება. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაჩქარდეს კანონის «ფერმერული მეურნეობების შესახებ» მიღება, სადაც სრულყოფილად იქნება განმარტებული ფერმერული მეურნეობების სტატუსი.

8. მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნილების თვითდაკმაყოფილების მიზნიდან გამომდინარე, მარცვლეულის წარმოება უპირატესად ფერმერულ (გლეხურ) მეურნეობებში განვითარდა. ფერმერული (გლეხური) მეურნეობების ხვედრითი წილი ყველა კატეგორიის, როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობის, ისე წარმოებული მარცვლეულის სტრუქტურაში ყველაზე მაღალია. ფერმერულ (გლეხურ) მეურნეობებში მარცვლეულის წარმოების განვითარება უზრუნველყოფს არა მარტო მოსახლეობის მოთხოვნილებას საკუთარი მარცვლეულით დაკმაყოფილებას, არამედ ამცირებს ქვეყანაში გარედან შემოტანილი მარცვლეულის ოდენობას და, აქედან გამომდინარე, ქვეყნიდან მის შესასყიდად გათვალისწინებული ვალუტის გატანის ოდენობას, რაც ხელს უწყობს საგარეო-სავაჭრო ბალანსის ერთგვარ გაუმჯობესებას.

9. მარცვლეულის წარმოება ოდითგანვე საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა. ამასთან ქვეყნის განვითარების ყველა ეტაპზე მარცვლეული კულტურების სტრუქტურა გარკვეულ ცვლიელებებს განიცდიდა. ხორბალი ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო სიმინდი – დასავლეთ საქართველოში. 2004 წელს ყველა კატეგორიის მეურნეობებში წარმოებული 679.3 ათ. ტონა მარცვლეულიდან 385.1 ათ. ტონა, ანუ 57,2% ფერმერულ მეურნეობებში წარმოებულ სიმინდზე მოდიოდა, რაც განპირობებული იყო იმით, რომ ეს კულტურა შედარებით მცირე კონტურიან ნაკვეთებზე ითესება, მაშინ, როცა თავთავიანი კულტურების ასეთ ფართობებზე თესვა, ტექნიკური საშუალებების გამოყენების შეუძლებლობის გამო, ეკონომიკურად გაუმართლებელია.

10. მარცვლეული რესურსების გამოყენების სფეროში პოზიტიური პროცესების განვითარება (საკუთარი წარმოების ზრდა, თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტის ზრდა, იმპორტის შემცირება) ძირითადად განპირობებული იყო ბოლო წლებში მოსავლიანობის და, აქედან გამომდინარე, საერთო მოსავლის ზრდით, რაც ყყველაზე მეტად სამარცვლე სიმინდის წარმოებაში გამოიკვეთა.

11. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის

დარგობრივმა სტრუქტურამ გარკვეული ცვლილებები განიცადა. მნიშვნელოვნად შეიცვალა მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგებს შორის თანაფარდობა; 1990 წელთან შედარებით 2004 წელს მარცვლეულის ხვედრითი წილი 8.9 პუნქტით გაიზარდა. მარცვლეული კულტურების პროდუქციის პრიორიტეტი კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა ქვეყნის ცალკეული მხარეების მიხედვით.

ამრიგად, ქვეყნის სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში მომხდარი რადიკალური ცვლილებები საანალიზო წლებში მიმდინარე რთული სოციალურ-ეკონომიკური პირობებით უნდა აიხსნას, რაც, ჩვენი აზრით, კანონზომიერ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

12. საქართველოში განხორციელებულმა რეფორმებმა ცხადყო, რომ ჯერ კიდევ დიდი ხარვეზებია ფერმერთა დაფინანსება-დაკრედიტების სფეროში, ქვეყანაში არ არსებობს ეფექტური დარგობრივი საკრედიტო პოლიტიკა.

აგრარულ სექტორში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება მაღალრისკიანი საქმიანობაა და ამდენად მისი დაკრედიტებაც მაღალ რისკთანაა დაკავშირებული. ამასთან, ფერმერთა დაკრედიტების მაღალ რისკს განაპირობებს ისიც, რომ ქვეყანაში არ არსებობს ქმედითი სადაზღვევო სისტემა.

მართალია, ქართული საბანკო-საკრედიტო სისტემა განვითარების ახალ ფაზაში შედის და საერთაშორისო სტანდარტებს უახლოვდება, მაგრამ ბანკებს შორის კონკურენტული ბრძოლა იმდენად დიდია, რომ თითქმის ყველა მათგანი განვითარების ამ ეტაპზე თავს არიდებს გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი და რისკიანი პროექტების დაკრედიტებას. ამიტომაა, რომ კომერციული ბანკების მიერ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ ხორციელდება ფერმერული მეურნეობების დაკრედიტება.

13. ევროგაერთიანების მიერ საქართველოსადმი სასურსათო დახმარების პროგრამის ფარგლებში შემოტანილი პროდუქტების (ხორბალი, ფქვილი) რეალიზაციისა და მონეტიზაციის შედეგად აკუმულირებული სახსრების საფუძველზე შექმნილმა «საპარტნიორო ფონდმა» უდავოდ პროგრესული როლი შეასრულა ქვეყნის აგრარულ სექტორში საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში. აღნიშნული «საპარტნიორო ფონდი» ქვეყანაში პირველი პროექტი იყო, რომელმაც კომერციული ბანკების ქსელი ჩართო აგრარულ სექტორში სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე სესხების გასაცემად.

«საპარტნიორო ფონდის» პროექტის ფარგლებში პირველ ეტაპზე მარცვლეულის მწარმოებელ ფერმერებზე, მარცვლეულის გადამამუშავებელ და მარცვლეულით მოვაჭრე ფირმებზე, გაიხსნა 12 მლნ ლარის საკრედიტო ხაზი. ფონდის ანგარიშზე დაბრუნებული თანხებიდან სესხის სახით გაცემული იქნა 39 მლნ ლარზე მეტი.

«საპარტნიორო ფონდის» პროგრამის განხორციელებამ, რიგი ნაკლოვანებების მიუხედავად, უდავოდ შეუწყო ხელი ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების გადიდებას, საკრედიტო სისტემის ამოქმედებას და, რაც მთავარია, დაბრუნებული ძირითადი თანხის და პროცენტების რეინვესტირებას.

14. გაანგარიშებები ცხადყოფს, რომ მიწათსარგებლობაში მიმდინარე ტენდენციებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოსალოდნელი ტრანსფორმაციის გათვალისწინებით 2002 წელთან შედარებით 2010 წელს სახნავი მიწები დაბალინტენსიური სავარგულების და ახალი მიწების ათვისების ხარჯზე 793,8 ათას ჰექტარს მიაღწევს. ნათესი ფართობის სტრუქტურაში მარცვლეულ კულტურებს 60% დაეთმობა. თავთავიანი კულტურების ნათესი 252,9 ათ. ჰა-ს, ხოლო სამარცვლე სიმინდისა კი – 202,4 ათ. ჰა-ს მიაღწევს, რაც, ჩვენი აზრით, პასუხობს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოებისა და გადამუშავების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამით გათვალისწინებულ ამოცანებს. ამასთან, პერსპექტივაში მარცვლეული კულტურების 94%, ტექნიკური კულტურების 95%, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების 92% და საკვები კულტურების 72% ფერმერულ მეურნეობებზე მოდის.

15. აგრარულ სექტორში განხორციელებულმა რეფორმებმა ვერ შეუწყო ხელი ფერმერული მეურნეობების განვითარებას. ჯერ კიდევ საკმაოდ მრავლადაა განსაკუთრებით მარცვლეულის მწარმოებელ ფერმერულ მეურნეობებში, რომლებიც ეკონომიკურად სუსტად გამოიყურებიან, სახელმწიფომ კი ვერ შეიმუშავა მათი მხარდაჭერის და თანადგომის ეკონომიკური მექანიზმი; ფერმერულ მეურნეობათა განვითარების ეკონომიკურ შესაძლებლობათა ნიველირება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო პოლიტიკის თანმიმდევრული გატარებით. ყოველივე ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არათანაბარ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებში მყოფ ფერმერულ მეურნეობებს სახელმწიფო შეუქმნის თანაბარ ეკონომიკურ პირობებს – დაეხმარება სუბსიდიებით, წარმოებული პროდუქციის რეალიზაციით, და, რაც მთავარია,

ხელს შეუწყობს ფერმერულ მეურნეობებს კოოპერირების გზით განვითარებას.

16. ფერმერთა და მოიჯარეთა გამოკითხვის მასალების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ საანალიზო წლებში სახნავი მიწების მხოლოდ 71,2%-ია გამოყენებული მარცვლეული კულტურების ნათესების ქვეშ, ხოლო 28,8%, ბოლო წლებში დაბალი აგროტექნიკური ღონისძიებების და რიგი სხვა სოციალურ-ეკონომიკური მიზეზების გამო, დაუმუშავებელი რჩებოდა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ როგორც საკუთრებაში, ისე იჯარით გაცემულ სახნავზე განლაგებული შიდასამეურნეო სარწყავი და დამშრობი ქსელების ექსპლუატაციის ხარჯები, და მით უფრო მათი სრული რეაბილიტაციის როგორც ტექნიკური, ისე ფინანსური საშუალებები ფერმერთა შესაძლებლობებს აღემატება. ამასთან ისედაც დაბალნაყოფიერი სახნავის გამოყენებაზე უარყოფით გავლენას ახდენს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მეტწილ რაიონებში სიმინდისა და ხორბლის მონოკულტურის სახით თესვა.

17. სამარცვლე სიმინდის და ხორბლის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს რაიონებში, მაღალია ნიადაგის მომზადებაზე და ვეგეტაციის პერიოდში მოვლა-დამუშავებაზე გაწეული დანახარჯების ხვედრითი წილი, რაც გარკვეულწილად განპირობებულია საწვავ-საპოხი მასალების და სათადარიგო ნაწილების მაღალი ფასებით და, რაც მთავარია, უკვე ამორტიზებული, ფიზიკური და მორალური ცვეთის ზღვარზე მყოფი ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციის საკმაოდ მაღალი დანახარჯებით.

18. საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკის და მართვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩატარებულ გამოკვლევებზე დაყრდნობით, მიწათსარგებლობაში მიმდინარე ტენდენციებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოსალოდნელი ტრანსფორმაციის გათვალისწინებით 2002 წელთან შედარებით 2010 წელს სახნავი მიწები დაბალინტენსიური სავარგულების და ახალი მიწების ათვისების ხარჯზე 19,1 ათასი ჰექტარით გაიზრდება და 793,8 ათას ჰექტარს მიაღწევს. ნათესი ფართობის სტრუქტურაში მარცვლეულ კულტურებს 60% დაეთმობა. 2010 წლისათვის თავთავიანი კულტურების ნათესი 252,9 ათ. ჰა-ს, ხოლო სამარცვლე სიმინდისა კი – 202,4 ათ. ჰა-ს მიაღწევს, რაც, ჩვენი აზრით, პასუხობს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოებისა და გადამუშავების სახელმწიფო

მიზნობრივი პროგრამით გათვალისწინებულ ამოცანებს. ამასთან, პერსპექტივაში მარცვლეული კულტურების 94%, ტექნიკური კულტურების 95%, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების 92% და საკვები კულტურების 72% ფერმერულ მეურნეობებზე მოდის.

19. ინტენსიფიკაციის ფაქტორების კომპლექსური ამოქმედებით შესაძლებელია მარცვლეულის მოსავლიანობის 35,1 ცენტნერამდე, ხოლო საერთო მოსავლის 1600 ათას ტონამდე გაზრდა, რაც სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამით გათვალისწინებულ პარამეტრებზე (მოსავლიანობა 33 ც/ჰა, საერთო მოსავალი – 1485 ათასი ტონა) მაღალია. მიუხედავად ამისა, ობიექტური მიზეზების გამო, საქართველოში თითქმის შეუძლებელია არა თუ ოპტიმალური, არამედ მინიმალური მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება საკუთარი წარმოების მარცვლეულით. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში დღეს არ იყოს მარცვლეულის წარმოების შემდგომი მკვეთრი გადიდების და სასურსათოდ საკმარისი მარცვლეულის მიღების რეალური შესაძლებლობები.

20. ქვეყნის სასურსათო რესურსების ფორმირების და რეზერვების შექმნის ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან ფორმად აგრარული საბითუმო ბაზარი მიგვაჩნია, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს პროდუქციის წარმოების, შესყიდვის და გადამუშავების რთულ პროცესს. კვლევებით დადასტურებულია, რომ ბოლო წლებში სასურსათო პროდუქციის საბოლოო ფასში სოფლის მეურნეობის, და განსაკუთრებით მარცვლეული პროდუქციის ხვედრითი წილი ორჯერ შემცირდა. მასთან, საბოლოო ფასის არანაკლებ 25% არაკეთილსინდისიერი რეალიზატორი შუამავლების და კრიმინალური სტრუქტურების ხელშია მოქცეული. ამ ვითარების გამოსწორება შესაძლებელი იქნება სწორედ ზემოაღნიშნული ინტეგრალური ფორმირებების ეფექტური ფუნქციონირების მეშვეობით.

21. საქართველოში მარცვლეული კულტურების ნათესების ეფექტიანად გამოყენება და ამ მიზნით კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება დიდძალ კაპიტალურ დაბანდებებთან არის დაკავშირებული. კაპიტალურ დაბანდებათა დაზუსტებული ნორმატივების საფუძველზე დამუშავებული მარცვლეულის წარმოების გადიდებისათვის საჭირო კაპიტალურ დაბანდებათა პროგნოზული პარამეტრები 411,3 მლნ ლარს მიაღწევს, რომელთაგან 80%-ზე მეტი მიწების გაუმჯობესების ღონისძიებებს მოხმარდება, ხოლო მათ შორის წამყვან ადგილს

მიწების მორწყვისა და დაშრობის ღონისძიებები დაიკავებს.

საორიენტაციო გაანგარიშებებით დადგინდა, რომ ქვეყნის სახნავი მიწების ინტენსიურად გამოყენების საფუძველზე აღნიშნული კაპიტალური დაბანდებები გამოსყიდული იქნება 5,5 წელიწადში, ხოლო კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის კოეფიციენტი 0,18-ს მიაღწევს.

22. კვლევამ გვიჩვენა, რომ რეფორმის გარდამავალ ეტაპზე შექმნილი სამელიორაციო მომსახურების ასოციაციების ფორმა და შინაარსი არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, ვერ უზრუნველყოფს მიწების ეფექტიანობის ამაღლებას და ფერმერთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მიგვაჩნია, რომ სამელიორაციო მომსახურების სფერო უნდა გაფართოვდეს და მათ უნდა დაეკისროს აგრეთვე მიწის ნაყოფიერების ამაღლებასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოების და მომსახურების შესრულებაც. ამასთან, სახელმწიფომ პასუხისმგებლობა უნდა აიღოს არა მხოლოდ პირველი, არამედ მეორე რიგის არხების და საერთოდ მთელი სისტემის მოვლა-პატრონობაზე.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები და განკარგულებები

1.1. კრიზისის დაძლევისა და სტაბილიზაციის პროგრამის შესახებ, 1993წ., 18.12. №262;

1.2. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრივატიზაციის პროცესის სრულყოფის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ, 1995წ., 11.04 №80;

1.3. რადიკალური ეკონომიკური რეფორმის კონკურსის სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ, 1995წ., 08.02. №38;

1.4. სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების პროცესის შემდგომი დაჩქარების დამატებით ღონისძიებათა შესახებ, 1995წ., 27.09. №209;

1.5. პურპროდუქტების მრეწველობის საწარმოთა ობიექტების პრივატიზების გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ, 1995წ., 07.08. №303;

1.6. თავისუფალი ფასწარმოქმნის პირობებში მოსახლეობის პურით და პურპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფოებრივი რეგულირების ღონისძიებათა შესახებ, 1996წ., 11.08. №503;

1.7.მიწის რეფორმის ეგიდით განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად არსებული ხარვეზებისა და დარღვევების გამოსწორების, მიწის რეფორმის დაჩქარებისა და მიწათსარგებლობაში სათანადო წესრიგის დამყარების შესახებ, 1996წ., 11.02. №166;

1.8.სოფლად რეფორმების ორგანიზებულად განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ, 1996წ., 11.08. №186;

1.9.სასოფლო საკრედიტო კავშირების ჩამოყალიბებისა და განვითარების ღონისძიებათა შესახებ, 1996წ., 19.09. №616;

1.10. საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფციის შესახებ, 1997წ., 07.07. №171;

1.11. მელიორაციის და წყალთა მეურნეობის დარგში განსახორციელებელი რეფორმის პირველი ეტაპის შესახებ, 1997წ., 13.01. №20;

1.12. სურსათით უზრუნველყოფისათვის წყლის მართვის (მიწის მელიორაციის კომლექსური განვითარების) სახელმწიფო პროგრამის შესახებ, 1997წ., 22.08. №527;

1.13. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარით გაცემის წესის შესახებ, 1998წ., 02.08. №77.

## 2. საქართველოს საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, მთავრობის დადგენილებები

2.1. საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ, 1992წ., 18.01. №48;

2.2. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის შესახებ, 1992წ., 11.08. №892;

2.3. საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ, 1992წ., 22.09. №949;

2.4. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის მიმდინარეობის შესახებ, 1993წ., 16.01. №39;

2.5. 1993-1995 წლებში საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის კრიზისიდან გამოყვანის პროგრამის შესახებ, 1993წ., 05.03. №199;

2.6. საქართველოში კერძო მეწარმეობის მხარდაჭერის სამთავრობო პროგრამა, 1993წ., 15.07. №52;

2.7. საქართველოში მცირე სამეწარმეო საქმიანობის განვითარების და ხელშეწყობის ღონისძიებათა შესახებ, 1993წ., 19.08. №601;
2.8. საქართველოს კანონი «მეწარმეთა შესახებ», 1994წ., 28.10. 142 გვ.;
2.9. საქართველოს კანონი «იჯარის შესახებ», 1994წ., 28.10. 10 გვ.;
2.10. საქართველოს კანონი «სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ», 1996წ., 22.03. №165-112;
2.11. საქართველოს კანონი «სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ», 1996წ., 28.06. №330-112;
2.12. საქართველოს კანონი «მიწის რეგისტრაციის შესახებ», 1996წ., 14.11. №490;
2.13. საქართველოს კანონი «სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ» ცვლილებების შეტანის შესახებ, 1998წ., 20.03;
2.14. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 1998წ., 01.05;
2.15. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 1997წ., 25.12.

## 3. წიგნები და სტატიები

3.1. აგრარულ სექტორში კრიზისის დაძლევისა და სტაბილიზაციის პროგრამა – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბ., 1994წ., 80 გვ.;
3.2. აგრარული რეფორმების განხორციელების და კრიზისიდან გამოსვლის პრობლემები საქართველოში – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბ., 1994წ., 84 გვ.;
3.3. აგიაშვილი ი. – ფერმერული მეურნეობის განვითარების აქტუალური საკითხები, სსაუ-ის შრომათა კრებული, ტ. XXVII, 2004 წ., 206-211 გვ.;
3.4. ალფაიძე მ. – მარცვლის გარანტირებული შესყიდვის მექანიზმის შესახებ, სსაუ-ის შრომათა კრებული, ტ. XXVII, 2004წ., 212-214გვ.
3.5. ანდღულაძე რ. – აგრარული რეფორმა: მთავარი მიმართულებები, განხორციელების გზები, ჟურნ. «ეკონომიკა», 1994წ., №4-5, 50-53 გვ.;
3.6. ანდღულაძე რ., კიკნაველიძე ა. – მარცვლეულის წარმოებისა და გადამუშავების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის დამუშავების შესახებ, ჟურნ. «მოამბე», 1996წ., 147-151 გვ.;
3.7. ანდღულაძე რ., კაკულია რ. – მცირე ბიზნესის განვითარება საქართველოს აგრარულ სფეროში, ჟურნ. «კვალი», №7-8, 20-21 გვ.;
3.8. ასათიანი რ., კაკაშვილი ა., კაკულია რ. – აგროსამრეწველო სექტორის

3.9. ასათიანი რ. – საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური აგროსამრეწველო კომპლექსში, თბ., 2002წ., 312 გვ.;

3.10. აფციაური ვ. – ფერმერული მეურნეობების განვითარების გზები, გაზ. «საქართველოს რესპუბლიკა», 1998 წ., 06.05. №107;

3.11. ბურკაძე ვ. – მეურნეობის საკუთრებითი მრავალფეროვნების ეკონომიკური შინაარსი, ჟურნ. «ეკონომიკა», 1991წ., №3, 20 გვ.;

3.12. ბურკაძე ვ. – აგროსამრეწველო კომპლექსის კრიზისიდან გამოყვანის ღონისძიებები, ჟურნ. «ეკონომიკა», 1994წ., №6-8;

3.13. ბურკაძე ვ., ჭინჭარაული ნ. – პრივატიზაცია აგროსამრეწველო კოპმლექსში: მიზანი და რეალობა, ჟურნ. «ეკონომიკა», 1994წ., №9-12;

3.14. ბურკაძე ვ. – ფერმერულ მეურნეობათა კოოპერირება, არასამთავრობო ორგანიზაცია «შალომ კლუბი», თბ., 2000წ., 12 გვ.;

3.15. ბურკაძე ვ., აგიაშვილი ი. – ფერმერულ მეურნეობებში მარცვლეულის წარმოების განვითარების ზოგიერთი ტენდენციის შესახებ, ჟურნ. «სოციალური ეკონომიკა», 2004წ. №6, 363 გვ.;

3.16. ბოსტოღანაშვილი მ. – მარცვლეულის წარმოების განვითარების პერსპექტივები კახეთის რეგიონში, საქართველოს ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომათა კრებული, ტ. V, 2000წ.;

3.17. ბერეჩიკიძე ა. – საქართველოში სიმინდის მოსავლის პროგნოზი ექსტრაპოლარიზაციის მეთოდის გამოყენებით, ქუთაისი, 2003წ., 41 გვ.;

3.18. გიორგაძე ჰ. – აგრარული სექტორის განვითარების ბერკეტებისა და სტიმულირების შესახებ, ასკემსკი-ის შრომათა კრებული, 1991წ., 58 გვ.;

3.19. გიორგაძე ჰ. – საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების ეკონომიკური პრობლემები, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, თბ., «სიახლე», №2, 2001წ., 219 გვ.;

3.20. გიორგობიანი ო. – საწარმოთა ორგანიზაციული ფორმები, ჟურნ. «ეკონომიკა», 1990 წ., №4;

3.21. გოგოხია რ. – გასახელმწიფოებრიობის და პრივატიზაციის არსის გაგებისათვის, ჟურნ. «ეკონომიკა», 1992წ., №5-6;

3.22. გოგოხია რ. – როგორ გავხდეთ ფერმერი, ჟურნ. «ეკონომიკა», 1996წ., №7-8;

3.23. გოგოხია რ. – საბაზრო ეკონომიკა, თბ., «საქპროფგამი», 1996წ., 145 გვ.;

3.24. გოგოხია რ. – გზა მშვიდობისა, ფერმერო, «ფერმერის ბიბლიოთეკა», თბ., 1996წ., 27 გვ.;

3.25. გოგოტიშვილი მ. – ახლადჩამოყალიბებული ფერმერული (გლეხური) მეურნეობები და მათი როლი საქართველოს ფერმერულ სექტორში, «საქართველოში აგრარული კვლევების დანერგვის სწავლებისა და კონსულტირების» მსოფლიო ბანკის პროექტის მოსამზადებელი დოკუმენტი, №3, თბ., 1999წ.;

3.26. გრიშიკაშვილი ა. – ფერმერული მეურნეობა ჩვენი ხვალინდელი დღეა, ჟურნ. «ეკონომიკა», №9-10, 28-31 გვ.;

3.27. გუგუშვილი პ. – საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921-1946 წ.წ., თბ., 1947 წ.;

3.28. გუგუშვილი პ. – საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს, ტ. II, 600 გვ. ტ. III, 877 გვ., თბ., 1956 წ.;

3.29. გურგენიძე გ. – ფერმერთა კოოპერატივების საქმიანობის ორგანიზაციის საზღვარგარეთული გამოცდილების შესახებ, ასკემსკი-ის შრომების კრებული, ტ. V, 2004წ., 185 გვ.;

3.30. დავარაშვილი გ. – საბაზრო ეკონომიკის ლექსიკონი, თბ., «მეცნიერება», 1991წ.;

3.31. დებულება გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობებზე გადასვლის შEსახებ – ალტერნატიული ვარიანტი, გაზ. «სოფლის ცხოვრება», 1990 წ., 07.09.;

3.32. დიასამიძე დ. – ჩვენი ხვალინდელი დღე აგრარული თუ ინდუსტრიულ-აგრარული? ჟურნ. «ეკონომიკა», 1993წ., ¹6-7, 28-32 გვ.;

3.33. დოღონაძე გ., ტატულიშვილი ბ. – სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოსალოდნელი საპროგნოზო პარამეტრები 2010 წლისათვის, ასკემსკი-ის შრომათა კრებული, ტ. V, 2004წ., 112-119 გვ.;

3.34. დოღონაძე გ. – მიწათსარგებლობის ეფექტიანობის ამაღლების გზები საადგილმამულო ურთიერთობების სრულყოფის საფუძველზე (საქართველოს მთის რაიონების მაგალითზე), «სადისერტაციო მაცნე», თბ., 1993წ., 36 გვ.;

3.35. ელიზბარაშვილი ზ. – აგრარული რეფორმა და საბაზრო ეკონომიკა, ჟურნ. «ეკონომიკა», 1991 წ., №5, 3-9 გვ.;

3.36. ელიზბარაძშვილი ზ. – გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობათა მოდელირების

შეასხებ, ჟურნ. «ეკონომიკა», 1993წ., №6-7, გვ. 53-57;

3.37. ვაშაკიძე ო. – აგრარული რეფორმის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები და სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებები საქართველოში, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. I, 2000წ., 235-245 გვ.;

3.38. დავითაშვილი თ., სიჭინავა ნ. – ოჯახური (გლეხური) მეურნეობების გაძღოლის ზოგიერთი საკითხი საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, ასკემსკი-ის შრომების კრებული, ტ. V, 2004წ., 186-194 გვ.;

3.39. თავიდაშვილი თ. – აგროსერვისის ეფექტიანად გამოყენების წინადადებები, ასკემსკი-ის შრომათა კრებული, ტ. V, 205-214 გვ.;

3.40. თოფურია დ. – მიზანი: სურსათის წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, ჟურნ. «ეკონომიკა», 1991წ., №9-10, 37-41 გვ.;

3.41. ირემაშვილი ი. – სოფლის ეკონომიკური მიმოხილვა, ჟურნ. «ეკონომიკა», 1992წ., №10-11, 77-81 გვ.;

3.42. კაკულია რ., ფარცვანია ბ., ხუცაიძე კ. – საკრედიტო პოლიტიკა სოფლის მეურნეობაში, ჟურნ. «კვალი”, 2003წ., №2-3, 32-33გვ.

3.43. კილასონია გ. – ფერმერული მეურნეობების ფუნქციონირების საერთაშორისო გამოცდილება, «ფერმერის ბიბლიოთეკა», თბ., 1996წ., 17 გვ.;

3.44. კიკნაველიძე ა. – მიწათმოქმედება: მდგომარეობა, განვითარების გზები, ჟურნ. «ეკონომიკა», 1993წ., №6-7, 49-52 გვ.;

3.45. კიკალიშვილი შ., გრიგალაშვილი ე. – თუ სოფლის პატრონობა გვინდა, გაზ. «სოფლის მეურნეობა», 1991წ., 28.08;

3.46. კოღუაშვილი პ. – აგრარული რეფორმის მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფციის საკითხისათვის, სსაუ-ის შრომათა კრებული, ტ. IV, 1996წ., 84-86 გვ.;

3.47. კოღუაშვილი პ., ბენია შ., გეთია გ. – მთის და ბარის რეგიონებში ცხოვრების დონის გათანაბრების ასპექტები, სსაუ-ის შრომათა კრებული, ტ. XXVII, 163-166 გვ.;

3.48. კოღუაშვილი პ., გიორგაძე პ. – სურსათის წარმოების რეჰგიონალური ორიენტირები საქართველოში, «მაცნე», ეკონომიკის სერია, ტ. II, 2003წ., №1-2;

3.49. კუნჭულია თ. – საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები, «მეცნიერება», თბ., 1997წ., 139 გვ.;

3.50. კუნჭულია თ. – სოფლის მეურნეობა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში, ჟურნ. «ეკონომიკა», 1992წ., №10-11, 26-30 გვ.;
3.51. მახარაძე ჯ., აგიაშვილი ი. – სამელიორაციო სისტემების რესტრუქტურიზაციის საკითხისათვის, ასკემსკი-ის შრომების კრებული, ტ. IV, 2003წ., 42-48 გვ.;
3.52. მახარაძე ჯ., ვართანოვი მ., კვირიკაძე ლ., მაღლაკელიძე გ. – სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასების ზოგიერთი საკითხი საბაზრო ურთიერთობის პირობებში, ასკემსკი-ის შრომების კრებული, ტ. 2 (XXV), 1999წ., 88-93 გვ.;
3.53. მახარაძე ჯ., კუნჭულია თ. – აგრარულ სექტორში საინვესტიციო გარემოს ფორმირების და რეგულირების ძირითადი ეკონომიკური პრინციპები, ასკემსკი-ის შრომების კრებული, ტ. III (XXVI), 2001წ., 52-63 გვ.;
3.54. მახარაძე ჯ., დარსაველიძე შ., ღურწკაია კ. – საქართველოს აგრარულ სექტორში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის კონცეპტუალური და პრიორიტეტული მიმათულებანი, ასკემსკი-ის შრომათა კრებული, ტ. VI, 2005წ., 71-79 გვ.;
3.55. მესხიშვილი დ. – აშშ-ში ფერმერულ მეურნეობათა გამოცდილება, ჟურნ. «ეკონომიკა», 1992წ., №12, 49-54 გვ.;
3.56. მესხიშვილი დ. – ამერიკელ ფერმერებთან, ჟურნალი «კვალი», 1992წ., №4, 16-17 გვ.;
3.57. მეჭურჭლიშვილი გ. – მემცენარეობის დარგების განვითარების ოპტიმიზაციის საკითხები, ასკემსკი-ის შრომების კრებული, ტ. V, 2004წ., 159-167 გვ.;
3.58. მსოფლიო ბანკი, მიწის რეფორმის საკითხები, თბ. 1995წ., 6 გვ.;
3.59. მოკლე ეკონომიკური ლექსიკონი, თბ., «საქართველო», 1990წ., 239 გვ.;
3.60. მითიაშვილი რ. – ბიზნესის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 1991წ., 175 გვ.;
3.61. ნამიჭეიშვილი რ., ლუხუტაშვილი ი. – საბაზრო ეკონომიკის ლექსიკონ-ცნობარი, თბ., 1992წ., 97 გვ.;
3.62. პაპავა გ. – საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია, თბ., 1996წ., 100 გვ.;
3.63. პაპავა გ. – საბაზრო ეკონომიკაზე საქართველოს გადასვლის საფუძვლები, თბ., 1991წ., 116 გვ.;
3.64. პაპავა ვ. – ეკონომიკური რეფორმების ძირითადი თავისებურებები

საქართველოში, ჟურნ. «ეკონომიკა», 1995წ., №4-6;

3.65. პაპავა ვ. – სახელმწიფოს როლი თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში, ჟურნ. «ეკონომიკა», 1995წ., №7-9;

3.66. რუხაძე ს. – რატომ ფერხდება აგრარული რეფორმა, ჟურნ. «ეკონომიკა», 1994წ., №45, 45-49 გვ.;

3.67. რუხაძე ს. – ფერმერულიც, კოლექტიურიც, გლეხურიც, გაზ. «საქართველოს რესპუბლიკა», 1991წ., 05.10;

3.68. საღარეიშვილი ი. – გლეხური მეურნეობების შექმნისა და მათი საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებები, ასკემსკი-ის სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 165 გვ.;

3.69. საღარეიშვილი ო. – მსხილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა აქციონირების მექანიზმი, ჟურნ. «ეკონომიკა», 1993წ., №2-3, 43-48 გვ.;

3.70. სამადაშვილი უ. – საკუთრების პრივატიზაცია და მეურნეობრიობის ახალი ფორმები, თბ., 1991წ., 76 გვ.;

3.71. სამუელსონი პ., ნორდჰაუსი ვ. – ეკონომიხსი, სახელმძღვანელო (რედ. ი. კრაველოვი), თბ., 1992წ., 15 გვ.;

3.72. ქარქაშაძე ნ. – მსოფლიო სოფლის მეურნეობა, «განათლება», თბ., 1993წ., 376 გვ.;

3.73. ქეშელაშვილი ო. – მოსაზრებანი აგრარული რეფორმის შესახებ, ჟურნ. «ეკონომიკა», 1991წ., №9-10, 3-7 გვ.;

3.74. ქეშელაშვილი ო. – აგრარული სექტორი კრიზისიდან რომ გამოვიდეს, ჟურნ. «ეკონომიკა», 1994წ., №4-5, 13-16 გვ.;

3.75. ქეშელაშვილი ო. – ბიზნესის ორგანიზაზია, «მნათე», თბ., 1995წ., 191 გვ.;

3.76. ქეშელაშვილი ო. – საქართველოს ბიზნესური პროფილი, ძირითადი მოტივაციები და განვითარების კონცეპტუალური საკითხები, ჟურნ. «ეკონომიკა», 1996წ., №4-6;

3.77. ჩიქავა ლ. – ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი, თბ., 1997წ., 86 გვ.;

3.78. ძნელაძე დ. – მეწარმეობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, თბ., 1992წ., 134 გვ.;

3.79. ძნელაშვილი გ., აგიაშვილი ი. – სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივების ორგანიზაციის და ფუნქციონირების საკითხები, ასკემსკი-ის შრომების კრებული, ტ. V, 221-227 გვ.;

3.80. ცისკარიშვილი მ. ბიზნესის საწყისებთან, თბ., 1993წ., 73 გვ.;

3.81. ცხადაძე ნ. – ინვესტიციური პოლიტიკა სოფლის მეყრნეობის სტრუქტურული გარდაქმნის პირობებში, ჟურნ. «ეკონომიკა», 1991წ., №7-8, 82-86 გვ.;
3.82. წიკლაური ქ. – ოჯახური იჯარა საქართველოს მაღალმთიანეთში, თბ., 1990წ., 95 გვ.;
3.83. წიკლაური ქ. – იჯარა და მეცხოველეობა: პროდუქციის წარმოება საბაზრო ეკონომიკის პირობებში, თბ., 1992წ., 87 გვ.;
3.84. წერეთელი გ. – საქართველოს საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა ჩამოყალიბების გზაზე, ჟურნ. «ეკონომიკა», 1992წ., №8-9;
3.85. ჭავჭავაძე ი. – თხზ. ტ. VII, თბ., 1956წ.;
3.86. ჭითანავა ნ. – საბაზრო ეკონომიკის რეგულირება (ორგანიზაციული პრობლემები), ნაწილი I, თბ., 1995წ., 188 გვ.;
3.87. ჭითანავა ნ. – შერეული, მრავალწყობიანი სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა, თბ., 1995წ.;
3.88. ჯიბუტი ა. – აგრარულ ურთიერთობათა ძირეული გარდაქმნისათვის, ჟურნ. «ეკონომიკა», 1999წ., №2;
3.89. ყამარაული ს. (რედ.) – წარმოების ორგანიზაცია და მართვა ფერმერულ მეურნეობებში, თბ., 2000წ., 644 გვ.;
3.90. Беккет М. – Фермерское производство: организация, управление, анализ, М., «Агропромиздат» - 1992 г., 225 с.
3.91. Бединашвили Г. – Региональное социально-экономические аспекты и системный анализ государства. – Тб., 1993 г., 210 с.
3.92. Бузгалин А. В. – Перехродная экономика, М., 1004 г., 208 с.
3.93. Беридзе Т. – Централизм и самостоятельность в экономике, Тб., 1991 г., 143 с.
3.94. Войе Х, Якобсон У. – Общее введение в современный маркетинг, М.. 1991 г., 284 с.
3.95. Гумеров Р. – Состояние и перспективы российского продовольственного хозяйства, журн. «Российский Экономический Журнал», 1992 г., 59-68 с.
3.96. Добринин В. – Экономическая эффективность сельскохозяйственного производства в условиях перехода к рыночным отношениям, М., 1994 г., 115 с.
3.97. Дараховский И. С., Черноиванов И. П., Прехул Г. В. – Бизнес и менеджер, М., 1992 г., 450 с.
3.98. Даил Д. – Как создать предприятие – Таллин, 1991 г., 75 с.
3.99. Емельянов А. – Аграрная реформа и социально-экономические уклады

современной деревни, журн. «Вопросы Экономики», 1990 г., №5.

3.100. Ершова И. – Семейная форма: пройденный этап или завтрашный день? М., 1988 г., 240 с.

3.101. Ильин С. С., Бабаков А. М. – Крестянское (фермерское) хозяйство и рынок, М., изд-во ЦИСК. ЛР., 1995 г., 268 г.

3.102. Косл Э., Бекер М., Нельсон Л. Эффективное фермерское хозяйствование, М., «Агропромиздат», 1991 г., 495 с.

3.103. Котлер Ф. – Основы маркетинга, М., «Прогресс», 1992 г.

3.104. Кудельман В. – Как создать крестянское (фермерское) хозяйство (практическое руководство), Катеринбург, 1991 г.

3.105. Крестянское (фермерское) хозяйство: организационно-экономическое основы деятельности , под ред. П. И. Дугина, М., изд-во МСХА. 1992 г., 205 с.

3.106. Коваленко Н. Я. – Развитие рыночных отношений в сельском хозяйстве: тенденции и проблемы, М., изд-во МСХА, 1996 г., 50 с.

3.107. Макконелл Р., Брю Л. – Экономикс, т. 1, Баку, 1992 г.

3.108. Мартинов В. – Фермерская кооперация, М., «Знание», 1990 г.

3.109. Нефедов В. – Аграрная реформа в СНГ, журн. «Экономист», 1993 г., №9, 61-66 с.

3.110. Нахамкин А. – Модель регулируемой рыночной экономики, «Российский экономический журнал», 1993 г., №12, 77-84 с.

3.111. Новичкина Л. – Структурные проеобразования и инвестиционная политика в странах с рыночной экономикой, журн. «Вопросы Экономики», 1991 г., №6, 28-32 с.

3.112. Пощкус Б. – Формы хозяйствования в период перехода на рыночных отношениях, «Международный агропромышленный журнал», 1991 г., №3, 2-9 с.

3.113. Попов С. – Внешноэкономическая деятельность фирмы, особенности менеджмента и маркетинга, М., 175 с.

3.114. Серова Е. – Аграрная реформа и многообразные формы хозяйствования, журн. «Вопросы Экономики», 1990 г., №5.

3.115. Сорокин П. – Основы сельскохозяственного маркетинга, М., изд-во МИИСП, 1991 г., 195 с.

3.116. Трейси М. – Сельское хозяйство и родовольствие в экономике развитых стран, Перевод с англ., Санкт-Петербург, «Экономическая Школа», 1995 г.

3.117. Хейман С. – Реформа должна быть родчинена интересам человека, журн. «Экономист», 1993 г., №8, 15-16 с.

3.118. Кенджес С. – Организация хозяйства на формах, пер. с англ., М., «Экономика», 1996 г., 178 с.

3.119. Чаянов А. – Крестьянское хозяйство, М., 1989 г., 280 с.

3.120. Чаянов А. – Основные идеи и формы организации крестянской кооперации, М., 1991 г., 305 с.

3.121. Шефер Ф., Росо Д. – Структура отраслевых рынков, пер. с англ., университетский учебник, М., ИНФРА, 1997 г., 97 с.

3.122. Эверс А. – Предпринимательское уравнение в фермерстве, АПК% Экономика, управление, 1992 г., №11, 41 с.

3.123. Ястребова О. – Введение в агробизнес, М., МГУ, 1994 г., 112 с.